სახელმძღვანელო

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის

სტუდენტებისათვის

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი

ფილოლოგია

თბილისი

2017

ენობრივი კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

პროექტი

„არაქართულენოვან სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში“

პროექტი ხორციელდება ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორი: **კახა გაბუნია**

რედაქტორი: **ქეთევან გოჩიტაშვილი**

კონცეფციის ავტორები:

კახა გაბუნია, ჭაბუკი ქირია.

თემა 1
დედაენის ძეგლი

1. რას ნიშნავს სიტყვა „დედაენა“? იმსჯელეთ ჯგუფში.

2. რომელია თქვენი მშობლიური ენა (დედაენა)? რატომ არის ის ასეთი მნიშვნელოვანი?

3. წაიკითხეთ ტექსტი:

წიგნს ძეგლი პირველად თბილისში დაუდგეს და უკვე 26 წელია, „**დედაენის** დღე" ტრადიციულად 14 აპრილს აღინიშნება. ძეგლი ამავე სახელწოდების პარკში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე „მშრალ ხიდთან“ დგას. მასზე გამოსახულია ცოდნის წყურვილით ზეცისკენ **ხელებაპყრობილი** ყმაწვილი, რომელიც ეს ესაა ზარს შემოკრავს. ძეგლის ავტორებს, მოქანდაკეებს ელგუჯა ამაშუკელსა და ნოდარ მგალობლიშვილს, შესანიშნავად აქვთ გადმოცემული XIX საუკუნეში ქართველ „წერა-კითხვის **გამავრცელებელთა**“ უმთავრესი მიზანი. დღევანდელი „დედაენის“ პარკის ადგილას ბაღის გაშენება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადაწყდა, როდესაც სანაპიროზე სტალინის სახელობის მაგისტრალი გაიყვანეს. ბაღში ძირითადად ჭადრები დარგეს. უფრო ადრე ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა მადათოვის კუნძული, რომელიც თავის დროზე, მტკვრის დონის აწევის შედეგად, წყლით დაიფარა, აშენდა მშრალი ხიდი.

„დედა ენის“ პარკი დღეს ცნობილია, როგორც დემონსტრანტების თავშეყრის ადგილი. 14 აპრილის „დედაენის დღედ“ დაწესებას თავისი ისტორია აქვს. კერძოდ, 1978 წელს, სწორედ ამ დღეს, საქართველოს მოსახლეობამ გააპროტესტა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოში ქართულის, როგორც **სახელმწიფო ენის,** გაუქმების შესახებ. ამას საქართველოში საპროტესტო აქციები მოჰყვა, ათიათასობით ადამიანი ხელისუფლებისგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას მოითხოვდა. პროტესტმა შედეგი გამოიღო და მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოცხადდა. ასე დამკვიდრდა „დედაენის დღეც“.

მანამდე კი, ქართველთა გენიალურ **პალინდრომზე** — „აი ია“, იაკობ გოგებაშვილმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით იზრუნა. მწერალმა დიდხანს იფიქრა პირველ საყმაწვილო სახელმძღვანელოს მორალურ, **ზნეობრივ** და პატრიოტულ კრიტერიუმებზე. მის პირად არქივში დაცულია მასალა, რომელიც დედაენაზე მუშაობის პროცესს ასახავს, როგორ აზუსტებდა, ხვეწდა თითოეულ ნიუანსს, მეთოდს, ხერხს,

სიტყვას მარტივიდან რთულისკენ. როგორ ცდილობდა, რაც შეიძლება სახალისო ყოფილიყო ყმაწვილთათვის მის მიერ შეთავაზებული **მოთხრობა** თუ **ლექსი.** წიგნი, რომელიც დღემდე ვერაფერმა ჩაანაცვლა, ავტორის სიცოცხლეში, 1912 წლამდე, 33-ჯერ გამოიცა. იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი გამოცემა სპეციალურ კომისიას მიანდეს. 1876-1925 წლებში „დედა ენა“ 45-ჯერ გამოიცა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დღემდე ქართული **საგანმანათლებლო** ტრადიციების მთავარ ფესვად რჩება, რაც, ბუნებრივია, მხოლოდ ამ წიგნის სიყვარულით არ არის გამოწვეული. ქართველი ერის მამა, ილია ჭავჭავაძეც, „დედა ენას" უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და მიაჩნდა: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანმოუხედავად ვთხოულობთ დედაენისათვის რთულსა და დამოუკიდებელ გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია." – წერდა იგი.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

I

ა) წიგნს ძეგლი პირველად თბილისში დაუდგეს.

ბ) წიგნს ძეგლი პირველად ინგლისში დაუდგეს.

გ) ლექსს ძეგლი პირველად თბილისში დაუდგეს.

II

ა) ქართული ენის დღე 12 სექტემბერია.

ბ) ქართული ენის დღე 14 აპრილია.

გ) ქართული ენის დღე 1 ნოემბერია.

III

ა) გოგებაშვილის სიცოცხლეში დედაენა 2-ჯერ გამოიცა.

ბ) გოგებაშვილის სიცოცხლეში დედაენა 33-ჯერ გამოიცა.

გ) გოგებაშვილის სიცოცხლეში დედაენა არ გამოცემულა.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

სად დაიდგა პირველად მსოფლიოში დედაენის ძეგლი?

ვინ არის ძეგლის ავტორი?

რატომ აღნიშნავენ ქართული ენის დღეს 14 აპრილს?

სად წერია, რომ ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა?

ვინ დაწერა დედა ენა?

რას ნიშნავს წერა-კითხვის გავრცელება?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

გააპროტესტა გაუქმების გამოცხადდა. გადაწყვეტილება ცნობილია დაწესებას

„დედა ენის“ პარკი დღეს ……. როგორც დემონსტრანტების თავშეყრის ადგილი. 14 აპრილის „დედაენის დღედ“ …… თავისი ისტორია აქვს. კერძოდ, 1978 წელს, სწორედ ამ დღეს, საქართველოს მოსახლეობამ ..... კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ..... საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ..... შესახებ.

პროტესტმა შედეგი გამოიღო და მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული ენა ..... ასე დამკვიდრდა „დედაენის დღეც“.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

„დედაენის“ პარკი დღეს ცნობილია, როგორც დემონსტრანტების თავშეყრის ადგილი.

.....

1978 წლის 14 აპრილს საქართველოს მოსახლეობას არ გაუპროტესტებია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, გაუქმების შესახებ. .....

მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად, ქართული ენა გამოცხადდა.....

იაკობ გოგებაშვილი ცდილობდა, რაც შეიძლება უინტერესო ყოფილიყო ყმაწვილთათვის მის მიერ შეთავაზებული **მოთხრობა** თუ **ლექსი.**.....

„დედა ენა“ ავტორის სიცოცხლეში, 1912 წლამდე, 33-ჯერ გამოიცა. .....

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ასახავს ჩაანაცვლა მოითხოვდა გამოიცა ადგილი

„დედა ენის“ პარკი დღეს ცნობილია, როგორც დემონსტრანტების თავშეყრის .....

ათიათასობით ადამიანი ხელისუფლებისგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას .....

გოგებაშვილის პირად არქივში დაცულია მასალა, რომელიც დედაენაზე მუშაობის პროცესს .....

დედაენა - ეს არის წიგნი, რომელიც დღემდე ვერაფერმა .....

ავტორის სიცოცხლეში დედაენა 1912 წლამდე, 33-ჯერ .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 2
როგორ იწერებოდა დედაენა

1. რას ნიშნავს „დედაენა“?

2. ვინ არის „დედა ენის“ ავტორი?

3. წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული **ბიბლიოთეკის არქივში** დაცულ გაზეთ "ცნობის ფურცელში" (1896 წლის #72) დაბეჭდილია ქართველი მწერლის, საქართველოში სამეცნიერო პედაგოგიკის **ფუძემდებლის, პუბლიცისტისა** და საზოგადო მოღვაწის - იაკობ გოგებაშვილის მიერ გაზეთის რედაქციისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც მოთხრობილია, როგორ იწერებოდა გოგებაშვილისეული "დედა ენა":

"ბ-ნო რედაქტორო! როცა ამ ოცი წლის წინ მოვიწადინე შემედგინა, ნაცვლად ჩემის წინანდელის ანბანისა, ახალი სახელმძღვანელო "დედაენა", მე გავემგზავრე სოფლად, ჩემს სამშობლოში"...

იაკობ გოგებაშვილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანიდან იყო. სწორედ იქ, იმ მხარეში, აპირებდა დიდი პედაგოგი შეეკრიბა **"ხალხური მეტყველების ნიმუშები:** ზღაპრები, **არაკები,** ლექსები, მოთხრობები, **გამოცანები, ენის გასატეხები, ანდაზები** და სხვები".

"მთელი ექვსი თვე ვიცხოვრე ყრუ, ჭაობიან სოფელში, ლიახვის პირას; ყველაფერი დავივიწყე, ქვეყანას მოვწყდი სრულიად, და მხოლოდ ერთს საგანს დავამყარე ჩემი მთავარი ყურადღება: რაც შეიძლება მეტი შემეკრიბა იმისთანა ხალხური მეტყველების ნიმუშები, რომელთაც **საყმაწვილო**, პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ სამი სოფელი - ვარიანი, ახალდაბა, არაშენდა - ერთი მეორის მახლობლად მდებარე, მოვჩხრიკე, მაგრამ ძირფესვიანად კი"... - წერდა იგი.

დაწვრილებით ეკითხებოდა თურმე ყველას - კაცსა თუ ქალს, დიდსა თუ პატარას, გულისყურით უსმენდა და რვეულში ინიშნავდა მხოლოდ იმას, რასაც **"მუშტრის,** პედაგოგის თვალი სცნობდა სასარგებლოდ ბავშვებისთვის", რადგან "ყველა ნათქვამის და გაგონილის ჩაწერას რომ გამოვდგომოდი, ვერც ექვს წელიწადში მოვრჩებოდი საქმეს და ფულიც ათჯერ მეტი დამჭირდებოდა"... ეს გასაოცარი და დიდებული ადამიანი საკუთარ თავს კი არ **ჩიოდა,** იმას დარდობდა, - სოფლელების მოცდენა უფასოდ არც საკადრისი იყო და არც შესაძლებელიო.

ამ ექსპედიციის შემდეგ იაკობ გოგებაშვილი დაბრუნებულა თბილისში და როგორც წერილში აღწერს: "ჩამოვიტანე ვეებერთელა რვეული, სავსე ხალხური ზღაპრებით, **არაკებით,** ლექსებით და შევუდექი „დედა-ენის" შედგენასა და გამოცემას".

მას შემდეგ ოცი წელიწადი გასულა და იაკობ გოგებაშვილი დანანებით აღნიშნავს: ამ ხნის განმავლობაში საბავშვო წიგნების შემდგენლებს თავად რომ მოეპოვებინათ მასალები წიგნებისთვის, შეეგროვებინათ და გამოეცათ, ჩვენი სკოლების ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, ისე გავამდიდრებდით სახელმძღვანელოებს საუცხოო ხალხური სიტყვიერების ნიმუშებით. რადგან თუკი მხოლოდ სამ სოფელში გადავაწყდი ისეთ მარგალიტებს, როგორიც "მოდი, ვნახოთ ვენახი", "რწყილი და ჭიანჭველა" და კიდევ უამრავ შესანიშნავ რამეს, ხომ წარმოგიდგენიათ, საქართველოს სხვადასხვა კუთხე რამდენ მარგალიტს მალავს, ინახავს და რამდენის მოპოვება იქნებოდა შესაძლებელიო!

იაკობ გოგებაშვილის ეს წერილი 1896 წლის 31 დეკემბერს დაიბეჭდა გაზეთ "ცნობის ფურცელში", ხოლო 16 წლის შემდეგ, 1912 წლის ივნისში გამოცემული საბავშვო ჟურნალი "ნაკადული", რომელსაც ისევ და ისევ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში **წავაწყდით,** უკვე "ბავშვების მეგობარი იაკობ გოგებაშვილის" გარდაცვალებას იტყობინებოდა. ცხადია, ჟურნალის პირველივე პუბლიკაციაც - მართლაც გულისამაჩუყებელი და დღესაც ცრემლისმომგვრელი, სწორედ ამ დიდ **საზოგადო მოღვაწეს** ეძღვნება:

"პატარა მკითხველებო! სამწუხარო ამბავი უნდა გითხრათ: პირველ **თიბათვეს,** საღამოს 6 საათზე, თბილისში გარდაიცვალა სახელოვანი მასწავლებელი და ბავშვების აღმზრდელი იაკობი, ეს ის იაკობი იყო, რომელმაც საყვარელი წიგნი "დედა ენა" დაგვიწერა. მოიგონეთ თქვენი სიხარული და აღტაცება, როცა ხელში პირველად აიღეთ წითელყდიანი წიგნი, "დედაენა". იაკობს ქება არ უნდა: თქვენს გულში, ბავშვებო, დიდი ადგილი უჭირავს. იგი ნამდვილი მამა იყო, მეგობარი და **მოსარჩლე** მოზარდი თაობისა. მთელი საქართველო იცნობს და გაგებული აქვს იაკობის სახელი. მისი გულითადი სურვილი იყო, რომ ყველა თქვენგანი კარგი და პატიოსანი ადამიანი ყოფილიყო, გაჭირვებულთა მოყვარული და დედაენის ერთგული.

იაკობის "დედაენა" იქნება თქვენი გზის **მაჩვენებელი.** ეს წიგნი ძვირფასი **საუნჯეა** ქართველებისა, გასწავლით მოძმის სიყვარულს და ადამიანურ გრძნობას ჩაგინერგავთ..."

4. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ა) საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში ინახება გაზეთის რედაქციისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც მოთხრობილია, როგორ იწერე-ბოდა გოგებაშვილისეული "დედა ენა"

ბ) იაკობ გოგებაშვილი თბილისელი იყო.

გ) გოგებაშვილი გორის რაიონში აგროვებდა ხალხური მეტყველების ნიმუშებს: ზღაპრებს, არაკებს, ლექსებს, მოთხრობებს და სხვ.

დ) ყველა ნათქვამისა და გაგონილის ჩაწერას რომ გამოსდგომოდა, გოგებაშვილი სახელმძღვანელოს წერას მალე მორჩებოდა.

ე) ექსპედიციის შემდეგ იაკობ გოგებაშვილი დაბრუნებულა თბილისში და ხილით სავსე ტომარა ჩამოუტანია.

ვ) იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა პირველ თიბათვეს, საღამოს 6 საათზე,

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

სად ინახება იაკობ გოგებაშვილის მიერ გაზეთის რედაქციისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც მოთხრობილია, როგორ იწერებოდა გოგებაშვილისეული "დედა ენა"?

რამდენი ხანი მოუნდა გოგებაშვილი „დედა ენის“ წერას?

სად აგროვებდა მასალას სახელმძღვანელოსთვის იაკობ გოგებაშვილი?

ვისგან იწერდა ზღაპრებს, ლექსებსა თუ ამოცანებს იაკობი?

რომელ წელს და სად დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის წერილი?

ვინ აცნობა ბავშვებს საყვარელი მწერლის გარდაცვალების ამბავი?

თქვენი აზრით, რომელი თვეა თიბათვე? რატომ დაერქვა ეს სახელი ამ თვეს?

8. დაასრულეთ წინადადებები:

დავივიწყე "ცნობის ფურცელში" დაჰყეფდა

შესაძლებელია ჩაგინერგავთ "დედა ენა"

ოცი წლის წინ მოვიწადინე შემედგინა, ნაცვლად ჩემის წინანდელის ანბანისა, ახალი სახელმძღვანელო .....

მთელი ექვსი თვე ვიცხოვრე ყრუ, ჭაობიან სოფელში, ლიახვის პირას; ყველაფერი.....

ეს გასაოცარი და დიდებული ადამიანი საკუთარ თავს კი არ ჩიოდა, იმას დარდობდა, - სოფლელების მოცდენა უფასოდ არც საკადრისი იყო და არც .....

თავად რომ მოეპოვებინათ მასალები წიგნებისთვის, შეეგროვებინათ და გამოეცათ, ჩვენი სკოლების ბედს ძაღლი არ.....

იაკობ გოგებაშვილის ეს წერილი 1896 წლის 31 დეკემბერს დაიბეჭდა გაზეთ.....

ეს წიგნი ძვირფასი საუნჯეა ქართველებისა, გასწავლით მოძმის სიყვარულს და ადამიანურ გრძნობას .....

9. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

მეტყველების ძირფესვიანად დამჭირდებოდა გამოვდგომოდი

მოთხრობილია მდებარე არქივში

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ..... დაცულ გაზეთ "ცნობის ფურცელში" დაბეჭდილია იაკობ გოგებაშვილის მიერ გაზეთის რედაქციისთვის გაგზავნილი წერილი, სადაც ..... როგორ იწერებოდა გოგებაშვილისეული "დედაენა":

იაკობ გოგებაშვილი სოფელ ვარიანში აპირებდა შეეკრიბა ხალხური ..... ნიმუშები: ზღაპრები, არაკები, ლექსები, მოთხრობები, გამოცანები, ენის გასატეხები, ანდაზები და სხვა.

„მხოლოდ სამი სოფელი - ვარიანი, ახალდაბა, არაშენდა - ერთი მეორის მახლობლად ..... , მოვჩხრიკე, მაგრამ ..... კი"... - წერდა იგი.

ყველა ნათქვამის და გაგონილის ჩაწერას რომ ..... , ვერც ექვს წელიწადში მოვრჩებოდი საქმეს და ფულიც ათჯერ მეტი ....."...

10. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

11. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ ტექსტი თხრობით.

თემა 3
წიგნის როლი

1. რა არის წიგნი? რა სახის წიგნების ჩამოთვლა შეგიძლიათ?

2. თქვენი აზრით, რისთვისაა საჭირო წიგნი? რა დანიშნულება აქვს მას?

3. წაიკითხეთ ტექსტი:

წიგნის როლი მსოფლიოში

ცოდნის გადაცემის უპირველესი მეთოდი კაცობრიობის ისტორიაში **ზეპირი** გადაცემა იყო. ძველი ცივილიზებული სახელმწიფოების მეცნიერები ცდილობდნენ ინფორმაციის გადაცემას უფრო სისტემური მეთოდებით — **წერილობითი** სახით, რამაც **პიქტოგრამების, იეროგლიფებისა** და **ანბანების** გაჩენა გამოიწვია. ქაღალდის გაჩენამდე კი ადამიანები წერდნენ ყველაფერზე, რაც ხელთ მოხვდებოდათ — თიხის ფირფიტებზე, კედლებზე, ფოლადის ნაჭრებზე და ხის მერქანზე.

ძველ დროში ჩამოყალიბდა წიგნის შექმნის ორგანიზაცია — ფირფიტების ან ფურცლების ერთობლიობა, რომლებიც ერთად იყო შეკრული. XIII საუკუნიდან ევროპაში წიგნის საწარმოებლად უკვე ქაღალდს იყენებდნენ.

წიგნის როლი საზოგადოებაში ძალიან დიდია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქვეყნები, რომლებშიც უწიგნურობის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას. ვერ ვიტყოდი, რომ ეს საკითხი საქართველოსაც არ ეხება... რამდენიმე დღის წინ საქართველოში ჩატარებულმა სტატისტიკური გამოკითხვების შედეგებმა ახალგაზრდების გამოკითხვისას უმძიმესი უწიგნურობის შედეგები აჩვენა... თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო გაუნათლებლობის **მორევშია** ჩაძირული. პირიქით, დღევანდელ დღეს უფრო მეტადაა დაფასებული განათლება და მის გარეშე ნორმალური სამუშაოს მოძებნა შეუძლებელია.

წიგნს დიდი როლი **აკისრია** ახალგაზრდების ჩამოყალიბებაში. ყველა ადამიანმა ასაკის შესაფერისი წიგნი უნდა იკითხოს, რადგან ისინი წიგნის მეშვეობით სწავლობენ ეროვნულ **სულისკვეთებას**, კულტურას, გმირობას. ნებისმიერი წიგნი რომ ავიღოთ, რაც მეტჯერ წაიკითხავ, მით მეტ ახალსა და საინტერესოს პოულობ მასში, ყოველთვის რაღაც ახალს აღმოაჩენ. როცა წიგნი შენ გვერდით დევს, რომც არ გიყვარდეს კითხვა, ხელი მაინც გაგექცევა მისკენ და ეს ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ცოდნისკენ.რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი მშობელი ჩივის, რომ მათი შვილები აღარ ინტერესდებიან წიგნებით, არ უყვართ კითხვა. ისინი მთელ დროს ტელევიზორსა და კომპიუტერთან ატარებენ და წიგნისკენ გახედვაც არ უნდათ... არადა, იყო დრო, როდესაც წიგნი საზოგადოებრივი

ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო. იყო დრო, როდესაც ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა დღესასწაული გახლდათ. მერე კი... მერე წიგნისადმი ინტერესი განელდა. თუმცა ეს ერთბაშად არ მომხდარა...

ბავშვი კითხვას მაგალითით სწავლობს. თუ უფროსებს წიგნით ხელში ხედავს, არ შეიძლება თვითონაც არ დაინტერესდეს; არ შეიძლება, ადრე თუ გვიან, წიგნი არ გადმოიღოს და არ გადაშალოს მტკიცე გადაწყვეტილებით აღმოაჩინოს ის საიდუმლო, რომელიც უფროსების თვალებში **ისადგურებს** კითხვის დროს.

კითხვის სიყვარული ყველა ბავშვში არსებობს და ეს ადრეულ ასაკშივე ვლინდება. იმ დროს, როცა ბავშვს წარმოდგენაც არ აქვს წიგნის რაობაზე, 3-4 წლის პატარა ზღაპრის მოსმენით რომ დაინტერესდება, ეს უკვე კითხვის ინსტინქტის გაღვიძებას **მოასწავებს** და სწორედ ამ დროს არის საჭირო მისი გონებრივი **მისწრაფებების** წარმართვა აბსტრაქტული, "ზეპირი" წიგნიდან—ნამდვილ, ბეჭდურ წიგნამდე. წიგნი ყველას უნდა უყვარდეს. განსაკუთრებით - ახლგაზრდა თაობას, რადგან წიგნი არის ცოდნის მიღებისა და სულიერების ამაღლების ერთადერთი საშუალება. წიგნთან ურთიერთობა აუცილებელია.

დღეს ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ წიგნი შეცვალა კომპიუტერმა, რომ წიგნმა კომპიუტერის ეპოქაში დაკარგა თავისი აქტუალობა. ინტერნეტში გახსნიან საიტს და მზა პროდუქცია ეძლევათ, რაც უკარგავს ადამიანებს შემოქმედებით უნარს.

მე-15 – მე-17 საუკუნეებიდან დღემდე სტამბა, ანუ პოლიგრაფია, არაერთხელ შეიცვალა. მაღალი ტექნოლოგიების წყალობით წიგნების გამოცემა, ტირაჟირება ისე გაიოლდა, რომ შეიძლება ერთ დღეში რამდენიმე ათასი წიგნი გამოიცეს, რაც ძალზე სასიხარულოა; თუმცა, ამ მიღწევებთან ერთად, მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე ვდგავართ. წიგნებს აღარ ჰყავს მკითხველი. წიგნები ელექტრონული ვერსიებით შეიცვალა. ჩვენ არ ვართ ამ განვითარების წინააღმდეგი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ტექნიკის განვითარება არ უნდა გახდეს მიზეზი იმისა, რომ წიგნმა თავისი ადგილი დაკარგოს ადამიანების ცხოვრებაში... რომ წიგნს აღარ ჰყავდეს მკითხველი. ჩვენს ცხოვრებაში წიგნს ყოველთვის უნდა ჰქონდეს სათანადო ადგილი.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ა.

I. ცოდნის გადაცემის უპირველესი მეთოდი კაცობრიობის ისტორიაში წერილობითი გადაცემა იყო.

II. ცოდნის გადაცემის უპირველესი მეთოდი კაცობრიობის ისტორიაში ზეპირი გადაცემა იყო.

III. ცოდნის გადაცემა წინათ ხდებოდა როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი გზით.

ბ.

I. ქაღალდს ევროპაში ჯერ კიდევ რომის იმპერიაში იყენებდნენ.

II. ქაღალდი ევროპაში მე-20 საუკუნეში შემოვიდა.

III. ქაღალდი ევროპაში მე-13 საუკუნიდან გამოიყენება.

გ.

I. კითხვის სიყვარული ყველა ბავშვში არსებობს და ეს ადრეულ ასაკშივე ვლინდება.

II. კითხვის შეყვარება მხოლოდ მოზრდილ ასაკში ხდება.

III. ადამიანი შეიძლება ისეთად დაიბადოს, ვერასოდეს ისწავლოს და შეიყვაროს კითხვა.

7. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

საწარმოებლად სულისკვეთებას უწიგნურობის

მოასწავებს ინსტინქტის ფირფიტების

ძველ დროში ჩამოყალიბდა წიგნის შექმნის ორგანიზაცია — …… ან ფურცლების ერთობლიობა, რომლებიც ერთად იყო შეკრული. XIII საუკუნიდან ევროპაში წიგნის ……. უკვე ქაღალდს იყენებდნენ.

არსებობს ქვეყნები, რომლებშიც …….. პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას. ახალგაზრდები წიგნის მეშვეობით სწავლობენ ეროვნულ ..... , კულტურას, გმირობას.

3-4 წლის პატარა ზღაპრის მოსმენით რომ დაინტერესდება, ეს უკვე კითხვის ..... გაღვიძებას **.....**

8. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

ქაღალდის გაჩენამდე ადამიანები ვერ წერდნენ. _____

წიგნის როლი საზოგადოებაში ძალიან დიდია. _____

დღეს უფრო მეტადაა დაფასებული განათლება. _____

ბავშვი კითხვას მაგალითის გარეშე სწავლობს. _____

კითხვის სიყვარული ყველა ბავშვში არსებობს. _____

ტექნიკის განვითარება არ უნდა გახდეს მიზეზი იმისა, რომ წიგნმა თავისი ადგილი დაკარგოს ადამიანების ცხოვრებაში. _____

9. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ჩაძირული შეუძლებელია აქტუალობა დაინტერესდეს განათლება სულისკვეთებას მოხვდებოდათ გამოიწვია

წერილობითი ტექსტების აუცილებლობამ პიქტოგრამების, იეროგლიფებისა და ანბანების გაჩენა .....

ქაღალდის გაჩენამდე კი ადამიანები წერდნენ ყველაფერზე, რაც ხელთ.....

ეს არ მიშნავს, რომ საქართველო გაუნათლებლობის მორევშია .....

დღევანდელ დღეს უფრო მეტადაა დაფასებული .....

მის გარეშე ნორმალური სამუშაოს მოძებნა .....

ისინი წიგნის მეშვეობით სწავლობენ ეროვნულ.....

თუ უფროსებს წიგნით ხელში ხედავს, არ შეიძლება თვითონაც არ .....

წიგნმა კომპიუტერის ეპოქაში დაკარგა თავისი .....

10. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

11. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 4
წიგნი და თანამედროვე საზოგადოება

1. რა როლი ეკისრება წიგნს ადამიანის ცხოვრებაში?

2. რაზე იწერებოდა უძველესი წიგნები?

3. წაიკითხეთ ტექსტი:

წიგნი და თანამედროვე საზოგადოება

დღევანდელ საქართველოში ადამიანის დამოკიდებულება კითხვისადმი აქტუალური, პრობლემატური თემაა. კითხვა ყველას შეუძლია, მაგრამ გააჩნია რას, რისთვის და რატომ წაიკითხავ. სწორი არჩევანის გაკეთება, ალბათ, მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. ჰიუგო წერდა: *"ავტორი ქმნის წიგნს, საზოგადოება კი მიიღებს ან **უკუაგდებს** მას. წიგნის შემოქმედი ავტორია, მისი ბედის შემოქმედი კი – საზოგადოება."*

იქნებ ვინმეს დაებადოს აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რისთვისაა საჭირო წიგნების კითხვა, როცა ეს ცხოვრება ისედაც გადაშლილ წიგნს ჰგავს, ათასჯერ წაკითხულს წინა თაობის მიერ, მაგრამ დღეისთვის მაინც გაუგებარსა და **ამოუცნობს.** არსებობს საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც კითხულობს იმისთვის, რათა ამაღლდეს საკუთარ ცხოვრებაზე და ჩასწვდეს სხვისას. ავტორი ამაყობს თავისი შემოქმედებით, ის ბედნიერია, როდესაც ხვდება, მისი ნაწარმოები საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეიყვარა, როცა ადამიანები ერთხელ წაკითხულს კვლავ უბრუნდებიან ხოლმე, ეს უკვე მწერლის გამარჯვებაა. წიგნი, რომელიც ორჯერ წაკითხვის ღირსი არ არის, არც ერთხელ წაკითხვის ღირსი ყოფილა, რადგან როცა წიგნი მოგწონს, **გხიბლავს,** როცა მისი კითხვისას უდიდეს სიამოვნებას განიცდი, ლოგიკურია, გიჩნდება სურვილი, დაუბრუნდე განვლილ წუთებს და კვლავ განმეორდეს ის **თრთოლა,** წაკითხვამ რომ მოგგვარა ერთხელ.

ადამიანი ზოგჯერ მხოლოდ ერთი **აკვიატებული** სურვილის დასაკმაყოფილებლად კითხულობს, შეიქმნას სხვათა თვალში **გემოვნებიანი მკითხველის** იმიჯი. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დიდ სირცხვილად მიაჩნია იმის აღიარება, რომ სულაც არ **ეჭაშნიკება**

ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვა… **ესირცხვილებათ** და იქნებ ასე სჯობდეს კიდეც. ვიყოთ ობიექტურები და ნურც იმ ადამიანთა აღნიშვნა დაგვავიწყდება, რომელთა ცხოვრების თითოეული დღე კითხვის გარეშე წარმოუდგენელია. ასეთები, საბედნიეროდ, ბევრნი არიან. ეს გარემოება იმედის მომცემია.

ასე რომ, საზოგადოების კითხვისადმი დამოკიდებულება მრავალგვარია. ძნელია და, ალბათ, უსამართლობაც იქნებოდა ყველა ერთ ჩარჩოში მოგვექცია. მიზანი წიგნთან მიმართებით თითოეული ადამიანისთვის განსხვავებულია. ერთი კია, წიგნის სიყვარული ადამიანს **აღამაღლებს,** მის **მსოფლმხედველობას** რადიკალურად ცვლის.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ა.

I. ეს ცხოვრება ისედაც გადაშლილ წიგნს ჰგავს, ათასჯერ წაკითხულს, მაგრამ დღეისთვის მაინც გაუგებარსა და ამოუცნობს.

II. ეს ცხოვრება სულ არ ჰგავს გადაშლილ წიგნს.

III. ეს ცხოვრება წაუკითხავ წიგნს ჰგავს.

ბ.

I. საზოგადოების კითხვისადმი დამოკიდებულება მრავალგვარია.

II. საზოგადოების კითხვისადმი დამოკიდებულება ერთფეროვანია.

III. საზოგადოების კითხვისადმი დამოკიდებულება არავინ არ იცის.

გ.

I. წიგნის სიყვარული ადამიანის მსოფლმხედველობას არ ცვლის.

II. წიგნის სიყვარული ადამიანის მსოფლმხედველობას რადიკალურად ცვლის.

III. წიგნის სიყვარულს ადამიანის მსოფლმხედველობასთან კავშირი არ აქვს.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

როგორია დღევანდელ საქართველოში ადამიანის დამოკიდებულება კითხვისადმი?

რას წერდა ჰიუგო? გადმოეცით თქვენი სიტყვებით.

რისთვისაა საჭირო წიგნების კითხვა?

რა არის მწერლის გამარჯვება?

რა ესირცხვილება ადამიანთა ერთ ნაწილს?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

გხიბლავს გადაშლილ წვრილმანიც ჩარჩოში აკვიატებული პრობლემატური

დღევანდელ საქართველოში ადამიანის დამოკიდებულება კითხვისადმი აქტუალური, ... თემაა.

ეს ცხოვრება ისედაც ..... წიგნს ჰგავს, ათასჯერ წაკითხულს წინა თაობის მიერ.

ლიტერატურაში ..... ხომ მკითხველისთვის აშკარა და ნათელი ხდება.

როცა წიგნი მოგწონს, ..., როცა მისი კითხვისას უდიდეს სიამოვნებას განიცდი.

ადამიანი ზოგჯერ მხოლოდ ერთი ..... სურვილის დასაკმაყოფილებლად კითხულობს.

უსამართლობა იქნებოდა ყველა ერთ ..... მოგვექცია.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

დღევანდელ საქართველოში ადამიანის დამოკიდებულება კითხვისადმი უპრობლემო თემაა. _____

სწორი არჩევანის გაკეთება ყველას შეუძლია_____.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი კითხულობს იმისთვის, რათა ამაღლდეს საკუთარ ცხოვრებაზე და ჩასწვდეს სხვისას._____

ზოგი ადამიანი მხოლოდ იმიტომ კითხულობს, შეიქმნას სხვათა თვალში გემოვნებიანი მკითხველის იმიჯი. _____

წიგნის სიყვარული ადამიანს ადაბლებს, მის მსოფლმხედველობას რადიკალურად ცვლის. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

გამარჯვებაა ამოუცნობს *იმიჯი* *შემოქმედებით* საზოგადოება

წიგნის შემოქმედი ავტორია, მისი ბედის შემოქმედი კი – .....

ეს ცხოვრება ისედაც გადაშლილ წიგნს ჰგავს, ათასჯერ წაკითხულს წინა თაობის მიერ, მაგრამ დღეისთვის მაინც გაუგებარსა და .....

ავტორი ამაყობს თავისი .....

ეს უკვე მწერლის .....

ზოგჯერ ადამიანი იმისთვის კითხულობს, რომ შეიქმნას სხვათა თვალში გემოვნებიანი მკითხველის .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ შინაარსი თხრობით.

თემა 5
რა არის ლიტერატურა

1. **რა მნიშვნელობა აქვს ლიტერატურას ადამიანის ცხოვრებაში? იმუშავეთ ჯგუფებად. გამართეთ დისკუსია.**

2. **გიყვართ ლიტერატურა?**

3. **განმარტეთ თქვენი სიტყვებით, რა არის ლიტერატურა.**

4. **წაიკითხეთ ტექსტი:**

რა არის ლიტერატურა

თანამედროვე სამყაროში მოზარდებს სულ უფრო ნაკლებად აინტერესებთ მხატვრული ლიტერატურა. კომპიუტერი, ტელევიზორი და სხვა მედიასაშუალებები მათ თითქმის მთლიანად უკმაყოფილებს ასაკისთვის შესაბამის მოთხოვნებს. ახალი ინფორმაციის მიღება, ფანტაზიისა და **წარმოსახვის** უნარის ამოქმედება, თავისუფალი დროის გატარება – ეს ყველაფერი ახლა გაცილებით მარტივად, სულ რამდენიმე ღილაკზე თითის დაჭერითაა შესაძლებელი. ტექნოლოგიის ასეთ განვითარებამდე კი სწორედ წიგნი ითავსებდა ამ ფუნქციებს.

არის კითხვები, – ერთი შეხედვით, მარტივი კითხვები, – რომლებზეც პასუხის გაცემა არცთუ იოლია, ხოლო მათზე ფიქრი, პასუხების ძიების პროცესი – რთული და, იმავდროულად, საინტერესოც. არის ცნებები, რომელთა მიმართაც თითოეულ ჩვენგანს საკუთარი დამოკიდებულება აქვს, რომელთა **ვერბალიზებაც** საკმაოდ ძნელია, თანაც გამოთქმული არასოდესაა „საკმარისი" და თანაფარდი იმისა, რასაც გრძნობ, განიცდი. მაგალითად, შეგიძლიათ, სრულყოფილად ახსნათ და გადმოსცეთ ყველა ის განცდა, რომლებიც სიტყვა „სიყვარულთან" გაკავშირებთ? ან **განმარტოთ,** რა არის მეგობრობა? სიცოცხლე?..

ეს ის შემთხვევაა, როცა ერთია განმარტებით ლექსიკონში არსებული „ოფიციალური" **დეფინიცია** და სრულიად სხვა – ადამიანის დამოკიდებულება, მისი ხედვა, მისი პირადი გამოცდილება. და ყველაზე საინტერესო, ვფიქრობ, სწორედ ამ გამოცდილებათა ურთიერთგაზიარებაა.

ერთი ასეთ კითხვათაგანია სათაურში გამოტანილი კითხვაც: რა არის ლიტერატურა?

ამ კითხვით რამდენიმე ხნის წინ ჩემს კოლეგებს მივმართე. პასუხები იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესო იყო, მინდა, თქვენც **გაგიზიაროთ.**

როგორც უკვე აღვნიშნე, არ არსებობს ერთი და უნივერსალური განმარტება. თითოეულისთვის ისაა ლიტერატურა, როგორც თავად განიცდის. ჩემთვის ეს სხვა სამყაროებში **გადაბარგების** საუკეთესო საშუალება. ეს მომწონს, ალბათ, ყველაზე მეტად და განსაკუთრებით მიყვარს სწორედ ის ავტორები, რომელთა სამყაროშიც ადვილად და მთელი არსებით გადავბარგდები ხოლმე, ,,იქ ყოფნის'' და ცოტა ხნით ,,იქ, სხვაგან ცხოვრების'' შესაძლებლობას ვინც მაძლევს.

მაშ, რა არის ლიტერატურა ან, თუ გნებავთ, რა საჭიროა ლიტერატურა? მოისმინეთ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ადამიანების პასუხები:

-,,ჩემთვის ლიტერატურა ადამიანთმცოდნეობაა''.

-,,როგორც ავტორისთვის, უფრო საკუთარი თავის დალაგებაა (ჯერჯერობით მაინც) და როგორც მკითხველისთვის – სხვის დალაგებულ თუ დასალაგებელ სახლში საკუთარი ადგილის პოვნა. ისე, ჰო, ძნელი გამოსათქმელია, უფრო მეტია, ან უფრო სხვაა, ვიდრე მასზე შეგვიძლია ვთქვათ…''

-,,ლიტერატურა ჩემთვის **გზამკვლევია** – ცხოვრებაში, ადამიანებში, საკუთარ თავში უკეთ გასარკვევად… გათავისუფლებს''.

-,,კატასავით ცხრაჯერ ცხოვრების საშუალება".

- ,,ემიგრაცია რეალობიდან…''

-,,ლიტერატურა, ჩემი აზრით, სიტყვებით **გაშუალებული** სინამდვილეა, რომელიც ისევე აუცილებელია სამყაროს აღქმისათვის, მიღებისათვის, კვლევისათვის, პროგრესისათვის, როგორც ფიზიკა და ქიმია''.

-,,ზოგადად, აზრის ფორმაა, კონკრეტულად კი – გამოცდილებათა გაზიარება…''

-,,ასტროფიზიკაში არის მოსაზრება, რომ შავი ხვრელები ძალიან დიდი პლანეტების ,,სიკვდილის'' შედეგად წარმოიშობა. ანუ პლანეტა, რომელიც დაიცლება თავისი სასიცოცხლო ნაერთებისგან, იკუმშება, იკუმშება და შესაძლოა ფეხბურთის ბურთისოდენაც გახდეს მზეზე ათასჯერ დიდი ვარსკვლავი. ეს ქმნის კოლოსალურ, ადამიანის გონებისთვის **მიუწვდომელ** და გამოუთვლელ ენერგიას, რომელშიც ქრება დრო და სივრცე. ეს ენერგია ჭამს საკუთარ თავს, გარშემო ყველაფერს იზიდავს, იერთებს და აქრობს. ღმერთმა **უწყის,** სად მიაქვს. არსებობს მოსაზრება, რომ პარალელურ განზომილებებში (თუ ეს უკანასკნელი არსებობს)… მოკლედ, ამ შავი ხვრელებიდან გამოიტყორცნება სხივი, რომელიც ჩვეულებრივ სინათლის სხივზე უზომოდ დიდი სისწრაფით მოძრაობს და მილიარდობით სინათლის წლის მანძილზე ყველაფერს წვავს. მოკლედ, რატომ დავეცი **ქადაგად…** ლიტერატურაც შავ ხვრელს ჰგავს - გიზიდავს, გითრევს, სხვაგან გადაჰყავხარ, სხვა **განზომილებაში,** და მის სიახლოვეს არ არსებობს დრო და სივრცე და თუ არსებობს – მხოლოდ მის მიერ შემოთავაზებული. და არის ხოლმე, ბოლოს სასწაულად დიდი სხივი გამოდის მისგან''.

ცხადია, ერთად აღებული ყველა ეს განსაზღვრებაც არ არის საკმარისი ლიტერატურის, უფრო სწორად, მხატვრული ლიტერატურის არსის ამომწურავი განმარტებისთვის და

კითხვა კვლავაც პასუხგაუცემელი რჩება, თუმცა სხვადასხვა თვალსაზრისის მოსმენა და ამაზე კიდევ ერთხელ (და მრავალგზის) დაფიქრება არასოდესაა ზედმეტი.

ადამიანები მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ქმნიან **წარმოსახვით,** პარალელურ, მხატვრულ რეალობებს და, ვფიქრობ, ასევე გაგრძელდება, სანამ კაცობრიობა იარსებებს.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ა.

I. თანამედროვე სამყაროში მოზარდებს ძალიან აინტერესებთ მხატვრული ლიტერატურა.

II. თანამედროვე სამყაროში მოზარდებს სულ უფრო ნაკლებად აინტერესებთ მხატვრული ლიტერატურა.
III. თანამედროვე სამყაროში მოზარდები საერთოდ არ კითხულობენ ლიტერატურას.

ბ.

I. არსებობს ერთი და უნივერსალური განმარტება, თუ რა არის ლიტერატურა.
II. არ არსებობს ერთი და უნივერსალური განმარტება, თუ რა არის ლიტერატურა.
III. უნივერსალური განმარტებები საერთოდ არ არსებობს.

გ.

I. შავი ხვრელები ძალიან დიდი პლანეტების „სიკვდილის" შედეგად წარმოიშობა.
II. შავი ხვრელები არ არსებობს.
III. შავი ხვრელები პატარა პლანეტების „სიკვდილის" შედეგად წარმოიშობა.

8. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რამ შეცვალა თანამედროვე სამყაროში წიგნი?
რა კითხვებია, რომლებზეც პასუხის გაცემა არცთუ იოლია?
არსებობს თუ არა ლიტერატურის უნივერსალური განმარტება?
ჩამოთვალეთ ტექსტში მოცემული შეხედულებანი იმის თაობაზე, თუ რა არის ლიტერატურა.
რით ჰგავს ლიტერატურა შავ ხვრელს?

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ღილაკზე ცნებები ითავსებდა ვერბალიზებაც წარმოსახვის მხატვრული

თანამედროვე სამყაროში მოზარდებს სულ უფრო ნაკლებად აინტერესებთ …… ლიტერატურა. ახალი ინფორმაციის მიღება, ფანტაზიისა და …….. უნარის ამოქმედება, თავისუფალი დროის გატარება – ეს ყველაფერი ახლა გაცილებით მარტივად, სულ რამდენიმე ……. თითის დაჭერითაა შესაძლებელი. ტექნოლოგიის ასეთ განვითარებამდე კი სწორედ წიგნი …….. ამ ფუნქციებს.

არის ……, რომელთა მიმართაც თითოეულ ჩვენგანს საკუთარი დამოკიდებულება აქვს, რომელთა ……..… საკმაოდ ძნელია.

10. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

თანამედროვე სამყაროში მოზარდებს სულ უფრო ნაკლებად აინტერესებთ მხატვრული ლიტერატურა. _____
არსებობს ერთი და უნივერსალური განმარტება. თითოეულისთვის ისაა ლიტერატურა, როგორც თავად განიცდის._____
„ლიტერატურა ჩემთვის გზამკვლევია – ცხოვრებაში, ადამიანებში, საკუთარ თავში უკეთ გასარკვევად… გათავისუფლებს". _____

„ჩემთვის ლიტერატურა არის ჩემი ცხოვრების გარე მხარე... _____

„ლიტერატურა ზოგადად, აზრის ფორმაა, კონკრეტულად კი – გამოცდილებათა გაზიარებაა…" _____

ადამიანები წამებში ქმნიან წარმოსახვით, პარალელურ, მხატვრულ რეალობებს _____

11. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ურთიერთგაზიარებაა განიცდის სინამდვილეა ადამიანთმცოდნეობაა

განმარტება ფუნქციებს

ტექნოლოგიის ასეთ განვითარებამდე წიგნი ითავსებდა ამ .....

ყველაზე საინტერესო, ვფიქრობ, სწორედ ამ გამოცდილებათა .....

არ არსებობს ერთი და უნივერსალური .....

თითოეულისთვის ისაა ლიტერატურა, რადაც თავად .....

ჩემთვის ლიტერატურა .....

ლიტერატურა, ჩემი აზრით, სიტყვებით გაშუალებული .....

12. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 6
გოეთეს ბრძნული გამონათქვამები

1. ვინ არის გოეთე? გაგიგიათ რამე მის შესახებ?
2. გოეთემ დაწერა „ფაუსტი“. მოიძიეთ ინფორმაცია, რის შესახებაა ეს ნაწარმოები და მოაწყვეთ განხილვა.
3. წაიკითხეთ ტექსტი.

გოეთეს ბრძნული გამონათქვამები

გოეთე გახლდათ გერმანელი მწერალი და **მოაზროვნე.** მისი შემოქმედების ყველაზე მაღალ საფეხურად, ითვლება "ფაუსტი", რომელიც **ალეგორიული** ხასიათის ნაწარმოებია. მასში ასახულია სხვადასხვა ეპოქის **იერარქია.** გოეთეს ეკუთვნის რამდენიმე ათეული საკმაოდ ცნობილი **გამონათქვამი.** სწორედ მათ გადავავლებთ ამჯერად თვალს. იმედია, **გაწბილებულნი** არ დარჩებით.

- მათემატიკოსები ფრანგებივით არიან; როცა მათ ელაპარაკები, ყველაფერს თავიანთ ენაზე თარგმნიან და შემდეგ უცებ ყველაფერი სულ სხვა რამ არის.
- ყველაზე სასაცილოა სურვილი, რომ ყველას მოსწონდე.
- დედამიწა მოსაცდელი დარბაზია იმ ქვეყნად გასამგზავრებლად.
- მხოლოდ ის არის საუკეთესო მთავრობა, რომელიც გვასწავლის ჩვენი თავის **მართვას.**
- არაფერში ისე არ **მჟღავნდება** ადამიანის ხასიათი, როგორც იმაში, თუ რა მიაჩნია მას სასაცილოდ.
- კანონი ძლიერია, ოღონდ უფრო ძლიერია გაჭირვება.
- თუ მიზნისკენ მიდიხარ და გზად შეჩერდები, რათა ყველა ძაღლს ქვა ესროლო, რომელიც გიყეფს, მიზნამდე ვერასოდეს მიაღწევ.
- ცისარტყელა ცაზე 15 წუთის განმავლობაში რომ ჩანდეს, არავინ მიაქცევდა მას ყურადღებას.
- იმედი უბედურთა მეორე სულია.
- სიცოცხლე არის ისეთი **გამოცდილება,** რომლის გამოც სიამოვნებით აღარ ვკვდებით.
- ჭკვიანების დაცინვა სულელების ბუნებრივ **პრივილეგიას** წარმოადგენს.
- მე არასოდეს მსმენია რაიმე ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენასაც თავად ვერ შევძლებდი.

- ადამიანი ადამიანის ადამიანური ადამიანობით ადამიანობს.
- მხოლოდ ის ადამიანია სიცოცხლის ღირსი, ვინც **დღენიადაგ** ბრძოლით მოიპოვებს ცხოვრების უფლებას.
- შეუძლებელია, ყოველთვის იყო გმირი, მაგრამ ყოველთვის შეიძლება დარჩე ადამიანად.
- ხშირად კარგავენ დროს უსარგებლო ამბების კითხვაში. კაცმა მხოლოდ ის უნდა წაიკითხოს, რაც **აღტაცების** ღირსია.
- ყოველდღე უნდა მოისმინო თუნდაც ერთი სიმღერა, შეხედო კარგ სურათს, წაიკითხო ერთი ბრძნული აზრი მაინც.
- სრული ბედნიერების ჟამს თითოეული დღე მთელი სიცოცხლეა!
- თუკი ჭაბუკი ყველამ შეიძულა, ჩანს, ის რაღაცას წარმოადგენს.
- დაემორჩილე წყურვილის გრძნობას, წყალი დალიე, მაგრამ ,წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ.
- როცა იდეა მარცხს განიცდის, საქმეში აქტიურად ერთვებიან სიტყვები.
- ჩვენ არასდროს ვტყუვდებით - ჩვენ თავადვე ვიტყუებთ საკუთარ თავს.
- არავინ არ იმყოფება ისეთ უიმედო მონობაში, როგორც ისინი, ვისაც **გულუბრყვილოდ** სჯერა, რომ ბოლომდე თავისუფალია.
- ნებისმიერი ადამიანი შეიძლება დავაპატიმროთ და მივუსაჯოთ უვადო თავისუფლების **აღკვეთა** ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე და ის თავის თავში იპოვის პასუხს კითხვაზე- რატომ?
- სიცოცხლე მხოლოდ მაშინ არის კარგი, როდესაც სიყვარულის სხივითაა გამთბარი.
- დიდი რევოლუციის მოხდენაში ხალხი კი არ არის დამნაშავე, არამედ- მთავრობა.
- **სიღატაკის** დანახვა შურიანებს არ აშფოთებთ.
- შეცდომა სასარგებლოა ხოლმე, ვიდრე ახალგაზრდები ვართ, ოღონდ სიბერემდე არ უნდა ვათრიოთ ის.
- ქალი ყოველი არსის გვირგვინია.
- თუნდაც აუსრულებელი მაღალი მიზნები უფრო ძვირფასია, ვიდრე აღსრულებული მდაბალი მიზნები.
- ვინც მარტოობას დანებდება, ის მალე **მარტოხელა** გახდება.
- არსებობენ **ცრუხელოვანები** – დილეტანტები და **გადამყიდველები.** პირველნი ხელოვნებაში იღვწიან გართობისათვის, მეორენი კი – გამორჩენისათვის.
- შინაგანი სამყაროს გადმოცემა ბგერებით, ყოველგვარ სხვა საშუალებათა დახმარების გარეშე, მუსიკის უდიდესი და უძვირფასესი თვისებაა.
- ადამიანი იმას აქებს, ვისიც სწორ და ტოლად თავისი თავი მიაჩნია.
- ადამიანი, რომელიც წვრილმანებისთვის ზრუნავს, სთესს ცრუ-მედიდურობას და მკის **სასოწარკვეთილებას.**
- ადამიანი თავის თავს ცნობს არა გონების თვალით, არამედ გამოცდილებით, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა შეუდგება მოვალეობის აღსრულებას.
- ადამიანის თვისებაა ჰკიცხოს ყოველივე ის, რის უნარიც თვითონ არ აქვს.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ა.

I. გოეთე გახლდათ ფრანგი მწერალი და მოაზროვნე.
II. გოეთე გახლდათ გერმანელი მწერალი და მოაზროვნე.
III. გოეთე გახლდათ ქართველი მწერალი და მოაზროვნე.

ბ.

I. ყველაზე სატირალია სურვილი, რომ ყველას მოსწონდე.
II. ყველაზე სასაცილოა სურვილი, რომ ყველას სძულდე.
III. ყველაზე სასაცილოა სურვილი, რომ ყველას გაექცე.

გ.

I. იმედი უბედურთა მეორე გულია.
II. იმედი უბედურთა მეორე სულია.
III. იმედი უბედურთა სულია.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

სადაური მწერალი იყო გოეთე?

დაასახელეთ, გოეთეს რა ნაწარმოებს იცნობთ.

რა არის ასახული ფაუსტში?

ისაუბრეთ იმ ბრძნული გამონათქვამების შესახებ, რომლებიც ტექსტშია მოცემული.

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

საფეხურად გაწბილებულნი იერარქია გამონათქვამი ალეგორიული მოაზროვნე

გოეთე გახლდათ გერმანელი მწერალი და ..... მისი შემოქმედების ყველაზე მაღალ ..... ითვლება "ფაუსტი", რომელიც ..... ხასიათის ნაწარმოებია. მასში ასახულია სხვადასხვა ეპოქის ……. გოეთეს ეკუთვნის რამდენიმე ათეული საკმაოდ ცნობილი …… სწორედ მათ გადავავლებთ ამჯერად თვალს. იმედია, …… არ დარჩებით.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

დედამიწა მოსაცდელი დარბაზია კოსმოსში გასამგზავრებლად. _____

მხოლოდ ის არის საუკეთესო მთავრობა, რომელიც გვასწავლის ჩვენი თავის მართვას. _____

კანონი ძლიერია, ოღონდ უფრო სუსტია გაჭირვება. _____

ადამიანი ადამიანის ადამიანური ადამიანობით ადამიანობს. _____

სრული ბედნიერების ჟამს თითოეული დღე მთელი სიხარულია. _____

სიღატაკის დანახვა კეთილებს არ აშფოთებთ. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მართვას სიტყვები გამთბარი აღსრულებას

აშფოთებთ წარმოადგენს გასამგზავრებლად

დედამიწა მოსაცდელი დარბაზია იმ ქვეყნად .....

მხოლოდ ის არის საუკეთესო მთავრობა, რომელიც გვასწავლის ჩვენი თავის .....

ჭკვიანების დაცინვა სულელების ბუნებრივ პრივილეგიას .....

როცა იდეა მარცხს განიცდის, საქმეში აქტიურად ერთვებიან .....

სიცოცხლე მხოლოდ მაშინ არის კარგი, როდესაც სიყვარულის სხივითაა .....

სიღატაკის დანახვა შურიანებს არ .....

ადამიანი თავისთავს ცნობს არა გონების თვალით, არამედ გამოცდილებით, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა შეუდგება მოვალეობის .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით

თემა 7
გაბრიელ გარსია მარკესი

1. გსმენიათ გაბრიელ გარსია მარკესის სახელი?

2. სადაური იყო მარკესი?

3. მარკესი ნობელის პრემიის ლაურეატი იყო. იმსჯელეთ ნობელის პრემიის შესახებ.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

გაბრიელ გარსია მარკესი

გაბრიელ ხოსე გარსია მარკესი (Gabriel José García Márquez) (დ. 6 მარტი, 1928) კოლუმბიელი მწერალი, ჟურნალისტი, გამომცემელი და პოლიტიკური აქტივისტი. დაიბადა ქალაქ არაკატაკაში მაგდალენას დეპარტამენტი, კოლუმბია, თუმცა ცხოვრების ძირითადი ნაწილი მექსიკასა და ევროპაში გაატარა. სიცოცხლის ბოლო წლებში დროის ძირითად ნაწილს მეხიკოში ატარებდა.

ცხოვრება და შემოქმედება

გარსია მარკესი კარიერას იწყებს როგორც ბოგოტას ყოველდღიური გაზეთის „ელ-ესპექტადორის“ რეპორტიორი, მოგვიანებით კი მუშაობს ამავე გაზეთის უცხოეთის კორესპონდენტად რომში, პარიზში, ბარსელონაში, კარაკასსა და ნიუ-იორკში.

მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები “დამხრჩვალი მეზღვაურის ამბავი” იყო, რომელიც მან პირველად გაზეთში, პუბლიკაციების სერიის სახით გამოაქვეყნა 1955 წელს. წიგნი მოგვითხრობს გემის დაღუპვის ნამდვილ ამბავს. თხრობის პროცესში ამხელს გემზე კონტრაბანდისტული საქონლის არსებობს, რაც საბოლოოდ გემის დაღუპვის მიზეზი ხდება, ჭარბტვირთიანობის გამო. ამ ნაწარმოებმა საზოგადოების **მითქმა–მოთქმა** გამოიწვია, რადგან მასში მოთხრობილი ამბები ეწინააღმდეგებოდა გემის დაღუპვის გამოცხადებულ ოფიციალურ ვერსიას. სწორედ აქედან დაიწყო გაბრიელ–გარსია მარკესის ურთიერთობის **დაძაბვა** კოლუმბიის ხელისუფლებასთან, რამაც შემდგომში იგი **პერსონა ნონ გრატად** აქცია საკუთარ სამშობლოში. შემდგომში ეს საგაზეთო პუბლიკაციები 1970 წელს ერთ წიგნად გამოიცა რომანის სტატუსით.

მის ნაწარმოებებში გამოგონილი ამბავი ენაცვლება ნამდვილს. თხრობის **მაღალმხატვრულმა** მანერამ და წერის გამორჩეულმა სტილმა გაბრიელ–გარსია მარკესი მისი შემდგომი ნაწარმოებების წყალობით XX საუკუნის ლიტერატურულ სიმბოლოდ აქცია. 1981 წელს მარკესმა გამოქვეყნა "გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა" და "სიყვარული შავი ჭირის დროს". ამ ნაწარმოებებიდან გაბომ, როგორც მას შემოკლებით უწოდებენ, დაიწყო თავისი მაგიური სამყაროს საძირკვლის ჩაყრა და იმ პერსონაჟების შემოყვანა ამ მაგიურ სივრცეში, რომლებიც წიგნიდან წიგნში უცვლელი **პერსონაჟები** ხდებიან მისი ნაწარმოებებისა.

გაბრიელ გარსია მარკესის ყველაზე წარმატებული ნაწარმოები, თუ წიგნის გაყიდული ეგზემპლარებითა და მკითხველი საზოგადოების აზრის გათვალისწინებით ვიმსჯელებთ, რომანი "მარტოობის ასი წელიწადი" გახდა (ქართულად თარგმნა ელზა ახვლედიანმა). ეს რომანი მწერალმა 1967 წელს დაწერა და პირველი გამოცემიდან დღემდე მთელი მსოფლიოს მასშტაბით 10 მილიონ ეგზემპლარზე მეტია გაყიდული. წიგნი მოგვითხრობს გამოგონილი სოფლის, მაკონდოს, მცხოვრებლების რამდენიმე თაობაზე, სოფლის დაარსებიდან უკანასკნელი ბუენდიას დაღუპვამდე. წიგნში ნაამბობია მარტოობის იმ ას წელიწადზე, რომლებიც თან სდევდა ბუენდიების გვარის წარმომადგენლების ცხოვრებას თაობიდან თაობამდე. ამ რომანით გაბრიელ გარსია მარკესმა რომულო გალეგოს პრემია დაიმსახურა 1972 წელს. 1982 წელს კი მას ნობელის პრემია მიენიჭა ნაყოფიერი და შემოქმედებითი ლიტერატურული კარიერისათვის.

1999 წელს გაბოს ექიმებმა დიაგნოზი დაუსვეს – ლიმფური სისხლძარღვების კიბო. ამ მოვლენამ მწერალს **მემუარების** წერა დააწყებინა.

2002 წელს მარკესმა გამოაქვეყნა მემუარების კრებული, რომელსაც სათაურად სამი ესპანურ სიტყვა უძღოდა წინ: Vivir para contarla (იცხოვრო, რათა მოჰყვე). მარკესს თავისი მემუარების გამოცემა სამ ტომად ჰქონდა ჩაფიქრებული და ეს წიგნი პირველი ტომია მისი უზარმაზარი ავტობიოგრაფიული შრომისა. გამოცემისთანავე წიგნი ბესტსელერად იქცა ესპანურენოვან სამყაროში. ამ წიგნის 2003 წელს გამოცემული თარგმანი კი – ახალ ბესტსელერად იქცა.

მარკესი 2015 წელს 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან ახალი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ა.

I. გაბრიელ გარსია მარკესი კოლუმბიელი მწერალია.
II. გაბრიელ გარსია მარკესი ინგლისელი მწერალია.
III. გაბრიელ გარსია მარკესი კოლუმბიელი ექიმია.

ბ.

I. მარკესის ბოლო მნიშვნელოვანი ნაწარმოები "დამხრჩვალი მეზღვაურის ამბავი" იყო.
II. მარკესის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები "დამხრჩვალი მეზღვაურის ამბავი" იყო.
III. მარკესს ნაწარმოები "დამხრჩვალი მეზღვაურის ამბავი" არ დაუწერია.

გ.

I. მარკესს თავისი მემუარების გამოცემა ერთ ტომად ჰქონდა ჩაფიქრებული.
II. მარკესს თავისი მემუარების გამოცემა ორ ტომად ჰქონდა ჩაფიქრებული.
III. მარკესს თავისი მემუარების გამოცემა სამ ტომად ჰქონდა ჩაფიქრებული.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

მწერლობის გარდა, კიდევ რით იყო დაკავებული მარკესი?
სად დაიწყო საქმიანობა მარკესმა?

რომელია მარკესის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები?
რომელია გაბრიელ გარსია მარკესის ყველაზე წარმატებული ნაწარმოები?
რომელ წელს მიენიჭა ნობელის პრემია მარკესს?
რის დიაგნოზი დაუსვეს ექიმებმა მარკესს?
რა იყო მარკესის მეტსახელი?
როდის გარდაიცვალა მარკესი?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

კარიერას ეწინააღმდეგებოდა დაძაბვა ხელისუფლებასთან

კორესპონდენტად გამომცემელი

მარკესი იყო კოლუმბიელი მწერალი, ჟურნალისტი, ... და პოლიტიკური აქტივისტი.
მარკესი ..... იწყებს როგორც ბოგოტას ყოველდღიური გაზეთის „ელ-ესპექტადორის“ რეპორტიორი, მოგვიანებით კი მუშაობს ამავე გაზეთის უცხოეთის ..... რომში, პარიზში, ბარსელონაში, კარაკასსა და ნიუ-იორკში.
რომანში მოთხრობილი ამბები ..... გემის დაღუპვის გამოცხადებულ ოფიციალურ ვერსიას.
სწორედ აქედან დაიწყო გაბრიელ–გარსია მარკესის ურთიერთობის ..... კოლუმბიის .....

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

მარკესმა ცხოვრების ძირითადი ნაწილი აფრიკაში გაატარა. _____
მარკესის ნაწარმოებებში გამოგონილი არაფერია. _____
2002 წელს მარკესმა გამოაქვეყნა თავისი მემუარების კრებული. _____
მარკესი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. _____
მარკესს ნობელის პრემია მიენიჭა „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკისათვის.“ _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ჩაყრა მიენიჭა კრებული ჩაფიქრებული ნამდვილს.

მის ნაწარმოებებში გამოგონილი ამბავი ენაცვლება ……..
ამ ნაწარმოებებიდან მარკესმა დაიწყო მისი მაგიური სამყაროს საძირკვლის .....
1982 წელს მარკესს ნობელის პრემია .....
2002 წელს მარკესმა გამოაქვეყნა თავისი მემუარების .....
მარკესს თავისი მემუარების გამოცემა სამ ტომად ჰქონდა .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

12. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი.

თემა 8
ინტერვიუ მწერალ შოთა იათაშვილთან

შოთა იათაშვილი პროფესიით მათემატიკოსია. ლექსების წერა 19-20 წლისამ დაიწყო. მისი ერთ-ერთი პირველი მოთხრობაა "ავადმყოფი ქალაქი", რომელიც მაშინვე ითარგმნა და "დრუჟბა ნაროდოვში" გამოქვეყნდა. პოეტმა და პროზაიკოსმა უკვე 15-მდე წიგნი გამოსცა. "**ამბიონმა**" ბატონ შოთას რამდენიმე კითხვით მიმართა:

– ბატონო შოთა, XX საუკუნის I ნახევარში ლიტერატურული მიმდინარეობები დიდი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. II ნახევრიდან კი პოსტმოდერნიზმი გაბატონდა და ახლაც გრძელდება. თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე და თუ არის ამის შეცვლა საჭირო?

– ლიტერატურა ისეთი რამ არის, რომ ვერაფერს დაგეგმავ. ნათქვამია: ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. როცა მწერლები მიხვდებიან, რომ ლიტერატურაში ერთი ეტაპი დასრულდა და ახალი უნდა დაიწყოს, მათი **მისწრაფებები** გაერთიანდება და გადაწყვეტენ, რაღაც რადიკალურად განსხვავებული დაამკვიდრონ, მაშინ ცვლილებებიც მოხდება. ეს პროცესი მიმდინარე მოვლენებთან არის დაკავშირებული. ვფიქრობ, რაღაც მართლაც უნდა შეიცვალოს და აუცილებლად შეიცვლება კიდეც, თუმცა ვერ გეტყვით, როდის, რადგან ამის პროგნოზირება ძნელია.

– თვლით, რომ თქვენი თაობის პოეზია უკვე შეჯამებას მოითხოვს, თუმცა ეს პროცესი გარკვეულ მიზეზთა გამო იწელება. რა უშლის ამას ხელს და რა არის საჭირო პოეზიის შეჯამებისათვის?

– ჩვენი თაობის პოეზია შეჯამებას ითხოვს იმიტომ, რომ ახალი თაობა მოდის, რომელიც გარკვეული წრისთვის, საკუთარი თავისთვის არსებობს, შემდეგ კი მისი არეალი ფართოვდება და იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს. ჩვენი თაობა კი მწერლობის ორგანული ნაწილი უკვე გახდა, ამიტომ ეს ყველაფერი გაანალიზებას ითხოვს. ჩემი ბოლო წიგნი "დალაგება", რომელიც ორი კვირის წინ გამოვიდა, გარკვეულწილად, ამის მცდელობაა, რადგან წერილების უმეტესობა 90-იანელ მწერლებს, **პროზაიკოსებსა** და პოეტებს მივუძღვენი, რითაც გარკვეული წვლილი შევიტანე ლიტერატურის ისტორიაში. 13-14 წელია ამ თაობის მწერლებზე ვწერ. მათ შორის ზოგი გარდაცვლილია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს იმის განცდას, რომ ეს შემოქმედება დასრულდა, აღარ შეიცვლება, დინამიკა დამთავრებულია.

კრებულში "დალაგება" კრიტიკული წერილები სამ ნაწილად დავყავი. I ნაწილს "ავტორები და წიგნები" ჰქვია, რომელშიც კონკრეტულ ავტორებსა თუ წიგნებზე დაწერილი რეცენზიები შევიდა. II ნაწილს "ლიტერატურული პროცესისა და კულტურული ფენომენების შესახებ" ეწოდება. აქ **მიმოხილვითი** ხასიათის წერილებია გაერთიანებული და გარკვეული კუთხითაა შეფასებული ლიტერატურულ მთლიანობაში.

III ნაწილში კი ლიტერატურული პორტრეტებია მოცემული, ანუ როცა მწერლებს წარმოაჩენ თავიანთი ადამიანური თვისებებით, ხასიათით და ეს ხშირად დოკუმენტური პროზის ფორმებშია.

– რა ნაწარმოებები თარგმნეთ?

– 90-იან წლებში ამერიკული პოეზია ვთარგმნე. გამოვიდა ჩემი წიგნი "ამერიკელი პოეტები", რომელშიც შესულია 12-13 პოეტი ედგარ პოდან დაწყებული 60-იანი წლების თაობით დამთავრებული. გარდა ამისა, თანამედროვე რუსი პოეტების ნაწარმოებებს ვთარგმნი, რომელთა შორის ბევრი მეგობარი მყავს.

– რა მდგომარეობაშია დღეს ქართული პოეზია და პროზა?

– 80-იანი წლების ბოლოდან ქართული ლიტერატურის **განახლება** პოეზიამ დაიწყო, პროზაში კი ეს პროცესი შედარებით გვიან დაიწყო. დღეს კი, შემიძლია ვთქვა, რომ პროზაში უფრო საინტერესო მოვლენები აისახება, ვიდრე პოეზიაში.

თათია ნავროზაშვილი

თეონა ნოზაძე

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ა.

I. შოთა იაშვილი პროფესიით მათემატიკოსია.
II. შოთა იაშვილი პროფესიით ფილოლოგია.
III. შოთა იაშვილი პროფესიით ექიმია.

ბ.

I. ბევრი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
II. ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
III. ერთი მერცხალი ზაფხულს ვერ მოიყვანსო.

გ.

I. 80-იანი წლების ბოლოდან ქართული ლიტერატურის განახლება პროზამ დაიწყო.
II. 80-იანი წლების ბოლოდან ქართული ლიტერატურის განახლება პოეზიამ დაიწყო.
III. 80-იანი წლების ბოლოდან ქართული ლიტერატურის დაღმასვლა პოეზიამ დაიწყო.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რა პროფესიისაა მწერალი შოთა იათაშვილი?
რამდენი წლისა იყო, ლექსების წერა რომ დაიწყო?
რამდენი წიგნი აქვს გამოცემული პოეტს?
რას ამბობს ლიტერატურის შესახებ იათაშვილი?
რომელ კრებულში გააერთიანა კრიტიკული წერილები შოთა იათაშვილმა?
რა თარგმნა პოეტმა?
რა მდგომარეობაშია დღეს ქართული პოეზია და პროზა იათაშვილის აზრით?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ფართოვდება ორგანული დინამიკა გაანალიზებას
მნიშვნელოვან არსებობს ამბაფრებს

იმიტომ, რომ ახალი თაობა მოდის, რომელიც გარკვეული წრისთვის, საკუთარი თავისთვის ..... შემდეგ კი მისი არეალი ..... და იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ..... ადგილს იმკვიდრებს. ჩვენი თაობა კი მწერლობის ..... ნაწილი უკვე გახდა, ამიტომ ეს ყველაფერი ..... ითხოვს. 13-14 წელია ამ თაობის მწერლებზე ვწერ. მათ შორის ზოგი გარდაცვლილია, რაც კიდევ უფრო

..... იმის განცდას, რომ ეს შემოქმედება დასრულდა, აღარ შეიცვლება, ... დამთავრებულია.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

ლიტერატურა ისეთი რამ არის, რომ ვერაფერს დაგეგმავ. _____
ვფიქრობ, არაფერია შესაცვლელი და არც შეიცვლება. _____
ჩვენი თაობის პოეზია შეჯამებას ითხოვს. _____
ჩვენი თაობა მწერლობის ორგანული ნაწილი ჯერ არ გამხდარა. _____
ეს შემოქმედება დასრულდა, აღარ შეიცვლება, დინამიკა დამთავრებულია. _____
90-იან წლებში აფრიკული პოეზია ვთარგმნე. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

დაკავშირებული ითხოვს შეიცვალოს დაგეგმავ გამოსცა

პოეტმა და პროზაიკოსმა უკვე 15-მდე წიგნი .....
ლიტერატურა ისეთი რამ არის, რომ ვერაფერს .....
ეს პროცესი მიმდინარე მოვლენებთან არის .....
ვფიქრობ, რაღაც მართლაც უნდა .....
ჩვენი თაობის პოეზია შეჯამებას .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

12. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 9-10
რა არის თხრობა?

1. წაიკითხეთ ტექსტი:

თხრობა

თხრობა არის ამბის გადმოცემა. ამბავი მოიცავს გარკვეულ მოქმედებას, რაც მიმდინარეობს დროსა და **სივრცეში.** თხრობისას მნიშვნელობა აქვს მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობას. ხშირად ერთი ამბავს მოსდევს მეორე, მეორეს _ მესამე და ა.შ. თხრობისას მოქმედება უნდა განვითარდეს ნათლად, ცოცხლად და საინტერესოდ. თხრობა შეიძლება იყოს ავტორისეული ან პერსონაჟისეული. ხშირად ავტორი პერსონაჟის როლში გამოდის და თხრობა მისი პოზიციიდან ხდება, ამგვარ შემთხვევაში თხრობა I პირში მიმდინარეობს. ავტორის მიერ თხრობის განვითარებისას მოვლენები მესამე პირის ფორმითაა წარმოდგენილი და ავტროი ნაწარმოებში არ ჩანს.

თხრობა ძირითადად ზმნების წარსული დროის ფორმებით ხდება. იშვიათად თხრობა შეიძლება აიგოს ზმნის სხვა დროის ფორმებითაც.

თხრობა ძირითადად შედგება სამი ნაწილისაგან:

I. **დასაწყისი ერთგვარი** შესავალია თხრობისათვის. დასაწყისში ავტორი გვაცნობს პერსონაჟებს, მიზანს. თხრობა შეიძლება სხვადასხვაგვარად დაიწყოს ავტორმა:

ზღაპარი: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა... იყო ერთი კაცი...

არაკი: იყო ერთი მდიდარი კაცი... ორი კაცი გზაზე მიდიოდა... ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი...

მოთხრობა: ეს მოხდა დიდი ხნის წინათ...

ნოველა: ყველაფერი ჩატარდა ძველებურად, სულ ძველებურად (ნ. ლორთქიფანიძე)

თხრობა ასევე შეიძლება დაიწყოს ძირითადი **სათქმელის** გადმოცემით ან მოქმედების დროისა და ადგილის მითითებით. თხრობისათვის ორიგინალური დასაწყისის შერჩევა ავტორზეა დამოკიდებული. ავტორი კარგი დასაწყისით ერთგვარად აინტერესებს მკითხველს, განაწყობს მას ნაწარმოების წასაკითხად.

II. **ძირითად ნაწილში** გადმოცემულია ავტორის ძირითადი სათქმელი. თხრობა სწორედ ძირითად ნაწილში იშლება. თხრობისას შესაძლოა ამბავი **თანმიმდევრულად** განვითარდეს, დროში გაიშალოს, მაგრამ შესაძლოა თხრობის პროცესში დროის ხაზის დარღვევაც მოხდეს და მასში **ჩანართის** სახით გაჩნდეს სხვა ეპიზოდებიც.

III. **დასასრული** ნაწარმოებში გაშლილი ამბის ლოგიკური დაბოლოებაა.

დიდი მოცულობის ნაწარმოებში **სიუჟეტის** განვითარება ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

ექსპოზიცია არის ნაწარმოების ის ნაწილი, რომელშიც მოცემულია ნაწარმოებში გადმოცემული მოქმედების წინავითარება. ავტორი ხშირად ნაწარმოებს ექსპოზიციით იწყებს, თავიდანვე გვაცნობს მოქმედების ადგილს, დროს, მთავარ მოქმედ პირს... კვანძი არის ნაწარმოების ის ნაწილი, რომელშიც იკვეთება მიზანი და **წინააღმდეგობები,** რაც **განაპირობებს** მოქმედების შემდეგ განვითარებას. **კულმინაცია** არის არის ნაწარმოების ის ნაწილი, სადაც მდგომარეობა ყველაზე მეტად არის დაძაბული და წინააღმდეგობა უმაღლეს წერტილს აღწევს. კვანძის გახსნა არის ნაწარმოების ის ნაწილი, რომელშიც ნაჩვენებია ნაწარმოებში განვითარებული წინააღმდეგობების შედეგად შექმნილი მდგომარეობა.

წინაამბავი არის ნაწარმოების ის ნაწილი, რომელშიც ავტორი გვაცნობს მოქმედი გმირის წარსულს ანუ წინაისტორიას; ხოლო ბოლოამბავი ის ნაწილია, რომელშიც ჩანს მოქმედ გმირთა ისტორია **კვანძის გახსნის** შემდგომ. **პროლოგი** არის ავტორის **წინასიტყვაობა; ეპილოგი _ ბოლოსიტყვაობა.**

2. შეავსეთ ცხრილი:

ექსპოზიცია	
კვანძი	
კულმინაცია	
კვანძის გახსნა	
წინა ამბავი	
ბოლო ამბავი	

3. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

4. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

5. უპასუხეთ კითხვებს:

რა არის თხრობა?

რამდენი ნაწილისგან შედგება თხრობა?

რა არის დასაწყისი?

რა არის ძირითადი ნაწილი?

რა არის დასასრული?

წარმოადგინეთ სიუჟეტის განვითარების თანამიმდევრობა.

6. აიღეთ რომელიმე მოთხრობა, წაიკითხეთ, გამოყავით თხრობის განვითარების საფეხურები და ჩაწერეთ ცხრილში შესაბამისი ადგილები.

7. ახლა წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული არაკი:

კაცი და დათვი

ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდნენ. კაცმა დათვი სახლში მიიპატიჟა და კარგი სუფრა გაუშალა. ქეიფის შემდეგ დათვმა წასვლა გადაწყვიტა და კაცს დაემშვიდობა. კაცმა გადაკოცნა დათვი და ცოლსაც უთხრა, დათვს კოცნით დამშვიდობებოდა. ქალმა დათვი გადაკოცნა, პირი მიიბრუნა და თქვა: პირმყრალ სტუმარი არ მიყვარსო. წავიდა დათვი.

კარგა ხნის შემდეგ კაცი წავიდა ტყეში დათვის სანახავად. თან ცული წაიღო, შეშას მოვჭრი და მოვიტანო. მივიდა დათვის სანახავად. დათვმა კარგად მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ კაცს უთხრა, ეგ ცული თავში დამარტყიო. კაცმა უარი უთხრა, დათვმა თხოვნა გაუმეორა. კაცმა ისევ უარი უთხრა, დათვმა დაიჯინა, არ მოეშვა, ბოლოს კაცმა თავში ჩაარტყა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა, კაცი კი სახლში წამოვიდა.

მეორე თვეს ისევ შეხვდნენ ერთმანეთს კაცი და დათვი. დათვმა უთხრა: _ ძმაო, შენი ცულით გატეხილი თავი გამიმთელდა და შენი ცოლის ენით დაჭრილი გული კი _ არაო.

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მიიპატიჟა ქეიფის გადაკოცნა პირმყრალი დაძმობილდნენ

ერთი კაცი და ერთი დათვი ..... კაცმა დათვი სახლში ..... და კარგი სუფრა გაუშალა. ..... შემდეგ დათვმა წასვლა გადაწყვიტა და კაცს დაემშვიდობა. კაცმა ..... დათვი და ცოლსაც უთხრა, დათვს კოცნით დამშვიდობებოდა. ქალმა დათვი გადაკოცნა, პირი მიიბრუნა და თქვა: ..... სტუმარი არ მიყვარსო. წავიდა დათვი.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდნენ. _____

კაცმა დათვი სახლში მიიპატიჟა და კარგი სუფრა გაუშალა. _____

შემდეგ კაცი წავიდა ტყეში ცოლის სანახავად._____

კაცი წავიდა ტყეში და თან თოკი წაიღო. _____

ცოტა ხნის შემდეგ კაცს უთხრა, ეგ ცული თავში დამარტყიო. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

გადაკოცნა სანახავად გამიმთელდა ერთმანეთს მოეშვა დამშვიდობებოდა

კაცმა გადაკოცნა დათვი და ცოლსაც უთხრა, დათვს კოცნით .....

ქალმა დათვი .....

კარგა ხნის შემდეგ კაცი წავიდა ტყეში დათვის .....

დათვმა დაიჯინა, არ .....

მეორე თვეს ისევ შეხვდნენ .....

შენი ცულით გატეხილი თავი .....

11. ახლა დაყავით ეს არაკი რამდენიმე ნაწილად:

დასაწყისი _ რომელი ნაწილია დასაწყისი?

შუა ნაწილი _ რომელ ნაწილში ვითარდება ამბავი?

დასასრული _ როგორ სრულდება არაკი?

საშინაო დავალება:

12. მოამზადეთ პატარა ამბები სხვებისთვის მოსაყოლად; დაწერეთ.

1. ჩემი პირველი დღე სკოლაში;
2. ერთხელ ჩემს მეგობართან რომ ვიყავი...
3. მე ძალიან მიყვარს მოგზაურობა. ერთხელ...
4. მახსოვს, როცა პატარა ვიყავი...
5. ერთი ამბავი უნდა გავიხსენო...
6. მაშინ სოფელში ვიყავი...

თემა 11-12
აღწერა

1. დაიყავით ორ ჯგუფად და თითო ჯგუფმა აიღეთ ორი ან მეტი საკითხი ქვემოთ მოცემული დავალებებიდან. ეცადეთ, რომ თითოეული აღწერა იყოს შესაბამისად ვრცელი. დაწერეთ თქვენ მიერ შედგენილი ტექსტი:

I. აღწერეთ თქვენი გარეგნობა;

II. აღწერეთ თქვენი მეგობრის ან ნაცნობის გარეგნობა;

III. აღწერეთ ის ოთახი, რომელშიც თქვენი მეცადინეობა ტარდება;

IV. აღწერეთ გარემო, შეგიძლიათ შეარჩიოთ ის გარემო, რომელსაც ახლა ხედავთ, ან შეგიძლიათ აღწეროთ ის ადგილი, რომელიც ძალიან მოგწონთ (მაგალითად, სოფლის ან ქალაქის ხედი, ბუნების რაიმე სურათი)

V. აღწერეთ დღევანდელი ამინდი;

VI. აღწერეთ, რა ხდება ლექციაზე.

2. წაიკითხეთ თქვენი ჯგუფის მიერ შესრულებული დავალება და შეადარეთ მეორე ჯგუფის მიერ შესრულებულ დავალებას. იყო თუ არა მათში საერთო სიტყვები ან გამოთქმები? ამოიწერეთ ეს სიტყვები და გამოთქმები:

_____

_____

_____

_____

_____

3. წაიკითხეთ, რა არის აღწერა:

- **აღწერა** ეს არის პიროვნების, საგნის, მოქმედების მახასიათებელი თვისებების გადმოცემა **სიტყვიერად;**
- აღწერისას გამოიკვეთება მნიშვნელოვანი, **თვალშისაცემი** თვისებები;

- აღწერისათვის უნდა შეირჩეს შესაფერისი ენობრივი საშუალებები (მხატვრულ ტექსტში ავტორი ხშირად იყენებს **შედარებებს, ეპითეტებს, მეტაფორებს...**).

აღწერა შეიძლება იყოს:

გარეგნობის აღწერა _ პორტრეტი

ბუნების აღწერა _ პეიზაჟი

მოქმედების აღწერა _ სცენა

აღწერას ავტორი გარკვეული მიზნით მიმართავს. მას სურს შექმნას **დამახასიათებელი** სურათი, განწყობის შესაფერისი **გარემო,** მოქმედების შესაბამისი ატმოსფერო. ყოველივე ეს კი მიიღწევა მნიშვნელოვანი და მახასიათებელი ნიშნების გამოკვეთით და მათი ჩამოთვლით. ხშირად აღწერა ავტორის მიზანს ემსახურება, იგი გარკვეულად ხსნის ავტორის **დამოკიდებულებას** და ამზადებს მკითხველს ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებისათვის.

გარეგნობის აღწერისას მნიშვნელოვანია სახე, თვალები, თმა, ღიმილი, აღნაგობა, სიმაღლე, სიარულის **მანერა,** გამოხედვა... პორტრეტის აღწერისას ყოველივე ამას ექცევა ყურადღება და ადამიანი ამ ნიშნებით ხასიათდება. ამიტომ გარეგნობის აღწერისას უფრო მეტად გამოიყენება *ზედსართავი* სახელები, ხოლო ზმნები კი შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება.. გარეგნობის აღწერისას შეიძლება გამოვიყენოთ ფორმები: *აქვს, უხდება...* აღწერისას შეიძლება მახასიათებელი ნიშნები ჩამოთვლილი იყოს, მაგალითად: "ძიძია იყო თექვსმეტი წლისა, მაშასადამე, ასაკში მოსული ქალი, სრულიად *გაშლილი* და *გადაფურჩქნული.* ის იყო ***ტანადი,*** *ლამაზი, მშვენიერი ლამაზი თხელი* ტუჩებით... *თეთრ-ყირმიზ, ატლასის მსგავს* სახეზე დასთამაშებდა მხურვალების ნიშანი ელფერი... *მოჟუჟუნე, ლურჯი ცისფერი* თვალები მაცდურად უკამკამებდა... *შავი გრძელი* წამწამები გარს მცველებად მოსდგომოდა და *წვრილი ხავერდისებრი* წარბები გრძლად გადასჭიმოდა. *სქელი* თმა ორს ნაწნავად *თეთრ ბროლივით* ყელს *სუროსავით* შემოხვეოდა..." (ალ. ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა").

ბუნების აღწერისას ყურადღება ექცევა გარემოს: აღიწერება ხე, მთა, ბალახი, ცა, მდინარე, გზა... "იდგნენ **ჩამოღუშულნი,** ჩამოქუფრულნი: *სამი ბებერი ვაშლი, ერთი მაღალი, შეფითრული მსხალი, ერთი ძირგამოფულეროებული ტყემალი, ერთი ნახევრადშეფაკლული ჭერამი და ათიოდე პატარა ატამი, ქლიავი და ალუბალი. დასდიოდათ წვრილი, ცივი წვიმა, ჩასდევდათ ეს წვიმა ძირსდაწეულ შავ ტოტებს, მსხვილ-*

მსხვილ წვეთებად გროვდებოდა ბოლოებზე და მერე, იქიდან მოწყვეტილი, გამდნარ ტყვიასავით მძიმედ ეცემოდა მიწაზე..." (რ. ინანიშვილი, „მიტოვებული ბაღი“).

მოქმედების აღწერისას **მრავლად** გამოიყენება ზმნები: მაგალითად: **ვერტმფრენმა** თითქოს წრე *მოხაზა*, კლდეებში ფართო ადგილი *მონახა* და იქ *გაძვრა*.... "*მისდგომოდნენ* იმ შამბგადავლილ მიწას დაგრუზული, დათხუნული ღორები _ დიდები და პატარები _ *თხრიდნენ, აბრუნებდნენ,* რაღაცებს *ათქლაფუნებდნენ,* ისევ *თხრიდნენ,* ისევ *აბრუნებდნენ.* რიდით, სიფრთხილით *მისდევდნენ* ღორებს ქათმები, ბელტებზე *ქანაობდნენ,* ფრთებს *ფართხავდნენ, კენკავდნენ, იქექებოდნენ.*" (რ. ინანიშვილი, „მიტოვებული ბაღი“).

4. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. დაწერეთ ტექსტი:

აღწერისას შეარჩიეთ მოცემული ფორმებიდან რომელიმე, დაუმატეთ თქვენც და დაწერეთ გარეგნობის, ბუნების ან მოქმედების აღწერა:

გარეგნობა: ლამაზი, თაფლისფერი თვალები, სწორი თმა, სწორი და თხელი ცხვირი, ნაზი კანი, თეთრი (მუქი, ხორბლისფერი) კანი, მაღალი, ლერწამივით ტანი, გრძელი თითები....

ბუნება: დაბურული ტყე, მაღალი მთა, ცამდე აწვდილი ხეები, ვიწრო ბილიკი, მწვანე გაშლილი მინდორი, დაბალი ბუჩქები...

მოქმედება: სახლში ტრიალებს, წერს, კითხულობს, თამაშობს, საჭმელს აკეთებს, შეშას ჩეხს, პურს აცხობს.. ვარჯიშობს, ასწევს, მიდის, მოდის...

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. საშინაო დავალება:

- აღწერეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილი;
- აღწერეთ თქვენი მეგობარი;
- აღწერეთ, როგორია თქვენი დღე;
- აღწერეთ თქვენი საყვარელი ცხოველი;
- აღწერეთ რაიმე ნაგებობა, მაგალითად, სკოლა, გამგეობის შენობა.
- აღწერეთ თქვენი მეგობარი.
- აღწერეთ თქვენი საყვარელი მსახიობის გარეგნობა;
- აღწერეთ როგორი დღეა და როგორია თქვენი განწყობა.

თემა 13

ენა. ენის ფუნქციები

1. **რა არის ენა? გადმოეცით თქვენი სიტყვებით.**
2. **რომელ ენაზე ლაპარაკობთ თქვენ? რომელია თქვენი მშობლიური ენა?**
3. **გაიხსენეთ, რას ნიშნავს სიტყვა „მშობელი“. ტერმინი „მშობლიური“ მისგანაა ნაწარმოები. რატომ? იმსჯელეთ ჯგუფში.**
4. **წაიკითხეთ ტექსტი:**

ენის ფუნქციები

ენის საშუალებით გამოვხატავთ **აზრებს**. ენის ფუნქციას, გამოხატოს აზრი, ეწოდება **ექსპრესიული** ანუ **გამომხატველობითი** ფუნქცია.

აზრის გამოხატვა თავისთავად ნიშნავს **ურთიერთობას** ინდივიდთა შორის. ენის ამ ფუნქციას ეწოდება საკომუნიკაციო ფუნქცია. **კომუნიკაცია** გულისხმობს მინიმუმ ორ **ინდივიდს** მაინც, რომელთაგან ერთი ინფორმაციის გადამცემია (მოლაპარაკე), ხოლო მეორე _ ინფორმაციის მიმღები (მსმენელი).

ენა მხოლოდ აზრის გამოხატვისა და მისი გადმოცემის უბრალო საშუალება არ არის. იგი აზრის წარმომქნელი საშუალებაცაა.

აზროვნების **ცნებებად** ბგერების საშუალებით ნაწევრდება. ერთი ცნება რომ მეორისგან იყოს განსხვავებული, საჭიროა ისინი, პირველ რიგში, ბგერობრივად იყვნენ განსხვავებული.

ენა ანაწევრებს ბგერით გამოხატულებებს ცალკეულ ბგერებად ანუ ფონემებად და მათი სხვადასხვა კომბინაციით გამოხატავს სხვადასხვა ცნებას.

ყოველი ენა შედგება ბგერების ანუ ფონემებისაგან, რომელთა რიცხვი თითოეულ ენაში მერყეობს 10-დან 80-მდე. 10-15 ფონემა გვაქვს ზოგიერთ პოლინეზიურ ენაში, ხოლო 80 ფონემა _ ზოგ კავკასიურ ენაში.

ადამიანი რომ სოციალური არსება არ იყოს, მას არც ენა ექნებოდა, რადგანაც ენის მოთხოვნილება არ ექნებოდა. ენა არსებობს მხოლოდ საზოგადოებაში, სადაც უჩნდება ადამიანს ურთიერთგაგებინების მოთხოვნილება და საჭიროება. ენისათვის საზოგადოება წარმოადგენს იმას, რასაც ფიზიკური სხეულისთვის - სივრცე. არ არსებობს ენა

საზოგადოების გარეშე, ისევე, როგორც საზოგადოება არ არსებობს ენის გარეშე. ენის საჭიროება ჩნდება იქ, სადაც კომუნიკაციის მოთხოვნილება ჩნდება. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ საკომუნიკაციო ფუნქცია ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. სწორედ ამ პროცესში (კომუნიკაციის პროცესში) სჭირდება ადამიანს **წარმოდგენებისა** და ცნებების სიტყვებად **გარდაქმნა** და ამ გზით მეორე ადამიანთან ურთიერთობის დამყარება.

ორმა ადამიანმა ერთმანეთთან კავშირი რომ დაამყაროს, ამისათვის საჭიროა ისინი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ.

კომუნიკაციის მიზანია ურთიერთგაგებინება, ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ორი ინდივიდი იყენებს ერთსა და იმავე ენობრივ სისტემას.

ადამიანი სოციალურ არსებად რჩება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი მარტო რჩება საკუთარ თავთან. **მონოლოგშიც** იმავე ენას ვიყენებთ, რომელსაც დიალოგის შემთხვევაში მივმართავთ.

აზრი რომ გამოვხატოთ, იგი ჯერ სათანადო ენობრივ **ყალიბში** უნდა მოვაქციოთ. ორივე ამ ფუნქციას ენა ასრულებს. იგი კიდეც ანაწევრებს (აყალიბებს) აზროვნებას და კიდეც გამოხატავს მას. ამდენად, დანაწევრებითი და გამომხატველობითი ფუნქციები არც ეწინააღმდეგება ერთმანეთს და არც დაიყვანება ერთმანეთზე.

ის გარემოება, რომ ენა წარმოადგენს აზრის წარმომქმნელ ორგანოს, არ ნიშნავს ენისა და აზროვნების იგივეობას. ენა და **აზროვნება** სხვადასხვაა.

ენა პირობითი სისტემაა. მის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ იგი ჩვენ გვეძლევა არა უშუალოდ, არამედ ცალკეული სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების, ანუ, ტექსტების სახით. ყოველი ტექსტის **მიღმა** დგას გარკვეული ენა, რომელზე დაყრდნობითაც წარმოქმნილია ეს ტექსტი. ტექსტი ყოველთვის გარკვეულ ენას გულისხმობს.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ა.

I. ენის საშუალებით გამოვხატავთ აზრებს.

II. ენის საშუალებით გამოვთქვამთ სიმართლეს.

III. პირის საშუალებით გამოვხატავთ აზრებს.

ბ.

I. ენა მხოლოდ ფიქრის გამოხატვისა და მისი გადმოცემის საშუალება არ არის.

II. ენა მხოლოდ აზრის გამოხატვისა და მისი გადმოცემის საშუალება არ არის.

III. ენა მხოლოდ ჭკუის გამოხატვისა და მისი გადმოცემის საშუალება არ არის.

გ.

I. კომუნიკაციის მიზანია ურთიერთობა.

II. კომუნიკაციის მიზანია ურთიერთგაგებინება.

III. კომუნიკაციის მიზანია ურთიერთსიყვარული.

8. უპასუხეთ კითხვებს:

I. რა არის ენის ფუნქციები?

I. რა მიმართებაა ენასა და აზრს შორის?

II. რით გამოიხატება ცნება?

III. რა არის ფონემა?

IV. რა არის ენის ძირითადი ფუნქცია?

V. როგორი სისტემაა ენა?

VI. როგორ წარმოიქმნება ტექსტი?

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ენობრივ გადამცემია ურთიერთგაგებინება საკომუნიკაციო ინდივიდს ურთიერთობას

კომუნიკაციის მიზანია ....., ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ორი ინდივიდი იყენებს ერთსა და იმავე ..... სისტემას.

აზრის გამოხატვა თავისთავად ნიშნავს ..... ინდივიდთა შორის.

ენის ამ ფუნქციას ეწოდება ..... ფუნქცია. კომუნიკაცია გულისხმობს მინიმუმ ორ ..... მაინც, რომელთაგან ერთი ინფორმაციის ..... (მოლაპარაკე), ხოლო მეორე _ ინფორმაციის მიმღები (მსმენელი).

10. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

ენის საშუალებით გამოვხატავთ აზრებს. _____

ენა აზრის გამოხატვისა და მისი გადმოცემის უბრალო საშუალებაა. _____

აზროვნება ცნებებად ბგერების საშუალებით ნაწევრდება. _____

ენა ანაწევრებს ბგერით გამოხატულებებს ცალკეულ სიტყვებად. _____

ორმა ადამიანმა ერთმანეთთან ურთიერთობა რომ დაამყაროს, ამისათვის საჭიროა ისინი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ. _____

კომუნიკაციის მიზანია ურთიერთსიყვარული. _____

11. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

საზოგადოებაში სივრცე ფონემებისგან ურთიერთგაგებინება აზრებს ჩნდება

ენის საშუალებით გამოვხატავთ **.....**

ყოველი ენა შედგება ბგერების ანუ .....

ენა არსებობს მხოლოდ .....

ენისათვის საზოგადოება წარმოადგენს იმას, რასაც ფიზიკური სხეულისთვის .....

ენის საჭიროება ჩნდება იქ, სადაც კომუნიკაციის მოთხოვნილება .....

კომუნიკაციის მიზანია .....

12. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

თემა 14
ცხოველის ენა

1. **რა იცით ენის შესახებ?**

2. **ჩამოთვალეთ ენის ფუნქციები.**

3. **როცა ენაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ადამიანის ენას. ცხოველებს აქვთ ენა? იმსჯელეთ.**

4. **წაიკითხეთ ტექსტი:**

ცხოველის ენა

გარკვეულ ინფორმაციას ცხოველებიც გადასცემენ ერთმანეთს. მაგალითად, ფუტკარი, რომელიც მიდის **დაზვერვაზე,** პოულობს იმ ადგილს, სადაც ნექტარია, ბრუნდება სკაში და კედელზე ცეკვით გამოხატავს განვლილი გზის მოდელს. ამ გზას დაადგებიან შემდეგ მუშა ფუტკრები და შეუმცდარად აგნებენ მითითებულ ადგილს.

ასევე შეუძლიათ ჭიანჭველებს, ინფორმაცია მიაწოდონ თავისიანებს, თუკი ისინი საჭმელს წააწყდებიან. ჭიანჭველებს, როგორც ირკვევა, თვლაც შეუძლიათ (60-მდე მაინც). ამ მხრივ იგი **აჭარბებს** ყველაზე ჭკვიან ფრინველსაც კი.

ცნობილია, რომ ყვავს შეუძლია ოთხამდე დათვლა.

ძუძუმწოვარ ცხოველთაგან ყველაზე ჭკვიანი - მგელი - ათამდე ითვლის.

ძაღლი განასხვავებს სამ სხვადასხვა ბგერით სიგნალს: ყეფას, წკმუტუნსა და ყმუილს.

ისმის კითხვა: აქვთ თუ არა ცხოველებსა და ფრინველებს ენა? ანუ: აქვთ თუ არა ცხოველებსა და ფრინველებს აზროვნებისა და ბგერების დანაწევრების უნარი? პასუხი **ამთავითვე** მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: ცხოველებსა და ფრინველებს აზროვნებისა და ბგერების დანაწევრების უნარი არა აქვთ და, ამდენად, არც ენა აქვთ.

დანაწევრებული ანუ **კონცეპტუალური** აზროვნება აუცილებლად გულისხმობს დანაწევრებულ ბგერებს ანუ ფონემებს, მაგრამ ფონემები არც ერთი ცხოველის ან ფრინველის ბგერით სიგნალებში არ გამოიყოფა. მართალია, თუთიყუშები ახერხებენ ცალკეული სიტყვების თქმას, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ მათი ბგერითი სიგნალები ფონემებისაგან შედგება. ჯერ ერთი, თუთიყუშების დანაწევრებული მეტყველება

იმიტაციაა, წვრთნის შედეგია (თვითონ თუთიყუშს არავითარი **მიდრეკილება** არა აქვს დანაწევრებული მეტყველებისადმი), თანაც, ადამიანის ენაში ფონემები გარკვეული აზრის გადმოსაცემად გამოიყენება, თუთიყუშის ენაში კი დანაწევრებული მეტყველება რაიმე აზრს მოკლებულია. თუთიყუშის ენაში ფონემები აზროვნებასთან არაა დაკავშირებული და არ წარმოადგენს აზროვნების დანაწევრებულ პროდუქტს. თუთიყუში არა აქვს არც აზროვნებისა და არც ბგერათა დანაწევრების უნარი, მას მხოლოდ იმიტაცია შეუძლია. ამიტომ მთელი მისი უნარი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რამდენად შეუძლია გაიმეოროს ადამიანის დანაწევრებული ბგერები, მაგრამ ამ ბგერებში ის, ცხადია, რაიმე აზრს ვერ ჩადებს.

განსხვავება ადამიანისა და ცხოველის ენას შორის მხოლოდ **რაოდენობრივი** ხასიათისა არ არის, ანუ, ეს განსხვავება მხოლოდ იმაზე არ არის დამყარებული, რომ ადამიანმა შეიძლება იცოდეს, ვთქვათ, რამდენიმე ათასი სიტყვა, ხოლო ცხოველის "ლექსიკონში" არსებულ სიტყვათა რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელია. სხვაობა ადამიანისა და ცხოველის ენას შორის **თვისებრივია.** მთავარია ის, რომ ადამიანს აქვს უნარი დანაწევრებული აზროვნებისა, რასაც დანაწევრებულ ფორმალურ გამოხატულებასაც აძლევს.

ცხოველებისა და ფრინველების აზროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ ვიზუალური (მათი ამ ტიპის აზროვნებაც შეზღუდულია ადამიანის ვიზუალურ აზროვნებასთან შედარებით).

ვიზუალური აზროვნების ფარგლებში ცხოველები და ფრინველები წყვეტენ უმარტივეს ამოცანებს; ხანდახან ისინი მოქმედებენ არა ინსტინქტით, არამედ აშკარად **გააზრებულად,** მაგრამ მათი აზროვნება **იკონურია** და, ამდენად, მეტად შეზღუდულიც.

"ცხოველის ენა" მხოლოდ მეტაფორაა, თუ, რა თქმა უნდა, ენის ცნებაში ვიგულისხმებთ გარკვეულ შინაარსს. ადამიანთა ენის **ანალოგი** ცხოველთა და ფრინველთა სამყაროში არ მოიპოვება.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. უპასუხეთ კითხვებს:

როგორ გადასცემენ ერთმანეთს ინფორმაციას სხვადასხვა არსებები და ძირითადად რას ეხება ეს ინფორმაცია?

აქვთ თუ არა ცხოველებს ენა? როგორ დაასაბუთებთ პასუხს?

რა განსხვავებაა ადამიანის ენასა და ცხოველის მიერ წარმოთქმულ ბგერებით შედგენილ ერთეულებს შორის?

რა განსხვავებაა ადამიანისა და ცხოველის ენას შორის რაოდენობრივი და თვისებრივი თვალსაზრისით?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მოდელს მიაწოდონ დაზვერვაზე აჭარბებს შეუმცდარად ნექტარია ინფორმაციას გარკვეულ ..... ცხოველებიც გადასცემენ ერთმანეთს. მაგალითად, ფუტკარი, რომელიც მიდის ..... , პოულობს იმ ადგილს, სადაც..... , ბრუნდება სკაში და კედელზე ცეკვით გამოხატავს განვლილი გზის..... ამ გზას დაადგებიან შემდეგ მუშა ფუტკრები და ..... აგნებენ მითითებულ ადგილს.

ასევე შეუძლიათ ჭიანჭველებს, ინფორმაცია ..... თავისიანებს, თუკი ისინი საჭმელს წააწყდებიან. ჭიანჭველებს, როგორც ირკვევა, თვლაც შეუძლიათ (60-მდე მაინც). ამ მხრივ იგი ..... ყველაზე ჭკვიან ფრინველსაც კი.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

ცხოველებს ინფორმაციის გადაცემა არ შეუძლიათ _____

ცნობილია, რომ ყვავს შეუძლია ოთხამდე დათვლა. _____

ძუძუმწოვარ ცხოველთაგან ყველაზე ჭკვიანი - მგელი - ათასამდე ითვლის. _____

ძაღლი განასხვავებს სამ სხვადასხვა ბგერით სიგნალს: ყეფას, წკმუტუნსა და ყმუილს._____

დანაწევრებული აზროვნება არ გულისხმობს დანაწევრებულ ბგერებს ანუ ფონემებს. _____

ცხოველებისა და ფრინველების აზროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ ვიზუალური. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ყმუილს უნარი თვისებრივია იმიტაციაა ფონემებს დათვლა

ცნობილია, რომ ყვავს შეუძლია ოთხამდე .....

ძაღლი განასხვავებს სამ სხვადასხვა ბგერით სიგნალს: ყეფას, წკმუტუნსა და .....

აქვთ თუ არა ცხოველებსა და ფრინველებს აზროვნებისა და ბგერების დანაწევრების .....?

კონცეპტუალური აზროვნება აუცილებლად გულისხმობს დანაწევრებულ ბგერებს ანუ .....

თუთიყუშების დანაწევრებული მეტყველება .....

სხვაობა ადამიანისა და ცხოველის ენას შორის .....

11. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

თემა 15
ენის წარმოშობა

1. აქვთ თუ არა ცხოველებს ენა? იმსჯელეთ.

2. რით განსხვავდება ცხოველების „ენა“ ადამიანების ენისგან? დაიყავით ორ ჯგუფად და გამართეთ დისკუსია.

3. რას ნიშნავს ვიზუალური აზროვნება?

4. წაიკითხეთ ტექსტი:

ენის წარმოშობის საკითხი

ენის წარმოშობის საკითხი ენათმეცნიერების ტრადიციული პრობლემაა. ამ პრობლემატიკით დაინტერესებული იყვნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები და **ლინგვისტები.**

ერთ-ერთი პირველი თეორიის მიხედვით, ადამიანმა სულიერ და უსულო საგნებს სახელები შეურჩია იმის მიხედვით, თუ რა ბგერებს გამოსცემდნენ ისინი, ე. ი. მიბაძა მათ და შედეგად მივიღეთ ენა. ამ თვალსაზრისის მიხედვით ენის წარმოშობა იმიტაციის პროცესია.

ენებში მრავლად გვხვდება **ხმაბაძვითი** სიტყვები (მაგ.: ჭიჭყინი, ყიყინი, ხრაშახრუში, ბრაგაბრუგი, ბუყბუყი...), მაგრამ ეს არ არის ძირითადი ლექსიკა. გარდა ამისა, ენის წარმოშობა ლექსიკის გარდა გრამატიკასა და ფონეტიკასაც გულისხმობს.

როგორ გაჩნდა ენის გრამატიკა ან მისი ფონეტიკური სისტემა, როგორ შეიქმნა ძირითადი ლექსიკა ენისა, ე. ი. ისეთი ლექსიკა, რომელიც ამგვარ მიბაძვას გამორიცხავს (სახლი, მიწა, მზე, კარი სკამი, ცეცხლი...)?

გარდა ხმაბაძვითი თეორიისა, არსებობდა აგრეთვე ე. წ. შორისდებულთა თეორია, რომლის მიხედვითაც პირველყოფილმა ადამიანებმა ცხოველური ბგერითი სიგნალები **გარდაქმნეს** ბუნებრივ ბგერებად. ამ თეორიის მიხედვით, შორისდებულებისგან არის წარმოქმნილი ყველა სხვა სიტყვა.

ესა თუ ის სიტყვა მოცემულ ენაში წარმოშობით მართლა შეიძლება უკავშირდებოდეს შორისდებულებს, მაგრამ ამგვარ შემთხვევათა რიცხვი **ერთობ** მცირეა და პრაქტიკულად თუ თეორიულად ამ ფაქტს არ შეიძლება **ანგარიში გაეწიოს.**

გარკვეული წარმოდგენა დანაწევრებული ბგერების წარმოთქმის დინამიკაზე შეიძლება მოგვცეს ბავშვის მიერ ენის **ათვისების** პროცესმა, მაგრამ ენის წარმოშობასა და ბავშვის მიერ მის ათვისებას შორის პრინციპული სხვაობაა. ბავშვს აქვს გარკვეული ლინგვისტური ნიჭი, რომლის წყალობითაც იგი ითვისებს იმ ენას, რომელ ენობრივ კოლექტივშიც იზრდება. თვითონ ეს ნიჭი **თანდაყოლილი** ნიჭია, რომელიც ბავშვს განასხვავებს ცხოველისაგან. თანდაყოლილი ლინგვისტური ნიჭი შემდგომში რეალიზდება კონკრეტული ენის ან ენების სახით, ე. ი. ბავშვი ითვისებს ენას თუ ენებს, რაც ცხოველს არ შეუძლია.

მაიმუნი რომ გაიზარდოს ადამიანთა საზოგადოებაში, იგი მაინც ვერ ისწავლის ადამიანის ენას. ბავშვი კი ენას მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში ეუფლება და ცხოველებთან თუ გაიზრდება, მისი ამ ნიჭის რეალიზაცია არ მოხდება.

ერთია ენის **ათვისება** და მეორეა მისი წარმოშობა. ბავშვი ენას კი არ ქმნის, არამედ ითვისებს მას. ენის წარმოშობა კი ენის შექმნაა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი საკითხი: 1. ამა თუ იმ კონკრეტული ენის წარმოშობა-განვითარება (ვთქვათ, ქართული ენისა) და 2. საერთოდ ენის წარმოშობა. თუ ქართულს შეიძლება ჰქონდეს 4000 ან 5000 წლის ისტორია, ენის ისტორია მილიონამდე წლით განისაზღვრება (ადამიანი დედამიწაზე დაახლოებით მილიონი წელია, რაც არსებობს).

ენის წარმოშობის პროცესი სამუდამოდ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც იგი ხდებოდა **პრეისტორიულ** ხანაში, მილიონზე მეტი წლის წინ, როდესაც, რა თქმა უნდა, არ იყო დამწერლობა და ამიტომ ენის წარმოშობის შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია არ შემონახულა.

ერთი რამის თქმა კი შეიძლება, რომ **ჟესტიკულაციის** ენა უფრო ძველია, ვიდრე ბგერითი ენა. უფრო ძველია იმიტომ, რომ მას (ჟესტიკულაციის ენას) ცხოველებიც იყენებენ.

ადამიანის არსებობის ისტორია ბგერითი ენის წარმოშობის შემდეგ იწყება.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. უპასუხეთ კითხვებს:

რა თეორიები არსებობს ენის წარმოშობის შესახებ?

რა არის ხმაბაძვითი სიტყვა და რა მნიშვნელობა აქვთ მათ ენის წარმოშობის თეორიისათვის?

რა კითხვები დგება მეცნიერების წინაშე?

რას ნიშნავს შორისდებულთა თეორია?

რას აძლევს მეცნიერებს ბავშვის ენის კვლევა?

რას იტყვით ჟესტიკულაციის ენის სიძველის შესახებ და რით ხსნიან ამას?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მიხედვით წარმოშობა თვალსაზრისის შედეგად გამოსცემდნენ თეორიის

ერთ-ერთი პირველი ..... მიხედვით ადამიანმა სულიერ და უსულო საგნებს სახელები შეურჩია იმის....., თუ რა ბგერებს ..... ისინი, ე. ი. მიბაძა მათ და ..... მივიღეთ ენა. ამ ..... მიხედვით, ენის ..... იმიტაციის პროცესია.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

ენის წარმოშობის საკითხი ტრადიციული პრობლემაა _____

ენის წარმოშობა იმიტაციის პროცესია. _____

ენებში საერთოდ არ გვხვდება ხმაბაძვითი სიტყვები _____

გარდა ხმაბაძვითი თეორიისა, არსებობდა აგრეთვე ე. წ. შორისდებულთა თეორია_____ თანდაყოლილი ლინგვისტური ნიჭი ადამიანებსაც აქვთ და ცხოველებსაც. _____

ბავშვი ენას კი არ ითვისებს, არამედ ქმნის. _____

ჟესტიკულაციის ენა უფრო ძველია, ვიდრე ბგერითი ენა. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

სიტყვა სხვაობაა შორისდებულებს თეორია გულისხმობს

ენის წარმოშობა ლექსიკის გარდა გრამატიკასა და ფონეტიკასაც .....

გარდა ხმაბაძვითი თეორიისა, არსებობდა აგრეთვე ე. წ. შორისდებულთა .....

ამ თეორიის მიხედვით შორისდებულებისგან არის წარმოქმნილი ყველა სხვა .....

ესა თუ ის სიტყვა მოცემულ ენაში წარმოშობით მართლა შეიძლება უკავშირდებოდეს .....

11. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

თემა 16

დამწერლობის წარმოშობა

1. ჩამოთვალეთ, ენის წარმოშობის რომელი თეორიები იცით.

2. დავიყოთ ჯგუფებად და თითოეულმა ჯგუფმა დაასაბუთოს ერთ-ერთი თეორია.

3. რა არის ჟესტიკულაცია და რა კავშირი აქვს მას ენასთან? იმსჯელეთ.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

დამწერლობის წარმოშობა

დამწერლობა ჩნდება სამეტყველო ენის შემდეგ, მის **ბაზაზე.**

დამწერლობის წარმოშობამდე მიმართავდნენ საგანთა **სიმბოლიკას. პირველყოფილი** ხალხები **ომის გამოცხადების** ნიშნად ერთმანეთს უგზავნიდნენ შუბებს, ისრებს ან სხვა საომარ იარაღს. მაგრამ საგანთა სიმბოლიკა მაინც არ არის დამწერლობა.

დამწერლობის სფეროში **პიონერები** იყვნენ ძველი ეგვიპტელები, შუმერები და ძველი ჩინელები. ეგვიპტური და შუმერული დამწერლობა წარმოიშვა ჯერ კიდევ IV ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ცოტა მოგვიანებით, დამოუკიდებლად წარმოიშვა და შეიქმნა ჩინური დამწერლობაც.

ეგვიპტელები წერდნენ პაპირუსზე, რაც შემდეგ აქედან სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ქაღალდი შედარებით გვიან გაჩნდა ჩინეთში.

მაინც როგორი იყო პირველი დამწერლობა? იგი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა **ანბანური.** პირველი დამწერლობა პიქტოგრაფიულია. იგი აზრის **ფიქსაციის** ყველაზე ძველი საშუალებაა, რომელსაც ადამიანი იყენებდა საკომუნიკაციოდ. წერის პიქტოგრაფიული პრინციპი გულისხმობს ნახატების საშუალებით კომუნიკაციას.

წერის პიქტოგრაფიულ პრინციპს ამჟამადაც ფართოდ იყენებენ საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილებში; მაგალითად, მაღაზიებში, სადაც ხორცი იყიდება, ფირნიშზე დახატულია ხორცის ნაჭერი ან პირუტყვი, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოს ფირნიშზე დახატულია ფეხსაცმელი.

იდეოგრაფიული დამწერლობა არის პიქტოგრაფიული დამწერლობის მომდევნო, უფრო მაღალი საფეხური წერისა. იდეოგრაფიული დამწერლობის ზოგიერთი სახეობის (მაგ., ეგვიპტურის) მიმართ იხმარება ტერმინი იეროგლიფი, იეროგლიფური დამწერლობა.

იდეოგრაფიული წერის გრაფემები აღნიშნავენ მთლიან სიტყვებს, ცნებებს; ისინი სიტყვის აზრს გამოხატავენ და არა მის ბგერობრივ სტრუქტურას.

იდეოგრაფიული წერა არის საწყისი აზრის სიტყვობრივი დანაწევრებისა, შემდგომში ეს პროცესი უფრო ღრმავდება, ვითარდება. იდეოგრამები სტაბილური ხდება და **გარდაიქმნება** პირობით ნიშნებად. ამის გამო იდეოგრაფიული წერა კარგავს ინტერნაციონალურ ხასიათს და მის წასაკითხად საჭიროა სპეციალური შესწავლა. იდეოგრაფიული დამწერლობის ნიმუშია ამჟამად ჩინური.

ჩინური იეროგლიფები გადაიღეს იაპონელებმა და კორეელებმა. მათ შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა დაამყარონ იეროგლიფების საშუალებით, მიუხედავად იმისა, ერთმანეთის ენა იციან თუ არა.

დამწერლობის განვითარების მესამე და ძირითადი საფეხურია ალფაბეტური ანუ ანბანური დამწერლობა.

დამწერლობის ხანგრძლივი **ევოლუციის** შედეგად ყალიბდება წერის შედარებით მარტივი ტიპი _ კონსონანტური ასოთდამწერლობა.

ანბანური დამწერლობის **ჩანასახები** უკვე ეგვიპტურ დამწერლობაში გამოჩნდა, მაგრამ ეგვიპტელებს ანბანური დამწერლობა მაინც არ შეუქმნიათ.

ასეთი სისტემა პირველად ფინიკიელებმა შექმნეს. ანბანური დამწერლობის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ყოველი ასო გამოხატავს ერთ რომელიმე ბგერას, ყოველი ბგერა გადმოიცემა ერთი ასოთი. ამით ეს სისტემა განსხვავდება მარცვლოვანი დამწერლობისაგან, სადაც თითოეული ნიშანი გამოხატავს მარცვალს.

კონსონანტური დამწერლობა ზუსტად იმ რაოდენობის სიმბოლოებით ხასიათდება, რაც საჭიროა ენის კონსონანტურ ფონემათა (ბგერათა) აღსანიშნავად (დამწერლობის სილაბური და, განსაკუთრებით, სილაბურ-ლოგოგრამული სისტემები გრაფიკული ნიშნების უფრო დიდ რაოდენობას შეიცავენ, რაც აუცილებელია ენის ცალკეული მარცვლებისა და ამასთანავე მთელი სიტყვების გამოსახატავად. ამდენად წერის კონსონანტური სისტემა განუზომლად უფრო მარტივი და ეფექტურია ენის ბგერითი მხარის გადმოსაცემად, ვიდრე სხვა სახეობები.

22 ნიშნით (ეს ნიშნები მხოლოდ თანხმოვნებს აღნიშნავდნენ), რომლებსაც შეიცავდა ფინიკიური ანბანი, შესაძლებელი გახდა დაწერილიყო ყოველი ფინიკიური თუ მისი მონათესავე სემიტური ენების სიტყვა. წერა გამარტივდა, გაადვილდა, რამაც განაპირობა მისი ფართოდ გავრცელება.

ფინიკიურმა ანბანმა უდიდესი როლი შეასრულა ახალი მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში: მისი **გავლენით** შემუშავდა ანბანთა უმრავლესობა, მათ შორის _ ყველა ევროპული ანბანი ფინიკიურის საფუძველზეა შექმნილი და ჩამოყალიბებული.

პირველ რიგში, ბერძნებმა აითვისეს ფინიკიური დამწერლობა. ბერძნულის მეშვეობით იგი მთელ ევროპაში გავრცელდა.

აზიის ქვეყნებშიც მრავალი ანბანი შეიქმნა ფინიკიურის მიხედვით (ებრაული და არაბული ანბანის ტიპები).

ბერძნული ანბანის თავდაპირველი სახეობა ზუსტი **ასლია** ფინიკიური ანბანისა. ბერძნულ ანბანში ასოების დალაგება-თანმიმდევრობა ისეთივეა, როგორიც ფინიკიურში. ასოთა სახელებიც კი ბერძნულში დამახინჯებული სემიტურია.

ბერძნული დამწერლობა განეკუთვნება ძვ. წ. VIII და VII საუკუნეებს. ბერძნულ ანბანში უკვე ძვ. წ. V საუკუნიდან ჩნდება ხმოვნების აღმნიშვნელი ასოები, _ ამ გზით მათ ნამდვილი დამწერლობა შექმნეს.

თავის მხრივ, ბერძნული ანბანი საფუძვლად დაედო ლათინურს, ხოლო ამ უკანასკნელისაგან იღებს სათავეს თითქმის ყველა ევროპული ანბანი, მათ შორის გუთური, კოპტური, სლავური და სხვ.

ლათინური ანბანის შემდეგ ყველაზე გავრცელებული ანბანური სისტემაა არაბული, რომლის საფუძველზე შედგენილი ანბანი იხმარება როგორც არაბეთის ქვეყნებში, ასევე ირანში, ავღანეთში, ჩინეთის ნაწილში (ტიბეტსა და სინძიაში) და სხვაგან.

სულ დღევანდელ მსოფლიოში არსებობს დამწერლობათა შემდეგი სისტემები: ლათინური, სლავური, არაბული, ინდური, ჩინური, იაპონური, კორეული, ეთიოპიური, ბერძნული, ქართული, სომხური, ებრაული, მონღოლური, სირიული.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. უპასუხეთ კითხვებს:

როგორ გაჩნდა დამწერლობა?

რას ნიშნავს საგანთა სიმბოლიკა?

ვინ შექმნა პირველი დამწერლობა?

რა იყო ანბანური დამწერლობის წინ?

როგორ განვითარდა დამწერლობა?

რას ნიშნავს კონსონანტური ასოთდამწერლობა? როგორაა მიღებული ეს ტერმინი?

ვინ შექმნა ანბანური დამწერლობა?

რა არის ანბანური დამწერლობის მთავარი ნიშანი?

მთელ ევროპაში ვისი მეშვეობით გავრცელდა ანბანური დამწერლობა?

როდიდან ჩნდება ბერძნულ ანბანში ხმოვნების აღმნიშვნელი ასოები?

8. ჯგუფი გაიყოს ორად. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ერთმანეთს დაუსვით კითხვები და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

წარმოშობამდე სიმბოლიკა საომარ გამოცხადების პირველყოფილი სამეტყველო დამწერლობა ჩნდება ..... ენის შემდეგ, მის ბაზაზე. დამწერლობის ..... მიმართავდნენ საგანთა სიმბოლიკას. ..... ხალხები ომის ..... ნიშნად ერთმანეთს უგზავნიდნენ შუბებს, ისრებს ან სხვა ..... იარაღს. მაგრამ საგანთა ..... მაინც არ არის დამწერლობა.

10. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

დამწერლობა ჩნდება სამეტყველო ენის შემდეგ, მის ბაზაზე._____

დამწერლობის წარმოშობამდე მიმართავდნენ საგანთა სიმბოლიკას. _____

დამწერლობის სფეროში პიონერები იყვნენ ქართველები_____

შუმერული დამწერლობა წარმოიშვა IV საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით.

ეგვიპტელები წერდნენ პაპირუსზე_____

იდეოგრაფიული წერა არის საწყისი აზრის სიტყვობრივი დანაწევრებისა_____

აზიის ქვეყნებში ანბანი ფინიკიურის მიხედვით არ შექმნილა. _____

11. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

პიქტოგრაფიულია დანაწევრებისა კომუნიკაციას წელთაღრიცხვამდე პაპირუსზე პაპირუსზე დამწერლობა

საგანთა სიმბოლიკა მაინც არ არის.....

შუმერული დამწერლობა წარმოიშვა ჯერ კიდევ IV ათასწლეულში ჩვენს .....

ეგვიპტელები წერდნენ .....

პირველი დამწერლობა .....

წერის პიქტოგრაფიული პრინციპი გულისხმობს ნახატების საშუალებით .....

იდეოგრაფიული წერა არის საწყისი აზრის სიტყვობრივი .....

12. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი

(50 სიტყვამდე).

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

თემა 17
ქართული დამწერლობის წარმოშობა

1. ვინ იყვნენ პიონერები დამწერლობის სფეროში?

2. როგორ ვითარდებოდა დამწერლობა? დაიყავით ჯგუფებად და თითოეულმა ჯგუფმა მოამზადოს პრეზენტაცია დამწერლობის ამა თუ იმ საფეხურის შესახებ.

3. ვინ შექმნა პირველი ანბანი?

4. წაიკითხეთ ტექსტი:

ქართული დამწერლობის წარმოშობა

ქართული დამწერლობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში; მისი **სათავეები** შორეულ წარსულშია საძიებელი.

საკითხი იმის შესახებ, როდის წარმოიშვა ქართული დამწერლობა და რომელი ანბანის საფუძველზე, ჯერაც არ არის საბოლოოდ დადგენილი. ამ საკითხზე სხვადასხვა ისტორიული ცნობა მოიპოვება, არსებობს სხვადასხვა შეხედულება.

უძველესი ცნობები ჩვენი დამწერლობის შესახებ დაცულია ბერძნულ წყაროებში _ აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკაში" ნათქვამია, რომ კოლხებს შენახული ჰქონდათ თავიანთი მამების ნაწერი კვირბები (მაგარ საგნებზე ამოკვეთილი ნიშნები), რომლებზეც ნაჩვენები იყო ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარიო.

რამდენიმე ავტორის ცნობით, კოლხეთში ინახებოდა არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიც ოქროს მოპოვების ხერხები იყო აღწერილი.

ისტორიკოსი ლეონტი მროველი ქართული **მწიგნობრობის** შემომღებად ფარნავაზ მეფეს მიიჩნევს. ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, ფარნავაზის მეფობა სავარაუდებელია IV-III საუკუნეებში. ზოგი მკვლევარი ქართული ანბანის შექმნას სწორედ ამ პერიოდს უკავშირებს. ი. ჯავახიშვილი კი შესაძლებლად მიიჩნევს VIII-VII საუკუნეებში გადაიტანოს ეს თარიღი.

საისტორიო წყაროებში დაცული ერთი **ცნობის** მიხედვით, სომხებს, ქართველებსა და ალბანელებს თითქოს ერთმა პიროვნებამ _ V საუკუნის (ახ. წ.) სომეხმა მოღვაწემ მესროპ-მაშტოცმა შეუქმნა ანბანი. ეს ცნობა ეკუთვნის V საუკუნეშივე მოღვაწე სომეხ ისტორიკოს კორიუნს, რომელმაც აღწერა მესროპ-მაშტოცის ცხოვრება. ამ ცნობის სისწორეში იმთავითვე გაჩნდა ეჭვები. საბოლოო **ნიადაგი** მას ი. ჯავახიშვილის დაკვირვებამ გამოაცალა: კორიუნის თხზულება ჩვენამდე უცვლელი სახით არ არის მოღწეული. ამას

ადასტურებს კორიუნის თხზულების შედარება მეორე სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპეცის თხზულებასთან. ფარპეცი ზუსტად იმეორებს კორიუნის ცნობებს, მაგრამ მესროპ-მაშტოცის მიერ ქართველებისა და ალბანელებისთვის ანბანის შექმნის თაობაზე არაფერს ამბობს. ჯავახიშვილის აზრით, ცნობა მესროპ-მაშტოცის მიერ ქართველთათვის ანბანის გამოგონების შესახებ გვაიანდელი ჩანართია. საგულისხმოა შემდეგი გარემოებაც: მესროპ-მაშტოცი V საუკუნის 20-იან წლებში შეუდგა მოღვაწეობას, ხოლო ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები, რომლების დაახლოებით იმავე ხანებს ეკუთვნის, ნაპოვნია პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად. ქართული ანბანი რომ მართლა V საუკუნის 20-30-იან წლებში იყოს შექმნილი, წარმოუდგენელია, მას ასეთ მოკლე დროში **სრულყოფილი** სახე მიეღო და საქართველოს ფარგლებს გარეთაც გავრცელებულიყო.

ქართული ანბანის ფესვები უფრო შორეულ წარსულშია საძიებელი.

ი. ჯავახიშვილის ჰიპოთეზით, ქართული ანბანი ფინიკიურ-სემიტურს უკავშირდება.

გ. წერეთლის დასკვნით, ქართული დამწერლობა არამეულიდან წარმოდგება.

რ. პატარიძე ძირითადად ასოთა გრაფიკული ანალიზის მიხედვით ასკვნის, რომ ქართული დამწერლობის უძველესი სახე _ ასომთავრული შექმნილია ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში.

თ. გამყრელიძემ ფინიკიური, ბერძნული და ქართული ანბანი ერთმანეთს **შეუდარა** და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართული ანბანი ბერძნულის საფუძველზეა შექმნილი.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. უპასუხეთ კითხვებს:

რას იტყვით ქართული დამწერლობის შესახებ?

რა მოსაზრებები არსებობს ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ?

რომელი ისტორიული ცნობა რა ინფორმაციას გვაძლევს ქართული დამწერლობის შესახებ?

8. ჯგუფი გაიყოს ორად. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ერთმანეთს დაუსვით კითხვები და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

წყაროებში საწმისი მოპოვების ცნობით კვირბები როდოსელის ცნობები

უძველესი ..... ჩვენი დამწერლობის შესახებ დაცულია ბერძნულ ....._ აპოლონიოს ..... „არგონავტიკაში“ ნათქვამია, რომ კოლხებს შენახული ჰქონდათ თავიანთი მამების ნაწერი ..... (მაგარ საგნებზე ამოკვეთილი ნიშნები). რამდენიმე ავტორის....., კოლხეთში ინახებოდა არა ოქროს....., არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიც ოქროს ..... ხერხები იყო აღწერილი.

10. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

ქართული დამწერლობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. _____

უძველესი ცნობები ჩვენი დამწერლობის შესახებ დაცულია ქართულ წყაროებში. _____

ლეონტი მროველი ქართული მწიგნობრობის შემომღებად ფარნავაზ მეფეს მიიჩნევს. _____

კორიუნის თხზულება ჩვენამდე უცვლელი სახით არის მოღწეული. _____

ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები ნაპოვნია პალესტინაში_____

ი. ჯავახიშვილის ჰიპოთეზით, ქართული ანბანი ფინიკიურს უკავშირდება. _____

11. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

წყაროებში ცნობებს გავრცელებულიყო ანბანი თარიღი საძიებელი

ქართული დამწერლობას სათავეები შორეულ წარსულშია .....

უძველესი ცნობები ჩვენი დამწერლობის შესახებ დაცულია ბერძნულ .....

ი. ჯავახიშვილი შესაძლებლად მიიჩნევს VIII-VII საუკუნეებში გადაიტანოს ქართული ანბანის წარმოშობის .....

სომხებს, ქართველებსა და ალბანელებს თითქოს ერთმა პიროვნებამ _ V საუკუნის (ახ. წ.) სომეხმა მოღვაწემ მესროპ-მაშტოცმა შეუქმნა .....

ფარპეცი ზუსტად იმეორებს კორიუნის .....

წარმოუდგენელია, ქართულ ანბანს ასეთ მოკლე დროში სრულყოფილი სახე მიეღო და საქართველოს ფარგლებს გარეთაც .....

12. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი

(50 სიტყვამდე).

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

თემა 18
ქართული ანბანის სახეები

1. როდის წარმოიშვა ქართული ანბანი? რამდენი თვალსაზრისი არსებობს?

2. სად აღმოაჩინეს უძველესი ქართული წარწერა?

3. რომელ მეფეს მიეწერება ქართული დამწერლობის დამკვიდრება?

4. წაიკითხეთ ტექსტი:

ქართული ანბანის სახეები

ქართული ანბანი V საუკუნიდან დღემდე **უცვლელი** სახით არ მოსულა. უძველეს ქართულ **წარწერებსა** და და **ხელნაწერებში** ქართული ასოები მრგვალი მოხაზულობისაა და ძალიან განსხვავდება ჩვენი დღევანდელი ანბანისაგან. ამგვარ ანბანს მრგლოვანი ჰქვია (ასოთა მოხაზულობის მიხედვით). მრგლოვანით არის შესრულებული უძველესი ქართული წარწერები: ბოლნისისა, მცხეთის ჯვრისა, ურბნისისა, პალესტინის ქართული მონასტრისა. ამავე ასოებით არის დაწერილი ე. წ. ხანმეტი ტექსტები.

შემდგომში მრგლოვანი შეცვალა **კუთხოვანმა** შრიფტმა, რომელიც უფრო ტევადი და ადვილად საწერი იყო. ასეთი ასოები პირველად გვხვდება IX საუკუნეში.

IX-X საუკუნეებში მრგლოვანი და კუთხოვანი შრიფტები პარალელურად იხმარებოდა სხვადასხვა ხელნაწერში (ზოგჯერ ერთი ხელნაწერის სხვადასხვა **მონაკვეთზეც),** IX საუკუნიდან კი ხელნაწერთა ძირითადი ტექსტი ნაწერია კუთხოვანი ასოებით, სათაურებსა და აბზაცების დასაწყისში კი ჩართულია მრგლოვანი ასოები. ამის გამო კუთხოვანს სხვაგვარად ეწოდება ნუსხახუცური ან შემოკლებით _ ნუსხური, ხოლო მრგლოვანს _ მთავრული.

ქართული დამწერლობის მესამე სახე, მხედრული, გვხვდება X საუკუნიდან. მისი უძველესი ნიმუშები დასტურდება ატენის სიონის წარწერებსა და აპოკალიფსის ანდრია კესარიელისეული კომენტარების ქართული თარგმანის შემცველ ერთ ხელნაწერში, რომლის ტექსტი საერთოდ ნუსხურია, მაგრამ გადამწერის ხელითვე შესრულებულ ცალკეულ მხედრულ მინაწერებსაც შეიცავს.

მხედრულის ადრინდელ სახეს, რომელიც ძირითადად საბუთებისთვის იყო გამოყენებული მდივან-მწიგნობართა მიერ და თვალსაჩინო თავისებურებანი ახასიათებდა, მდივანმწიგნობრულს უწოდებენ.

მხედრული შრიფტი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და დღევანდელი სახე მიიღო XVII საუკუნეში. ძველად მას იყენებდნენ უმთავრესად **საერო** პირები _ ვაჭრები, **მხედრები.**

სწორედ ამიტომ ეწოდა მას მხედრული, ხოლო ნუსხურს (ასომთავრულთან ერთად), რომელიც კვლავ იხმარებოდა **სასულიერო** პირთა შორის, ამის გამო ხუცური ერქვა (ეს ტერმინი გვხვდება XIV საუკუნიდან).

ამრიგად, წერილობით ძეგლებში დოკუმენტურად ასახულია ქართული ანბანის განვითარების სამი ძირითადი საფეხური: მრგლოვანი (ასომთავრული), ნუსხური და მხედრული.

მრგლოვანი გვხვდება ყველაზე ადრინდელ **ძეგლებში** (V-X სს), ნუსხური ჩნდება IX საუკუნეში, მხედრული კი იხმარება X საუკუნიდან.

ქართული ანბანის ყოველი ახალი სახეობა წინანდელის განვითარების შედეგია; უძველესია მრგლოვანი, ნუსხური წარმოადგენს შუა **საფეხურს,** მხედრული კი ახალს.

ქართული ანბანი გამოირჩევა სიმარტივითა და სიცხადით. ამ მხრივ ის, შეიძლება ითქვას, იდეალურია: ყოველ სამეტყველო ბგერას (ფონემას) **შეესაბამება** განსაკუთრებული ნიშანი _ ცალკე ასო, რომელიც ყოველთვის ერთნაირად იკითხება. ამ მხრივ ძველ ქართულში ერთადერთი გამონაკლისია უ, რომელიც მრგლოვანში ორი ასოთი გამოიხატება და, ამასთანავე, ეს ორი ასო გადმოგვცემს როგორც ხმოვანს, ისე უხმოვნო უ-ს (უ-ბრჯგუს). შემდგომში ერთიანი პრინციპი აქაც ბოლომდე გატარდა.

დღევანდელ ქართულ (მხედრულ) ანბანში 33 ასოა, ძველად კი დამატებით იხმარებოდა კიდევ ხუთი ასო-ნიშანი (Y H O P K).

უძველესი ქართული წარწერა

ცნობილმა იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ 1952-1953 წლებში პალესტინაში, იუდეას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, აღმოაჩინა ქართული მონასტრის **ნანგრევები** სამი ქართული წარწერითურთ. ეს წარწერები საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველმა მეცნიერმა მიხეილ თარხნიშვილმა წაიკითხა პირველად.

საერთოდ, ძველი **უთარიღო** წარწერების **დათარიღება** მეტად რთული საქმეა. მ. თარხნიშვილმა პალეოგრაფიული ნიშნებით აღნიშნული წარწერები VI საუკუნით დაათარიღა; მან გამოთქვა მეტად საყურადღებო აზრი ამ წარწერებში მოხსენიებულ პირთა (მარუანისა და ბურზენის) ვინაობის შესახებ: "ეს სახელები ოდნავ განსხვავებული ფორმით ცნობილი იყო საქართველოში. პეტრე იბერიელის (V ს.) ქართული ცხოვრების მიხედვით, მისი ქართული სახელი სახელი იყო მურვანოსი და ამავე პეტრეს მამას ბუზმირი ერქვა. ბუზმირი სახელი ერქვა ერთ ქართველ მთავარს დაახლოებით VI საუკუნის ბოლოს".

1959 წელს შალვა ნუცუბიძემ გამოაქვეყნა გამოკვლევა _ "პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები". იგი ვარაუდობდა, რომ მურვანოსი იგივე მურვანია (პეტრე იბერიელის საერო სახელი). ამდენად, ნუცუბიძის აზრით, წარწერა V საუკუნის მხოლოდ I ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.

მ. თარხნიშვილის დაკავშირება გაიზიარა ს. ყაუხჩიშვილმაც.

1960 წელს დაიბეჭდა აკადემიკოს გიორგი წერეთლის **მონოგრაფია** _ "უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან", რომელშიც მან ეჭვმიუტანლად დაადგინა წარწერებში მოხსენიებულ პირთა ვინაობა და ამის მიხედვით საკმაოდ ზუსტად

დაათარიღა ისინი. ავტორის მოსაზრებით, წმინდა თეოდორეს სახელობის მონასტერი პეტრე იბერიელმა ააგო V საუკუნის 30-იან წლებში. ბუნებრივია, წარწერათა ამოკვეთაც ამ დროისათვის ივარაუდება. ქართული წარწერების თარიღთან დაკავშირებით იგი დაასკვნის: "ოთხას ოცდაათიან წლებში მარვანოს-პეტრე ქართველს იორდანის უდაბნოში აუშენებია მონასტერი, საზეთე, საღვინე და სხვ. მოწყობილობით, და შეუმკია იგი ქართული წარწერებით, სადაც თვით მისი, მისი მამისა და პაპის სახელებია მოხსენიებული. უფრო გვიან, მეექვსე საუკუნის მეორე მეოთხედში აქ იღვწოდა მეორე ქართველი მოღვაწე ანტონი აბაი, შემდეგში სელევკიის ეპისკოპოსი, რომელსაც აგრეთვე დაუტოვებია ქართული წარწერები და შეიძლება მონასტრის განახლებაშიც ღვაწლი მიუძღოდეს. მაშასადამე, წარწერები II და III დაშორებული არიან I წარწერისაგან სულ ცოტა ერთი საუკუნით. ამავე დროს ეს წარწერები არიან უძველესი დღემდე ცნობილ ყველაზე ძველ ქართულ წარწერათა შორის, ვინაიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულს ბოლნისის წარწერებს".

გ. წერეთლის ეს მოსაზრება ამჟამად **საყოველთაოდ** გაზიარებულია.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. იმსჯელეთ ფრაზაზე:

ქართული ანბანი გამოირჩევა სიმარტივითა და სიცხადით. ამ მხრივ ის, შეიძლება ითქვას, იდეალურია:

8. უპასუხეთ კითხვებს:

როგორი მოხაზულობისაა უძველეს ქართულ წარწერებსა და და ხელნაწერებში ქართული ასოები?

როგორი მოხაზულობის შრიფტმა შეცვალა მრგვლოვანი დამწერლობა?

როდიდან გვხვდება ე.წ. მხედრული დამწერლობა?

რომელი სახეობა რომელზე დაყრდნობით განვითარდა? წარმოადგინეთ თანამიმდევრობა.

9. ჯგუფი გაიყოს ორად. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ერთმანეთს დაუსვით კითხვები და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

10. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

წარწერებსა საერო ხუცური მხედრები ჩამოყალიბდა
კუთხოვანმა ტევადი მრგლოვანი მოხაზულობისაა ანბანი

ქართული ..... V საუკუნიდან დღემდე უცვლელი სახით არ მოსულა. უძველეს ქართულ ..... და და ხელნაწერებში ქართული ასოები მრგვალი ..... და ძალიან განსხვავდება ჩვენი დღევანდელი ანბანისაგან. ამგვარ ანბანს ..... ჰქვია.

შემდგომში მრგლოვანი შეცვალა ..... შრიფტმა, რომელიც უფრო ..... და ადვილად საწერი იყო.

მხედრული შრიფტი საბოლოოდ ..... და დღევანდელი სახე მიიღო XVII საუკუნეში. ძველად მას იყენებდნენ უმთავრესად ..... პირები _ ვაჭრები, ,..... სწორედ ამიტომ ეწოდა მას მხედრული, ხოლო ნუსხურს (ასომთავრულთან ერთად), რომელიც კვლავ იხმარებოდა სასულიერო პირთა შორის, ამის გამო ..... ერქვა (ეს ტერმინი გვხვდება XIV საუკუნიდან).

11. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

ქართულმა ანბანმა V საუკუნიდან დღემდე უცვლელი სახით მოაღწია. _____

უძველეს ქართულ წარწერებსა და და ხელნაწერებში ქართული ასოები მრგვალი მოხაზულობისაა. _____

შემდგომში მრგლოვანი შეცვალა კუთხოვანმა შრიფტმა, _____

IX-X საუკუნეებში მრგლოვანი აღარ იხმარებოდა. _____

მხედრული, გვხვდება X IX საუკუნიდან. _____

მხედრული შრიფტი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და დღევანდელი სახე მიიღო XVII საუკუნეში. _____

ქართული ანბანის ყოველი ახალი სახეობა წინანდელის განვითარების შედეგია._____

12. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ნუსხური საფეხური საქმეა გამოკვლევა საუკუნიდან

გაზიარებულია შედეგია შრიფტმა

შემდგომში მრგლოვანი შეცვალა კუთხოვანმა .....

კუთხოვანს სხვაგვარად ეწოდება ნუსხახუცური ან შემოკლებით _ .....

ქართული დამწერლობის მესამე სახე, მხედრული, გვხვდება X .....

ამრიგად, წერილობით ძეგლებში დოკუმენტურად ასახულია ქართული ანბანის განვითარების სამი ძირითადი .....

ქართული ანბანის ყოველი ახალი სახეობა წინანდელის განვითარების .....

ძველი უთარიღო წარწერების დათარიღება მეტად რთული .....

1959 წელს შალვა ნუცუბიძემ გამოაქვეყნა .....

გ. წერეთლის ეს მოსაზრება ამჟამად საყოველთაოდ .....

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

14. მოამზადეთ ტექსტი თხრობით.

თემა 19
ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

1. დამწერლობის რომელი სახეობაა ქართულისთვის უძველესი?

2. ჩამოთვალეთ ქართული დამწერლობის სამივე სახეობა.

3. რომელი საუკუნიდან გვხვდება დამწერლობის მხედრული სახეობა?

4. წაიკითხეთ ტექსტი:

ქართული სალიტერატურო ენის ნორმები
და ცოცხალი მეტყველება

ძირითადი პრობლემა, რომელიც სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევისას დგას, წერილობით ძეგლთა მონაცემებისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთობის საკითხია. აქ ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: როცა ცოცხალ მეტყველებაზე ვმსჯელობთ, რომელიმე კონკრეტული დიალექტი არ იგულისხმება, არამედ ის ზედიალექტური მოვლენა, რომელიც მჭიდრო ურთიერთობაშია სალიტერატურო ენასთან და დიდ ზეგავლენას ახდენს მასზე, ამასთან, თვითონაც განიცდის სალიტერატურო ენის ზეგავლენას.

სალიტერატურო ენა ნორმათა მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემას ეფუძნება. ადრეული პერიოდის (V-XI სს) მონაცემები სრულიად ამტკიცებენ, რომ ერთიანი სალიტერატურო ენის ნორმების ჩამოყალიბება შესაძლებელია ეროვნული სალიტერატურო ენის შექმნამდე.

ძველი ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები ნორმათა თვალსაზრისით არსებითად ერთიანია. ისიცაა, რომ უკვე ამ პერიოდის ტექსტები გვიჩვენებენ ისეთ მოვლენებსაც, რომლებიც სალიტერატურო ენაში გაბატონებულ ნორმათა სისტემას ეწინააღმდეგება და წარმოადგენს ცოცხალი მეტყველების ზეგავლენის შედეგს. სხვაობა სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის იზრდება IX-XI საუკუნეებში. ამ დროის ძეგლებში გამოვლინდება ყველა ის არსებითი ნიშანი, რომლებიც ახალი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ IX-XI საუკუნეთა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები მტკიცე სისტემას წარმოადგენს? ძეგლებში ნორმიდან გადახვევის შემთხვევები, დარღვევები საძებნია, ნორმები კი აშკარად ჩანს, ადვილად იკვეთება. საზოგადოდ, სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის გარკვეული

წინააღმდეგობა არსებობს. სალიტერატურო ენის ნორმები კონსერვატულია თავისი არსით, საუკუნეებს უძლებს, ცოცხალი მეტყველების ნორმები კი გაცილებით სწრაფი ტემპებით იცვლება. სალიტერატურო ენის ნორმები ხშირად მას შემდეგაც უცვლელია, რაც ცოცხალ მეტყველებაში მათი საფუძველი გრამატიკული თუ ფონეტიკური ევოლუციის შედეგად აღარ არსებობს.

სალიტერატურო ენის ძეგლებში უმთავრესად სალიტერატურო ენის ნორმები აისახება, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები კი სალიტერატურო ენაში ფაკულტატურად ვლინდება. ენის ისტორიკოსმა ეს გარემოება სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს. სალიტერატურო ენის კვლევისას მხოლოდ მისი ნორმების აღნუსხვა არ არის საკმარისი, აუცილებელია იმის გარკვევაც, თუ რა მიმართებაშია ეს ნორმები ცოცხალ მეტყველებასთან. სალიტერატურო ენა ყოველთვის შეიცავს ისეთ სიტყვებსა და გრამატიკულ ფორმებსაც, რომლებიც უცხოა ცოცხალი მეტყველებისათვის და მარტოოდენ სალიტერატურო ენისათვის არის დამახასიათებელი. სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმათა გამოვლენას, აგრეთვე თვით სალიტერატურო ენისათვის ნიშანდობლივ შაბლონთა, უკვე არქაულ მოვლენათა სრულ აღნუსხვას.

სალიტერატურო ენას, საზოგადოდ, ახასიათებს მისი დინამიკის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: მოქმედი ნორმის შენარჩუნება-განმტკიცებისა და ამავე დამკვიდრებული ენობრივი ნორმის შეცვლია. ახალ ფორმათა რაოდენობრივმა დაგროვებამ შესაძლოა თვისებრივი ცვლილებები გამოიწვიოს _ სალიტერატურო ენის ნორმათა შეცვლა გამოიწვიოს.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. იმსჯელეთ ფრაზაზე:

ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები სალიტერატურო ენაში ფაკულტატურად ვლინდება.

8. უპასუხეთ კითხვებს:

რას ნიშნავს ცოცხალი მეტყველება?

რა მიმართებაა სალიტერატურო ენის ნორმასა და ცოცხალ მეტყველებას შორის?

რა მნიშვნელოვანი რამ უნდა გაითვალისწინოს ენის ისტორიკოსმა?

რა ახასიათებს სალიტერატურო ენას?

9. ჯგუფი გაიყოს ორად. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ერთმანეთს დაუსვით კითხვები და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

10. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ძეგლთა მეტყველების მჭიდრო განიცდის დიალექტი ზეგავლენას ვმსჯელობთ გარემოება სალიტერატურო

ძირითადი პრობლემა, რომელიც ..... ენის ისტორიის კვლევისას დგას, წერილობით ..... მონაცემებისა და ცოცხალი ..... ურთიერთობის საკითხია. აქ ერთი ..... უნდა გავითვალისწინოთ: როცა ცოცხალ მეტყველებაზე ....., რომელიმე კონკრეტული ..... არ იგულისხმება, არამედ ის ზედიალექტური მოვლენა, რომელიც ..... ურთიერთობაშია სალიტერატურო

ენასთან და დიდ ..... ახდენს მასზე, ამასთან, თვითონაც ..... სალიტერატურო ენის ზეგავლენას.

11. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

როცა ცოცხალ მეტყველებაზე ვმსჯელობთ, რომელიმე კონკრეტული დიალექტი არ იგულისხმება. _____

სალიტერატურო ენა ნორმათა მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემას ეფუძნება. _____

ერთიანი სალიტერატურო ენის ნორმების ჩამოყალიბება შეუძლებელია ეროვნული სალიტერატურო ენის შექმნამდე. _____

ძველ სალიტერატურო ძეგლებში ნორმიდან გადახვევის შემთხვევები ძალიან ბევრია. _____

სალიტერატურო ენის ნორმები კონსერვატულია თავისი არსით. _____

სალიტერატურო ენის ძეგლებში უმთავრესად დიალექტური ფორმები აისახება, _____

12. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ერთიანია გაითვალისწინოს არსით ტენდენცია
კუთვნილებაა აისახება ეფუძნება

სალიტერატურო ენა ნორმათა მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემას .....

ძველი ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები ნორმათა თვალსაზრისით არსებითად .....

IX-XI საუკუნეთა ძეგლებში გამოვლინდება ყველა ის არსებითი ნიშანი, რომლებიც ახალი სალიტერატურო ენის .....

სალიტერატურო ენის ნორმები კონსერვატულია თავისი .....

სალიტერატურო ენის ძეგლებში უმთავრესად სალიტერატურო ენის ნორმები .....

ენის ისტორიკოსმა ეს გარემოება სათანადოდ უნდა .....

სალიტერატურო ენას ახასიათებს მისი დინამიკის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო .....

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

14. მოამზადეთ ტექსტი თხრობით.

თემა 20
ქართული სალიტერატურო ენის ისტორია

1. გაიხსენეთ და იმსჯელეთ ნორმისა და მეტყველების ურთიერთმიმართებაზე.

2. რას ნიშნავს ფრაზა: „სალიტერატურო ენის ნორმები კონსერვატულია თავისი არსით“.

3. რა ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ახასიათებს სალიტერატურო ქართულს?

4. წაიკითხეთ ტექსტი:

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია და ენის ისტორია

ენა იცვლება დროში და ამიტომ იგი ისტორიული კატეგორიაცაა. სალიტერატურო ენის ისტორიისა და ენის ისტორიის ამოცანები ერთმანეთს არ ემთხვევა. სალიტერატურო ენის ისტორია სწავლობს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პირობებს, ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის ნორმათა ისტორიულ ურთიერთობას, ენის სისტემაში მომხდარ ცვლილებათა ქრონოლოგიას წერილობით ძეგლთა მონაცემების მიხედვით.

რაც შეეხება ენის ისტორიას, მისი ამოცანები უფრო ფართოა. იგი შეისწავლის მოცემული ენების წარმოშობას, მის ურთიერთობას მონათესავე ენებთან, იმ ცვლილებებს, რომლებიც ენის სისტემამ განიცადა ფუძე-ენიდან გამოყოფის შემდეგ და ა. შ.

ბუნებრივია, რომ დიდი ხნით წერილობითი ტრადიციების მქონე სალიტერატურო ენის ისტორიის მონაცემებს შეუძლიათ, გარკვეული დახმარება გაუწიონ ენის ისტორიის მკვლევარს.

ვარაუდობენ, რომ ქართული ენა დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით VII საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობა დაიშალა. უფრო ადრე, დაახლოებით XVIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, საერთოქართველურ ფუძე-ენას გამოეყო სვანური.

ცხადია, იდეალური იქნებოდა, რომ ჩვენამდე მოეღწია ქართველური ფუძე-ენის გრამატიკული სისტემის ამსახველ წერილობით ძეგლებს. მაშინ ქართველურ ენათა სტრუქტურის მრავალი ძირითადი პრობლემა, დღეს დისკუსიის საგნად ქცეული, შეიძლებოდა სხვაგვარად გაშუქებულიყო.

ქართული სალიტერატურო ენის უძველესი ძეგლები V საუკუნით თარიღდება, ასე რომ, ათ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართული ენის დამოუკიდებელი განვითარების ამსახველი ფაქტები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

ენის ისტორიის ცოდნა, თავის მხრივ, აუცილებელია სალიტერატურო ენის ისტორიკოსისთვის. როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენა განიცდის სხვა მწიგნობრულ ენათა გავლენას. ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა. ამ პროცესის შედეგად შესაძლოა სალიტერატურო ენაში თავი იჩინოს უცხო ენისთვის დამახასიათებელმა მოვლენებმა.

სალიტერატურო ენის ისტორიის სათანადოდ გათვალისწინებას შეუძლია გარკვეული სამსახური გაუწიოს ენის ისტორიასაც. მონათესავე ენათა შედარებითი ლექსიკონების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღებას ისეთ ფორმებს ექცევა, რომლებიც უძველესი ქართულ წერილობით ძეგლებშია დადასტურებული.

სალიტერატურო ენის მკვლევარს დიდ დახმარებას უწევს თანამედროვე დიალექტთა მონაცემები. დიალექტებს დაცული აქვთ ბევრი არქაული ფორმა. აქ შეიძლება ისეთი არქაული მოვლენები იყოს შემონახული, რომლებიც სალიტერატურო ენამ დიდი ხანია დაკარგა ან საერთოდ არ ასახულა წერილობით ძეგლებში.

სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემთა ერთობლივი ანალიზი ენის ისტორიკოსს საშუალებას მისცემს, საკმაოდ ნათლად გაითვალისწინოს ენაში მომხდარი ევოლუციის სურათი.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. იმსჯელეთ ფრაზაზე:

ენის ისტორიის ცოდნა აუცილებელია სალიტერატურო ენის ისტორიკოსისთვის.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

გადმოეცით, რის შესახებაა ტექსტი.

რატომაა ენა ისტორიული კატეგორია?

რა მიმართებაა ენის ისტორიასა და სალიტერატურო ენის ისტორიას შორის?

რას იტყვით ქართველურ ენებსა და ქართული ენის დიალექტების შესახებ?

რა მონაცემებს ითვალისწინებს ენის ისტორიკოსი?

9. ჯგუფი გაიყოს ორად. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ერთმანეთს დაუსვით კითხვები და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

10. შეაჯამეთ ინფორმაცია და იმსჯელეთ, რას შეისწავლის საგანი: სალიტერატურო ენის ისტორია.

11. მოიძიეთ ტექსტში და მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ენა იცვლება დროში და ამიტომ იგი ..... კატეგორიაცაა. ..... ენის ისტორიისა და ენის ისტორიის ..... ერთმანეთს არ ემთხვევა. სალიტერატურო ენის ისტორია სწავლობს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ..... ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის ..... ისტორიულ ურთიერთობას, ენის ..... მომხდარ ცვლილებათა ..... წერილობით ძეგლთა მონაცემების მიხედვით.

11. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

ენა იცვლება დროში და ამიტომ იგი ისტორიული კატეგორიაცაა. _____

ქართული ენა დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში. _____

ქართული სალიტერატურო ენის უძველესი ძეგლები V საუკუნით თარიღდება. _____

ენის ისტორიის ცოდნა ზედმეტია სალიტერატურო ენის ისტორიკოსისთვის. _____

სალიტერატურო ენა განიცდის სხვა მწიგნობრულ ენათა გავლენას. _____

ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ისეთ ფორმებს, რომლებიც უძველესი ქართულ წერილობით ძეგლებშია დადასტურებული. _____

12. მოიძიეთ ტექსტში და დააბოლოეთ წინადადებები:

ენა იცვლება დროში და ამიტომ იგი ისტორიული .....

სალიტერატურო ენის ისტორიისა და ენის ისტორიის ამოცანები ერთმანეთს არ .....

ენის ისტორია შეისწავლის მოცემული ენების .....

სალიტერატურო ენის ისტორიის მონაცემებს შეუძლიათ, გარკვეული დახმარება გაუწიონ ენის ისტორიის .....

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით VII საუკუნეში ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობა .....

ქართული სალიტერატურო ენის უძველესი ძეგლები V საუკუნით .....

ენის ისტორიის ცოდნა, თავის მხრივ, აუცილებელია სალიტერატურო ენის .....

ლექსიკონების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღებას ისეთ ფორმებს ექცევა, რომლებიც უძველესი ქართულ წერილობით ძეგლებშია .....

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი გეგმა.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

14. მოცემული გეგმის მიხედვით, დაწერეთ ტექსტის შინაარსი.

თემა 21
ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია

1. განმარტეთ, რას ნიშნავს ფრაზა: ენა ისტორიული კატეგორიაა?

2. გაიხსენეთ, რომელ საუკუნეში შეიქმნა უძველესი ქართული ნაწარმოები.

3. რას ნიშინავს სიტყვა პერიოდი? როგორ იწარმოება მისგან ტერმინი პერიოდიზაცია?

დაასახელეთ მსგავსი მაგალითები.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია

ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით ქართველოლოგთა შორის ერთსულოვნება არ არის. მკვლევართა ერთი ნაწილი სალიტერატურო ქართულს სამ საფეხურად ყოფს: I _ ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები); II _ საშუალი ქართული ენა (XII-XVIII საუკუნეები); III – ახალი ქართული სალიტერატურო ენა (XIX საუკუნიდან დღემდე). ა. შანიძე ხაზს უსვამს აღნიშნული დაყოფის ერთგვარ პირობითობას; იგი თვლის, რომ ზედმიწევნილობით საზღვრის დადება ძველ, საშუალ და ახალ ქართულს შორის შორის არ შეიძლება.

არნ. ჩიქობავას აზრით, საშუალი ქართულის ცალკე საფეხურად გამოყოფა (ძველისა და ქართული გვერდით) არაა გამართლებული, ძველ ქართულს ახალი ქართული მოსდევს.

ძველ სალიტერატურო ენაზე შექმნილია დიდი რაოდენობის უმნიშვნელოვანესი და მრავალფეროვანი შინაარსის ნაწარმოებები, _ როგორც ორიგინალური, ასე ნათარგმნი ძეგლები.

პირველი პერიოდის ლიტერატურული ძეგლები სასულიერო ხასიათისაა. განსაკუთრებით გამოსარჩევია ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნაწარმოები _ იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, რომელიც ნამდვილი შედევრია სიტყვიერი ხელოვნებისა. ასევე მაღალმხატვრულობით (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ) გამოირჩევა მომდევნო ხანის პროზაული ტექსტები: იოვანე საბანისძის „აბოს წამება“ (VIII ს), გიორგი მერჩულის “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება” (X ს) და მრავალი სხვ.

XI-XII საუკუნეებიდან მოყოლებული უმაღლეს წერტილს აღწევს ქართული სამეცნიერო და ფილოსოფიური ენა. “ქართლის ცხოვრებამ”, საისტორიო ხასიათის ამ კაპიტალურმა თხზულებამ, დიდად შეუწყო ხელი მეცნიერული ენის განვითარებას.

სპეციალური ფილოსოფიური ენის შექმნისათვის იმთავითვე დიდი როლი შეასრულა თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმანებმა. იოანე პეტრიწი (XI-XII სს) ითვლება ქართული ფილოსოფიური ენის შემქმნელად.

მწიგნობრული ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებას არსებითად ხელი შეუწყო საერო მწერლობის აღმოცენებამ. XII საუკუნის სახოტბო პოეზიისა (შავთელის “აბდულმესია”, ჩახრუხაძის “თამარიანი”) და მხატვრული პროზის ნიმუშებში (“ამირან-

დარეჯანიანი”, “ვისრამიანი” ნათლად იგრძნობა გარდატეხა მხატვრული ენის განვითარებაში, ხოლო ქართული ენის მონუმენტური ძეგლი _ შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი” დასაწყისია ახალი გარდაქმნებისა ენის განვითარებაში.

რუსთაველის ენა ჭეშმარიტად ხალხურია. იგი ემყარება კლასიკური ენის ტრადიციებს და გამდიდრებულია ხალხური ენობრივი ნაკადით. “ვეფხისტყაოსნის” ენამ უდიდესი გავლენა მოახდინა მომდევნო საუკუნეთა ენის განვითარებაზე.

გვიანფეოდალურ ეპოქაში (XVI-XVIII სს) უფრო მეტი გასაქანი მიეცა სამწერლობო ენაში დიალექტებიდან მომდინარე ლექსიკურ-გრამატიკულ ფორმებს. ამდროინდელი კლასიკოსი მწერლების ენაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება დიალექტური და ძველი ლიტერატურული ნორმები, რამდენადმე დაირღვა სამწერლობო ენის უნიფიცირებული სისტემა და ფაკულტატიურმა ენობრივმა ფორმებმა ლიტერატურულ ნორმალიზაციას თავისი დაღი დაასვა.

XVII-XVIII საუკუნეების ქართული ენის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია: საზღაპრო ეპოსი “რუსუდანიანი”, თეიმურაზ I-ის, არჩილის, ბესიკის, ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ისა და სხვა მწერალთა მხატვრული ქმნილებანი. განსაკუთრებული ადგილი უკავია სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენას. იქმნებოდა საისტორიო ხასიათის თხზულებანი.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. **იმსჯელეთ ფრაზაზე:**

რუსთაველის ენა ჭეშმარიტად ხალხურია.

8. **წერილობით უპასუხეთ კითხვებს:**

რა თვალსაზრისები არსებობს ქართული ენის პერიოდიზაციის შესახებ?

რა ხასიათისაა პირველი პერიოდის ლიტერატურული ძეგლები?

როდიდან ყალიბდება სამეცნიერო და ფილოსოფიური ენა?

რა არის საერო მწერლობა?

რა მნიშვნელობა ჰქონდა შოთა რუსთაველის პოემას ქართული ენის განვითარებაში?

რით ხასიათდება XVI-XVIII საუკუნეების ქართული?

9. მოიძიეთ ტექსტში და მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ერთსულოვნება საფეხურად გამართლებული ზედმიწევნილობით საშუალი პირობითობას სალიტერატურო პერიოდიზაციასთან

ქართული სალიტერატურო ენის ..... დაკავშირებით ქართველოლოგთა შორის ..... არ არის. მკვლევართა ერთი ნაწილი ..... ქართულს სამ საფეხურად ყოფს: I _ ძველი ქართული ენა; II _ ..... ქართული ენა; III – ახალი ქართული სალიტერატურო ენა. ა. შანიძე ხაზს უსვამს აღნიშნული დაყოფის ერთგვარ.....; იგი თვლის, რომ ..... საზღვრის დადება ძველ, საშუალ და ახალ ქართულს შორის შორის არ შეიძლება.

არნ. ჩიქობავას აზრით, საშუალი ქართულის ცალკე ..... გამოყოფა (ძველისა და ქართული გვერდით) არაა .....

11. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

ქართული ლიტერატურის ისტორიას 3 პერიოდად ყოფენ. _____

პირველი პერიოდის ლიტერატურული ძეგლები საერო ხასიათისაა. _____

მაღალმხატვრულობით გამოირჩევა მომდევნო ხანის პროზაული ტექსტები: იოვანე საბანისძის "აბოს წამება" (VIII ს), გიორგი მერჩულის "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" (X ს) და მრავალი სხვ. _____

XI-XII საუკუნეებიდან მოყოლებული დეგრადაციას განიცდის ქართული სამეცნიერო და ფილოსოფიური ენა. _____

„ქართლის ცხოვრებამ", საისტორიო ხასიათის ამ კაპიტალურმა თხზულებამ, დიდად შეუწყო ხელი მეცნიერული ენის განვითარებას. _____

12. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ნაწარმოებები განვითარებას ტექსტები ხელოვნებისა ხასიათისაა მოსდევს

ძველ ქართულს ახალი ქართული .....

ძველ სალიტერატურო ენაზე შექმნილია უმნიშვნელოვანესი და მრავალფეროვანი შინაარსის .....

პირველი პერიოდის ლიტერატურული ძეგლები სასულიერო .....

„შუშანიკის წამება" ნამდვილი შედევრია სიტყვიერი .....

მაღალმხატვრულობით გამოირჩევა მომდევნო ხანის პროზაული .....

„ქართლის ცხოვრებამ“ საისტორიო ხასიათის ამ კაპიტალურმა თხზულებამ, დიდად შეუწყო ხელი მეცნიერული ენის .....

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი გეგმა.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

14. მოცემული გეგმის მიხედვით, მოამზადეთ ტექსტი თხრობით.

თემა 22
ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია

1. რამდენ საფეხურად ყოფენ მეცნიერები სალიტერატურო ქართულს?

2. რა არის ლექსიკა? იმსჯელეთ.

3. როგორ იწარმოება ტერმინები: ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია? გაიხსენეთ მსგავსი წარმოების ტერმინები.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

ლექსიკოლოგიის საგანი და დამხმარე დისციპლინები

ენათმეცნიერების იმ დარგს, რომელიც ლექსიკას შეისწავლის, ლექსიკოლოგია ეწოდება.

ლექსიკოლოგია იძლევა ამა თუ იმ ენის სიტყვათა მარაგის დახასიათებას (მდიდარია თუ ღარიბი ენის ლექსიკა), აანალიზებს ლექსიკის შემადგენლობას, გამოყოფს სიტყვათა სხვადასხვა შინაარსობრივ ჯგუფს, არკვევს, თუ რა ადგილი უკავია მათ ენის ლექსიკაში, შეისწავლის იმას, თუ როგორ ვითარდება ლექსიკა და სხვ.

ენათმეცნიერებაში არსებობს რამდენიმე დარგი იმ მეცნიერებების აღსანიშნავად, რომელნიც ენაში არსებულ ლექსიკას შეისწავლიან. ესენია: სემასიოლოგია, სემანტიკა, ონომასიოლოგია, ეტიმოლოგია, ლექსიკოგრაფია.

სემასიოლოგია სწავლობს ლექსიკურ მნიშვნელობათა ისტორიას. სემასიოლოგია, ლექსიკოლოგიის მსგავსად, სიტყვის მნიშვნელობას შეისწავლის. განსხვავება ისაა, რომ ლექსიკოლოგია უფრო მეტ მასალას მოიცავს: ლექსიკოლოგია სწავლობს სიტყვაში არა მარტო მის საგნობრივ მიმართებას, არამედ კიდევ სხვა მახასიათებლებსაც.

ლექსიკოლოგია შეისწავლის სიტყვის ემოციურ იერსაც; ***დაჯდა*** და ***დაბრძანდა*** ერთმანეთისაგან სემასიოლოგიურად არ განსხვავდება, მაგრამ თანმხლები ემოციური იერის მიხედვით მათ შორის საგრძნობი განსხვავებაა. ამას გარდა, ლექსიკოლოგიას აინტერესებს შეფასების მომენტი, რომელიც საგნობრივ მიმართებასთან ერთად შეიძლება ახლდეს სიტყვას.

ლექსიკოლოგია იკვლევს სიტყვათა ხმარების სფეროს, ე.ი. იმ ფაქტს, რომ ამა თუ იმ სიტყვას, თუ მნიშვნელობას თითქმის იმ დარგის ბეჭედი აზის, სადაც ეს სიტყვა იხმარება.

ლექსიკოლოგიას აინტერესებს ის ფაქტი, რომ პირი სიტყვასთან უპირატესად იხმარება გააღო, ტუჩები კი გახსნა ზმნას იგუებს.

ლექსიკოლოგიის კვლევის სფეროში შემოდის ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები_ახალი სიტყვების შემოსვლა და წარმოქმნა ენაში.

ლექსიკონის შედგენის პრინციპთა შესახებ სხვა, ლექსიკოლოგიისაგან განსხვავებული დარგი არსებობს და მას **ლექსიკოგრაფია** ეწოდება.

ამა თუ იმ ენის ლექსიკას მეტ-ნაკლები სისრულით თავს უყრიან ლექსიკონები. ლექსიკონებში სიტყვებს ალაგებენ ორი პრინციპით: ან ანბანთრიგზე, ანდა ბუდეებად. ბუდეში თავს იყრის ერთი ფუძის (ან ძირის) ყველა ნაწარმოები სიტყვა.

ფართო მოხმარების ლექსიკონებში ჩვეულებრივ, ანბანთრიგზე აწყობენ სიტყვებს, ხოლო საენათმეცნიერო სპეციალური ლექსიკონები უპირატესად ფუძე-ძირებზე იწყობა.

ლექსიკონებში არა მარტო აღრიცხავენ სიტყვებს, არამედ უჩვენებენ მათ მნიშვნელობასაც, რომელიც შეიძლება იმავე ენაზე გადმოიცეს, რა ენაზეც იწერება აღნიშნული ლექსიკონი. ასეთი ლექსიკონი იქნება განმარტებითი. სიტყვის მნიშვნელობას განმარტებით ლექსიკონებში ასე უჩვენებენ: მოცემული სიტყვის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებულ განმარტებას. სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება უჩვენონ სხვა ენიდან სათანადო სიტყვის შერჩევით; ეს იქნება თარგმნითი ანუ პარალელური ლექსიკონი. თარგმნითი ლექსიკონი, ჩვეულებრივ, ორენოვანია: ქართულ-ინგლისური (შეიძლება იყოს სამენოვანიც ან ოთხიც…). არის სპეციალური ლექსიკონები: სოფლის მეურნეობის ლექსიკონი, ტექნიკური ლექსიკონი, სამედიცინო ლექსიკონი; ტერმინოლოგიური ლექსიკონი (ამგვარ ლექსიკონებში მხოლოდ სპეციალური ტერმინები და ამ ტერმინებისაგან შემდგარი გამოთქმები შედის), ორთოგრაფიული ლექსიკონი (შეტანილია ის სიტყვები, რომელთა მართლწერა სადავოა), სინონიმების ლექსიკონი, იდიომატურ თქმათა ლექსიკონი, ქართული ჟარგონის ლექსიკონი და სხვ. სპეციალურ ლექსიკონებში შედის საენათმეცნიერო ლექსიკონებიც: დიალექტოლოგიური (ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკურ თავისებურებათა აღნუსხვა), ისტორიული (სადაც ლექსიკის შემადგენლობისა და სიტყვათა მნიშვნელობების ცვლაა აღნუსხული), შედარებითი, რომელშიც, ორი ან მეტი მონათესავე ენის სიტყვებია შედარებული (შედარებულია და არა იდენტური თარგმნილი, როგორც პარალელურ ლექსიკონებშია). შედარებითი ლექსიკონები მხოლოდ მონათესავე ენებისაა, რომლებსაც საერთო წარმოშობა აქვთ, პარალელური – ერთი მნიშვნელობის სიტყვებს მოიცავს.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. იმსჯელეთ ფრაზაზე:

ფართო მოხმარების ლექსიკონებში ჩვეულებრივ, ანბანთრიგზე აწყობენ სიტყვებს, ხოლო საენათმეცნიერო სპეციალური ლექსიკონები უპირატესად ფუძე-ძირებზე იწყობა.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რას შეისწავლის ლექსიკოლოგია? ლექსიკოგრაფია?

_____

_____

_____

_____

რა არის ლექსიკონი?

_____

_____

_____

რომელი ლექსიკონები იცით?

_____

_____

_____

რომელ ლექსიკონებს იყენებთ?

_____

_____

_____

ახსენით, რას ნიშნავს განმარტებითი ლექსიკონი?

_____

_____

_____

რა პრინციპითაა აგებული განმარტებითი ლექსიკონი?

_____

_____

_____

9. იმსჯელეთ მოცემული სქემის შესახებ; დაახასიათეთ თითოეული ლექსიკონი.



10. ყველა ენაში არსებობს საერთაშორისო სიტყვები.

I. ჩამოთვალეთ ასეთი სიტყვები;

II. მოძებნეთ და შეაერთეთ წყვილები:

ორთოგრაფია	მასწავლებელი
პედაგოგი	მსახიობი
არტისტი	მართლწერა

11. დაუკავშირეთ ერთმანეთს საერთაშორისო სიტყვები და მათი განმარტებები:

ფუნქცია	გარკვეული სახის შეერთება, შეხამება.
ინდივიდი	ვრცელი სიტყვა.
კომუნიკაცია	ადამიანი, პიროვნება.
ინფორმაცია	საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის.
ფონემა	მნიშვნელობა, დანიშნულება.
კომბინაცია	ენის საშუალებით აზრის გადაცემა, ურთიერთობა.
პროცესი	სამეტყველო ბგერა, ბგერითი ერთეული.
მონოლოგი	მოვლენის განვითარების გზა.
დიალოგი	შეტყობინება, ცნობება.

12. ეს განმარტებები მოყვანილია უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან.

მომდევნო ტექსტებიდან ამოიწერეთ ამგვარი ლექსიკური ერთეულები და განმარტეთ.

13. დაუკვირდით სიტყვებს:

ექსპრესიული

სოციალური

რა მაწარმოებლები გამოიყოფა და რა მნიშვნელობას აძლევს ეს მაწარმოებლები სიტყვას?

ექსპრესია - რაიმე განცდის, გრძნობის გამოხატვა; სოციალური (ლათ. საზოგადოებრივი) - რაც საზოგადოების ცხოვრებასთან არის დაკავშირებული და მათს ურთიერთობას ახასიათებს.

საშინაო დავალება:

14. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი გეგმა.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

15. მოცემული გეგმის მიხედვით მოამზადეთ ტექსტი თხრობით.

თემა 23-24
კოსმოპოლიტიზმი და ნაციონალიზმი

1. რა განსხვავებაა ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიას შორის?

2. როგორ გესმით სიტყვა ნაციონალიზმი? იმსჯელეთ.

3. ალბათ, გსმენიათ კოსმოპოლიტიზმის შესახებ. იმსჯელეთ და გამართეთ დისკუსია.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

ვაჟა-ფშაველა

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელ კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელი ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულ ჯგუფს; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველი ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში…

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავისი ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა ტკბება დღესაც. ასევე სერვანტესი, გოეთე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელ კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდე, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთა ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დატკბება ისე, განსაკუთრებით თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურ ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დატკბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდაც კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება…

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფის ავ-კარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავე წამიდან, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად.

ეს ყველაფერი ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი მშვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრული ჭკუის, საღი გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? –

იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათას ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთ ადგილას უნდა დაიბადოს, ერთ ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერი ერთნაირად მიყვარსო, – ტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთ რომელიმე ენას იწამებს და ერთ ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ…

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი სახსარია იმ უბედურების ასაცილებლად, რომელიც დღემდე მთელ კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს, ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელი კაცობრიობის განვითარებისა.

1905 წ

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. იმსჯელეთ ფრაზაზე:

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა...

8. მოიძიეთ ტექსტში და მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი ..... ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი ..... ისე, როგორც ყოველი ..... კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება ..... და ცდილობს თავისი სამშობლო ..... გონებრივ, ქონებრივ და ....., ამით ის უმზადებს მთელ ..... საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის ....., კეთილდღეობას.

9. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

10. მოიძიეთ ტექსტში და დაასრულეთ წინადადებები:

თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე .....

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავის .....

ედისონი ამერიკელია, ამერიკაში მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა .....

შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა .....

გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი .....
მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას .....
ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი .....

11. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

კოსმოპოლიტიზმი	პატრიოტიზმი
ნაციონალიზმი	სამშობლო
მშობლიური ენა	მსოფლიო მოქალაქეობა

12. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	**რა გავიგე**	**რა მინდა ვიცოდე**

საშინაო დავალება:

13. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი გეგმა.

_____

_____

_____

_____

_____

14. მოცემული გეგმის მიხედვით მოამზადეთ ტექსტი თხრობით.

თემა 25
კითხვის მნიშვნელობა ადამიანისთვის

1. კარგია თუ არა კოსმოპოლიტიზმი? იმსჯელეთ.

2. გიყვართ კითხვა? თქვენი აზრით, რითაა კითხვა სასარგებლო ადამიანისთვის?

3. გამართეთ დისკუსია კითხვის მნიშვნელობის შესახებ ადამიანისთვის.

4. წაიკითხეთ სტატია:

ამ სტატიაში მინდა გაგაცნოთ ლიტერატურის ის ოთხი ფსიქოლოგიური ფუნქცია, რომლებიც ადამიანის სულს ასაზრდოებს:

1. კითხვა გინარჩუნებთ დროს

თითქოს დროის უაზრო კარგვაა, თუმცა ლიტერატურა უნიკალური დროის მზოგავია – კითხვის მეშვეობით შეგვიძლია განვიცადოთ და შევიგრძნოთ რიგი ემოციებისა და შემთხვევებისა, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში წლებს, საუკუნეებსა და ათასწლეულებს მოანდომებდა, რომ მომხდარიყო. ლიტერატურა რეალობის უძლიერესი სიმულატორია – მანქანა, რომელიც უსასრულოდ მეტი სიტუაციის განცდის საშუალებას გაძლევს, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში შეძლებდი.

2. ხდები უკეთესი

ლიტერატურა განახვებს საგნებსა და მოვლენებს სხვების თვალით. ის საშუალებას გვაძლევს, რომ სხვების მაგალითზე საკუთარი ქმედებების შედეგები დავინახოთ, ასევე, ის სიკეთის, გულუხვობისა და თანაგრძნობის მაგალითია ჩვენთვის.

ლიტერატურა მტკიცედ ეწინააღმდეგება აზრს, რომ მთავარი ფული და ძალაუფლებაა. მწერლები არ არიან ამ დომინანტური სისტემის მომხრენი – ისინი თანაგრძნობით განგვაწყობენ ისეთი იდეებისა და გრძნობების მიმართ, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ყოველდღიურ, კომერციულ, ცინიკურ სამყაროში იჩაგრება.

3. წიგნი მარტოობის წამალია

ჩვენ იმაზე მეტად უცნაურები ვართ, ვიდრე ვაღიარებთ. ჩვენ ხშირად ვერ ვამბობთ, თუ რაზე ვფიქრობთ. წიგნებში კი ვპოულობთ განმარტებას, თუ ვინ ვართ სინამდვილეში. ის

მოვლენებს აღწერს მეტად რეალურად, ვიდრე ჩვეულებრივი დიალოგი გვაძლევს ამის საშუალებას. საუკეთესო წიგნებში აღმოვაჩენთ, რომ ავტორი იმაზე უკეთ გვიცნობს, ვიდრე ჩვენ თვითონ ვიცნობთ საკუთარ თავებს – წიგნები პოულობენ საჭირო სიტყვებს ჩვენი შინაგანი ცხოვრების მყიფე, უცნაური და განსაკუთრებული გამოცდილებების გადმოსაცემად… მწერლები ხსნიან ჩვენს გულსა და გონებას, ისინი ჩვენს საკუთარ რუკას გვიდგენენ, რათა უფრო სანდოდ ვიმოგზაუროთ, ნაკლები პარანოიითა და დევნით.

4. გამზადებს მარცხისათვის

ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში ერთ-ერთი უდიდესი შიში არის მარცხი, იმედგაცრუება, გვეშინია რომ "ლუზერის" იარლიყს მოგვაკრავენ. ყოველდღიურად მედია გვიჩვენებს ასეთ ისტორიებს. საინტერესოა, რომ მრავალი ლიტერატურაც სწორედ მარცხზეა – რაღაც მხრივ, არაერთი კარგი ნოველა, პიესა თუ პოემა, ადამიანების იმედგაცრუებაზეა. წიგნი არასოდეს განსჯის ისე უხეშად და ცალსახად, როგორც მედია.

ლიტერატურა არაერთი მიზეზით იმსახურებს პატივს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიზეზთაგან არის ის, რომ გვეხმარება ვიცხოვროთ და მოვკვდეთ ცოტა მეტი სიბრძნით, გულკეთილობითა და საღი აზროვნებით.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. მოიძიეთ ტექსტში და მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

თითქოს დროის ..... კარგვაა, თუმცა ..... უნიკალური დროის ..... – კითხვის მეშვეობით შეგვიძლია ..... და შევიგრძნოთ რიგი ემოციებისა და შემთხვევებისა რომელიც ..... ცხოვრებაში წლებს, საუკუნეებსა და ათასწლეულებს ..... , რომ მომხდარიყო. ლიტერატურა რეალობის უძლიერესი ..... – მანქანა, რომელიც ..... მეტი სიტუაციის განცდის საშუალებას გაძლევს, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში შეძლებდი.

8. იმსჯელეთ ფრაზაზე:

ლიტერატურა განახვებს საგნებსა და მოვლენებს სხვების თვალით.

9. ტექსტის მიხედვით, დაასრულეთ შემდეგი წინადადებები:

ლიტერატურა განახვებს საგნებსა და მოვლენებს სხვების .....

ის საშუალებას გვაძლევს, რომ სხვების მაგალითზე საკუთარი ქმედებების შედეგები .....

ლიტერატურა მტკიცედ ეწინააღმდეგება აზრს, რომ მთავარი ფული და .....

ჩვენ იმაზე მეტად უცნაურები ვართ, ვიდრე .....

ჩვენ ხშირად ვერ ვამბობთ, თუ რაზე ვფიქრობთ. წიგნებში კი ვპოულობთ განმარტებას, თუ ვინ ვართ .....

მწერლები ხსნიან ჩვენს გულსა და გონებას, ისინი ჩვენს საკუთარ რუკას გვიდგენენ, რათა უფრო სანდოდ ვიმოგზაუროთ, ნაკლები პარანოიითა და .....

წიგნი არასოდეს განსჯის ისე უხეშად და ცალსახად, როგორც .....

10. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

სხვების განახვებს და ლიტერატურა მოვლენებს თვალით საგნებსა

_____

მტკიცედ ლიტერატურა ფული და ძალაუფლებაა ეწინააღმდეგება აზრს, რომ მთავარი

_____

იმაზე მეტად ვართ ვაღიარებთ ჩვენ ვიდრე უცნაურები

_____

11. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა გავიგე	რა მინდა ვიცოდე

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი გეგმა.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

13. მოცემული გეგმის მიხედვით მოამზადეთ ტექსტი თხრობით.

თემა 26
გენიოსთა იუმორი

1. გავიხსენოთ, რაში გვეხმარება კითხვა...

2. ვინ არიან გენიოსები? ვინ მიგაჩნიათ თქვენ გენიოსად?

3. რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში იუმორს? იმსჯელეთ.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

დანიელი მწერალი-მეზღაპრე ქრისტიან ანდერსენი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თავის ჩაცმულობას. მწერლის გაცვეთილ პლაშჩსა და შლაპას მთელი კოპენჰაგენი იცნობდა.

ერთხელ, როცა ანდერსენი კოპენჰაგენის გაკრიალებულ ქუჩებში სეირნობდა, ერთმა გამვლელმა ჰკითხა:

– უკაცრავად, ამ საცოდავ საგანს თქვენს თავზე თქვენ შლაპას ეძახით?

ანდერსენი არ დაიბნა და მშვიდად შეუბრუნა კითხვა:

– როგორ, ამ საცოდავ საგანს, თქვენი შლაპა რომ ახურავს, თქვენ თავს უწოდებთ?

* * *

ერთხელ გერმანელ მწერალ ბერტოლდ ბრეხტს უცნობმა პროვინციელმა დრამატურგმა პიესა გაუგზავნა და მისწერა:

“მთელი მსოფლიოს დრამატურგებისაგან იმით გამოვირჩევი, რომ მძიმეებს არ ვსვამ, რადგან ზედმეტად მიმაჩნია. თუ თქვენ სხვა აზრისა ბრძანდებით, გთხოვთ, სადაც საჭიროდ ჩათვალოთ, დასვით მძიმეები.”

ბრეხტმა პიესა დაუბრუნა და მისწერა: “მიმაჩნია, რომ მძიმეები აუცილებელია და გთხოვთ, შემდეგში მხოლოდ მძიმეები გამომიგზავნოთ, ტექსტს კი როგორმე თავად შევთხზავ.”

* * *

საფრანგეთის აკადემიაში ისმენდნენ ლექციას მხატვრულ ლიტერატურაზე.

– ფრანგული ენის დაცემა დაიწყო 1719 წელს… განაცხადა მხცოვანმა მომხსენებელმა.

ჰიუგო წამოდგა და მოკრძალებით ჰკითხა:

ხომ არ ინებებდით და დააზუსტებდით, რომელ საათზე?

* * *

დიუმა საფრანგეთის ერთ ქალაქში ჩავიდა და გადაწყვიტა წიგნების მაღაზიას სწვეოდა. მაღაზიის გამყიდველმა წინასწარ შეიტყო მწერლის განზრახვა და ყველა თარო დიუმას წიგნებით შეავსო. მწერალს გაუკვირდა და ჰკითხა:

– სხვა ავტორები სად არიან?

– სხვები? – დაიბნა გამყიდველი, სხვები გაიყიდა.

* * *

ერთმა მეცნიერმა სოკრატეს ჰკითხა: როგორ უნდა განვიკურნოთ ერთი ნახვით შეყვარებისაგანო.

– საჭიროა, ყურადღებით შეხედოთ მეორედ! – უპასუხა ფილოსოფოსმა.

* * *

ერთხელ მარკ ტვენმა რედაქციაში ანონიმური წერილი მიიღო. წერილში ერთადერთი სიტყვა ეწერა: "ღორი". მეორე დღეს მარკ ტვენმა საკუთარ გაზეთში პასუხი გამოაქვეყნა:

– წესისამებრ, ხელმოწერილ წერილებს მიგზავნიან, გუშინ კი მივიღე ავტორის ხელმოწერა წერილის გარეშე.

* * *

ერთხელ მარკ ტვენს რედაქციაში ერთმა ავტორმა ბევრი სუსტი ლექსი გაუგზავნა საერთო სათაურით – „რატომ ვარ ცოცხალი?"

„იმიტომ, რომ ლექსები ფოსტით გამოაგზავნეთ და პირადად არ გამოცხადდით რედაქციაში", - უპასუხა მარკ ტვენმა.

* * *

ერთმა მოპოეტო პიროვნებამ ვოლტერს წაუკითხა საკუთარი ოდა, რომელსაც ერქვა _ „შთამომავლობას" და სთხოვა, აზრი გამოეთქვა. „ვფიქრობ, თქვენი ოდა შთამომავლობამდე ვერ მიაღწევს", – უპასუხა ვოლტერმა.

* * *

ხანგრძლივი მოგზაურობისას ფრანსუა რაბლეს ერთ-ერთ ქალაქში ფული გაუთავდა და პარიზში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ გზის ფულიც არ აღმოაჩნდა. აიღო შაქრის ნატეხი, გაახვია ქაღალდში, წააწერა: „საწამლავი ხელმწიფისათვის" და მაგიდაზე დადო. შეშინებულმა სასტუმროს დამლაგებელმა ეს პაკეტი სასტუმროს დირექტორს მიურბენინა, ამ უკანასკნელმა კი სასწრაფოდ გამოიძახა პოლიცია. რაბლე დააპატიმრეს და უმალ

პარიზისაკენ გააქანეს. პარიზის პოლიციაში რაბლემ აღიარა თავისი განზრახვა და შაქარი თვითონ მიირთვა. პოლიციელებს გაეცინათ და სახლში გაუშვეს.

* * *

– რამდენი შემოსავალი დაგაკმაყოფილებდათ, რომ თავი ბედნიერად გეგრძნოთ? – ჰკითხეს ბერნარდ შოუს.

– იმდენი, რამდენიცა მაქვს ჩემი მეზობლების აზრით, – უპასუხა ბერნარდმა.

* * *

ერთხელ ბერნარდ შოუს წამოსცდა ფრაზა, რომ ყველა ქალი იყიდება. ამ სიტყვებმა მალევე მიაღწია ბრიტანეთის დედოფლის ყურამდე, რომელმაც პირველივე შეხვედრისას ჰკითხა მწერალს:

–სერ, თქვენ მართლაც ფიქრობთ, რომ ყველა იყიდება?

–დიახ, ჩემო დედოფალო.

–მეც?–გაიოცა დედოფალმა.

–თქვენც…–უპასუხა შოუმ.

–როგორ ფიქრობთ, მაინც რამდენი ვღირვარ?

–10 000 ფუნტი სტერლინგი.– ჩვეული სიმტკიცით უპასუხა დრამატურგმა.

–ნუთუ ასე იაფი?–გაიოცა დედოფალმა.

–აი, ხომ ხედავთ, ჩემო დედოფალო, უკვე მევაჭრებით. – გაეღიმა შოუს.

* * *

ერთხელ, თანამედროვე ტექნიკის მიღწევებზე საუბრისას, შოუმ განაცხადა:

– ახლა, როცა ვისწავლეთ ჩიტივით ცაში ფრენა და თევზივით წყალქვეშ ცურვა, ისღა დაგვრჩენია, ვისწავლოთ მიწაზე ადამიანური ცხოვრება.

* * *

ბერნარდ შოუმ თავისი ცნობილი პიესის „კანდიდის” პრემიერის შემდეგ მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობ ქალბატონს დეპეშა გაუგზავნა: „შესანიშნავია, განუმეორებელია, ღვთიურია”… აღელვებულმა მსახიობმა უპასუხა: „თქვენ აჭარბებთ”. შოუმ მეორე დეპეშა გაუგზავნა: „მე მხედველობაში მქონდა პიესა”. მსახიობმა უპასუხა: “მეც!”.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. მოიძიეთ ტექსტში და მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

დანიელი მწერალი-..... ქრისტიან ანდერსენი არავითარ ..... არ აქცევდა თავის ჩაცმულობას. მწერლის ..... პლაშჩსა და შლაპას მთელი კოპენჰაგენი იცნობდა.

ერთხელ გერმანელ მწერალ ბერტოლდ ბრეხტს უცნობმა ..... დრამატურგმა პიესა გაუგზავნა და მისწერა: „მთელი მსოფლიოს ..... იმით გამოვირჩევი, რომ ..... არ ვსვამ, რადგან ..... მიმაჩნია. თუ თქვენ სხვა აზრისა ბრძანდებით, ..., სადაც საჭიროდ ჩათვალოთ, ... მძიმეები.”

საფრანგეთის ..... ისმენდნენ ლექციას ..... ლიტერატურაზე.

– ფრანგული ენის ..... დაიწყო 1719 წელს… განაცხადა ..... მომხსენებელმა.

8. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

ქალაქში დიუმა სწვეოდა გადაწყვიტა ერთ ჩავიდა და წიგნების მაღაზიას საფრანგეთის

_____

მარკ წერილი ტვენმა მიიღო რედაქციაში ერთხელ ანონიმური

_____

ბერნარდ ერთხელ ყველა იყიდება წამოსცდა შოუს ფრაზა რომ ქალი

_____

9. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

მოკრძალებით	ტკბილი
პოლიციელი	წერილი
მეცნიერი	მორცხვი
ფოსტა	ფული
შაქარი	ლექსი
პოეტი	დანაშაული
შემოსავალი	ნაშრომი

10. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	**რა გავიგე**	**რა მინდა ვიცოდე**

11. თითო სტუდენტმა აიღოს თითო ამბავი და წარმოადგინოს თხრობით.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 27-28
მკითხველი და ბიბლიოთეკა

1. რით არის კარგი იუმორი? გამოთქვით თქვენი მოსაზრებები.
2. გაიხსენეთ სახალისო ამბები ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან.
3. თქვენ თუ მოხვედრილხართ სასაცილო სიტუაციაში? მოჰყევით თქვენი ამბავი.
4. თქვენ ბევრჯერ ყოფილხართ ბიბლიოთეკაში. რა დანიშნულება აქვს ბიბლიოთეკას?
5. ვინ არის ბიბლიოთეკარი? რა ევალება მას?
6. წაიკითხეთ ტექსტი:

მკითხველი და ბიბლიოთეკა

წიგნი – არაჩვეულებრივი რთული საზოგადოებრივი მოვლენაა. მასში ერთმანეთს ერწყმის აზრი და სიტყვა, მეცნიერება და კულტურა, სულიერი ცხოვრება, როგორც ერთი ადამიანის, აგრეთვე მთელი საზოგადოებისა. მასთან დაკავშირებულია: იდეოლოგია, ესთეტიკა, ინფორმაცია. მას თავისი ისტორია აქვს, თავისი პრობლემები. წიგნში გადმოცემულია მთელი კაცობრიობის სულიერი სიმდიდრე.

წიგნს ერთი გზა აქვს – მკითხველისაკენ. თუ ეს გზა არ არის გაკვალული, მაშინ წიგნი არ არსებობს, მისი ფუნქციები ვერ განხორციელდება. ყველა წიგნს თავისი გზა აქვს. ზოგი იკითხება, ზოგი ცნობას იძლევა, ზოგიც კი იმტვერება თაროებზე.

მკითხველისათვის წიგნის გამორჩევა დიდი მეცნიერება და კულტურაა. რა წავიკითხოთ? როდის წავიკითხოთ? რამდენი წავიკითხოთ? ზუსტი რეცეპტი ამ საკითხზე არ არსებობს და არც არის საჭირო. წიგნი ცოცხლობს მკითხველთან ურთიერთობის პროცესში. ამიტომ მობრძანდით ბიბლიოთეკაში, ცოდნის ტაძარში, სადაც ყოველი ჩვენგანი შეიძენს სულის სიმშვიდეს.

მკითხველებთან მუშაობის მეთოდები და მომსახურების ორგანიზაციის საკითხები უნდა განიხილებოდეს თანამედროვე მეცნიერული მიღწევების დონეზე. ბიბლიოთეკაში მკითხველებთან მუშაობა მეცნიერულად შესწავლილი და დადგენილი მეთოდებით უნდა წარმოებდეს. მეთოდები შემოქმედებითი ბუნებისა არიან – ვითარდებიან, იცვლებიან, ზოგი ძველდება, კარგავს პირვანდელ მნიშვნელობასა თუ ფორმას. ამიტომ საჭიროა, ყოველთვის კრიტიკულად მოვეკიდოთ მათი გამოყენების საკითხს. მეთოდები უნდა ამართლებდეს მიზანს და მაქსიმალურ ეფექტს იძლეოდეს.

მკითხველებთან მუშაობა კითხვის ხელმძღვანელობის საქმის მთავარ ღერძს წარმოადგენს.

როდესაც მკითხველებთან მუშაობაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ რაოდენობრივი ელემენტით. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მაინცა და მაინც ბიბლიოთეკარი და მკითხველი მუშაობის პროცესში პირისპირ იყვნენ. მკითხველებთან მუშაობა არსებითად ინდივიდზე ზეგავლენას გულისხმობს სპეციალური მეთოდების

გამოყენებით. ამ დროს ბიბლიოთეკარმა ზუსტად იცის ვისთან მუშაობს, რა მიზნით, რა მეთოდები უნდა გამოიყენოს. მისთვის ნათელია ის ამოცანები, რის გადაწყვეტაც კონკრეტული პიროვნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთანაა დაკავშირებული. ამ საქმეს ყველაზე მეტად დახელოვნებული სპეციალისტები უნდა უძღოდნენ, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა იყვნენ მომზადებული და განათლებული პიროვნებები. მხოლოდ ასეთ ბიბლიოთეკარებს შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ მკითხველზე.

თანამედროვე ბიბლიოთეკარი უნდა ეხმარებოდეს მკითხველს რჩევებით, თუ რა წაიკითხოს, როგორ ისარგებლოს წიგნით, ინსტრუქტაჟი გაუწიოს მკითხველს წიგნის შერჩევაში, ასწავლოს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, რეკომენდაცია გაუწიოს ლიტერატურას.

მკითხველებთან მუშაობისას საჭიროა, კარგად ვერკვეოდეთ ინდივიდის თავისებურებაში. ეს კი შეუძლებელია ფსიქოლოგიის მიღწევების ცოდნისა და ღრმად შესწავლის გარეშე.

ბიბლიოთეკარი უნდა ერკვეოდეს პიროვნების ჩამოყალიბების როგორც სოციალურ, ისე ფსიქოლოგიურ პირობებში და, რაც მთავარია, მკითხველის მოთხოვნილებებში, პირვანდელი მოთხოვნილებები ადამიანის სოციალური და ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარეობს. მათი შეცნობა დაკავშირებულია უკვე მკითხველის შესწავლასთან. ეს საქმე კი მოითხოვს ფსიქოლოგიის მონაპოვართა გათვალისწინებას. უკვე მკვეთრად გამოისახა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ფსიქოლოგიის შეხების წერტილები. სისტემა – „წიგნი-ბიბლიოთეკა-მკითხველი" – წარმოდგენილია სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტით კვლევის გარეშე. წარმოჩნდა პრობლემები ამ სფეროში, როგორებიც არის, მაგალითად, კითხვის ფსიქოლოგია, ბიბლიოთეკარისა და მკითხველის ფსიქოლოგია და ა.შ. საბიბლიოთეკო ფსიქოლოგია სწავლობს მკითხველის ფსიქოლოგიას, აგრეთვე ბიბლიოთეკარის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ხოლო კითხვის ფსიქოლოგია – კითხვას, როგორც მოვლენას, როგორც ადამიანის ქმედებას, ქცევას.

ადრე იყო ცდა, შეექმნათ მოძღვრება წიგნისა და მკითხველის ფსიქოლოგიის შესახებ – ბიბლიოფსიქოლოგია, მაგრამ ის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული სისტემა, ვერ განვითარდა, თუმცა ამჟამად მომწიფდა წიგნისა და მკითხველის ფსიქოლოგიის ავტონომიური კვლევის ორგანიზაცია.

როგორც ვიცით, წიგნს ობიექტურად აქვს აღზრდის უნარი. ყოველი ადამიანი, რომელიც კითხულობს წიგნს, მის გავლენას განიცდის, რაც აღზრდის მოვლენის ტოლფასოვანია. ბიბლიოთეკა, რომელიც წიგნისა და ადამიანის ურთიერთობას არეგულირებს, თავისთავად წარმოგვიდგება აღმზრდელობით ორგანოდ. რჩევა, დარიგება, რეკომენდაცია, დახმარება, კითხვის კულტურის აღზრდა და მსგავსი პროცესები, რომლებსაც ყოველდღიურად უნდა ვხვდებოდეთ მკითხველებთან მუშაობის დროს, ფაქტობრივად, პედაგოგიური საქმიანობაა. აღზრდის, სწავლებისა და განათლების პრობლემები, რომლებსაც პედაგოგიკა იკვლევს, ის საფუძვლებია, რომლებსაც ბიბლიოთეკათმცოდნეობა ეყრდნობა მკითხველებთან მუშაობის მეთოდების დამუშავების დროს. ითვალისწინებს რა პედაგოგიურ კატეგორიებს,

ბიბლიოთეკათმცოდნეობა იკვლევს ბიბლიოთეკაში აღმზრდელობითი პროცესების კანონზომიერებებს.

ინდივიდუალური მუშაობის დროს ბიბლიოთეკარს განსაკუთრებულად მოეთხოვება, რომ რამდენადაც შეიძლება კარგად ჰყავდეს შესწავლილი თავისი მკითხველი. არის სპეციალური ფორმები და მეთოდები, რომელთა საშუალებით ბიბლიოთეკარი ახერხებს ახლოს გაეცნოს მკითხველს, ჩასწვდეს მის მოთხოვნილებებს, შეიცნოს მისი ინტერესები. ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება, დაკვირვება მკითხველზე, მათთან კონტაქტი ამდიდრებს მის ცოდნას მკითხველზე, რაც აადვილებს მასთან მუშაობას.

წიგნის გასაცემად ბიბლიოთეკარის მზადება სამ მომენტს უნდა შეიცავდეს: 1) ბიბლიოთეკარის თვითმომზადება, 2) ტექნიკური პირობების მომზადება, 3) საჭირო მასალის შერჩევა-მომზადება.

თვითმომზადება ნიშნავს ბიბლიოთეკარის ისეთ საქმიანობას, როდესაც ის თავის თავზე მუშაობს პროფესიონალური დაოსტატებისათვის. იგი ყოველდღიურად უნდა ეცნობოდეს გაზეთებს, ჟურნალებს, ბროშურებს, არკვევდეს ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის ძირითად პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის აქტუალურ საკითხებს. რა სიახლეა ამ მხრივ, რა საინტერესო ფაქტებსა და მოვლენებს ჰქონდა ადგილი მსოფლიოში, რა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ძვრებია მომხდარი ქვეყნად, რა უახლეს ამოცანებს გვისახავს ჩვენი ხელისუფლება. ამასთან ერთად, ბიბლიოთეკარი ყოველდღიურად უნდა ეცნობოდეს ახალ ლიტერატურას, კითხულობდეს რეცენზიებს. ბიბლიოთეკარი მოვალეა, შინაც მუშაობდეს თავის თავზე. რადიოსა და ტელევიზიის საშუალებითაც უნდა იმაღლებდეს თავის პროფესიონალურ დონეს.

ბიბლიოთეკარს მკითხველთან ურთიერთობაში ხელს შეუწყობს ბიბლიოგრაფიული წყაროების, მაჩვენებლების, საძიებლების, ბიულეტენებისა და მსგავსი მასალის გადახედვა-გადასინჯვა. მხოლოდ ამგვარად მომზადებულ ბიბლიოთეკარს ძალუძს მაღალ დონეზე იმუშაოს მკითხველებთან.

წიგნის შერჩევა რეკომენდაციის მიზნით ყველაზე საპასუხისმგებლო და ძირითადი პროცესია.

მკითხველმა კარგად იცის, დაახლოებით როგორი ლიტერატურა სჭირდება, მაგრამ არ შეუძლია განსაზღვროს, კონკრეტულად რომელი წიგნი გამოადგება, ამიტომ ბიბლიოთეკარი ვალდებულია, კარგად ერკვეოდეს მოთხოვნათა კატეგორიებში. შეისწავლიდეს და აანალიზებდეს მათ. ეს საშუალებას მისცემს, უკეთ განსაზღვროს მკითხველის საჭიროებანი.

კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილებისას შესაძლებელია საჭირო გახდეს ზოგი დეტალის დაზუსტება-დადგენა ან ერთი გამოცემის მეორე, უფრო სრული, ახალი გამოცემით შეცვლა, ან ახალი ვარიანტის შეთავაზება. ყველა შემთხვევაში ბიბლიოთეკარი ვალდებულია, მოთმინებით დაეხმაროს მკითხველს იმ წიგნის პოვნაში, რომელსაც ის ეძებს.

საჭირო წიგნების შერჩევისას შეიძლება გამოვიყენოთ პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკულ-პუბლიცისტური მასალა-რეცენზიები, გამოხმაურებანი, კრიტიკული სტატიები.

ბიბლიოთეკარმა მკითხველთან ურთიერთობაში უნდა გამოიყენოს ისეთი ფორმა როგორიცაა – კონსულტაცია. ძირითადად სამი სახის კონსულტაციას ასხვავებენ: ბიბლიოგრაფიულს, თემატურსა და მეთოდურ-ინსტრუქციულს.

როცა მკითხველს ფაქტობრივი მასალის დადგენა ესაჭიროება, უნდა გამოვიყენოთ ბიბლიოგრაფიული კონსულტაცია.

თემატური კონსულტაციით ბიბლიოთეკარი მკითხველს ეხმარება რაიმე საკითხის, თემის ან მოვლენის ზუსტად გარკვევაში, როცა ის ამას დამოუკიდებლად ვერ ახერხებს.

მეთოდურ-ინსტრუქციული სახის კონსულტაციას მიმართავენ, როდესაც მკითხველს ესაჭიროება გაერკვეს საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიულ ცოდნაში – როგორ ისარგებლოს ბიბლიოთეკის დახმარებით, როგორ მიიღოს საჭირო წიგნი, როგორ გამოიყენოს სახვადასხვა სახის კატალოგი თუ კარტოთეკა, დამხმარე აპარატი და სხვა.

წიგნებს განასხვავებენ თავისი მკითხველური და საზოგადო დანიშნულებით. მკითხველური დანიშნულების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, თუ ვისთვისაა წიგნი განკუთვნილი, რომელი კატეგორიის მკითხველისათვის. წიგნის საზოგადო დანიშნულება კი გვიჩვენებს, თუ რა ხასიათისაა წიგნი – სახელმძღვანელო, საცნობარო, სამეცნიერო, საკითხავი-გასართობი თუ სხვა.

მკითხველთან მუშაობის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიოთეკარისა და მკითხველის ურთიერთობას მათ შორის სრული გაგება უნდა სუფევდეს. ბიბლიოთეკარი მოვალეა ყურადღებით ეკიდებოდეს მკითხველს, გულისყურით ეპყრობოდეს მის მოთხოვნებს, იჩენდეს თავაზიანობას მის მიმართ. იგი მისთვის პრესტიჟულ პიროვნებას უნდა წარმოადგენდეს, ბიბლიოთეკარი მკითხველის თვალში სიმპათიას უნდა იმსახურებდეს, სჯეროდეს მისი, სწამდეს ის, რისკენაც მას მოუწოდებენ.

ბიბლიოთეკარებმა უნდა იცოდნენ, რომ ბიბლიოთეკები ასახავენ იმ საზოგადოებას, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ და განამტკიცებენ იმ საზოგადოების ფასეულობებს. თუ საზოგადოება დემოკრატიულია, მაშინ ძირითადად მისი ბიბლიოთეკებიც დემოკრატიულია.

ყველასათვის ცნობილია, რომ ბიბლიოთეკა ერთადერთი ადგილია, სადაც ყველა მოქალაქეს შეუძლია ცოდნისა და ინფორმაციის უფასოდ მიღება. ბიბლიოთეკა არის, აგრეთვე, შეხვედრების ადგილი, სადაც მკითხველს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი, მოუსმინოს სხვა ადამიანებს, მიიღოს კომპიუტერების საშუალებით ზღვა ინფორმაცია, რაც მათ უფრო ძლიერს ხდის და ისინი ყალიბდებიან ინფორმირებულ მოქალაქეებად.

ამრიგად, უნდა ვიცოდეთ, რომ ბიბლიოთეკა არა მარტო წიგნის საცავია, არამედ ყველაზე ეფექტური და აუცილებელი ინსტრუმენტია საზოგადოების განვითარებისათვის.

7. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

8. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

9. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რა არის წიგნი?

რა გზა აქვს წიგნს მკითხველისაკენ?

_____

როგორ უნდა იყოს ბიბლიოთეკაში მკითხველებთან მუშაობის პროცესი?

_____

_____

რა უნდა გაუწიოს მკითხველს წიგნის შერჩევისას ბიბლიოთეკარმა?

_____

_____

რაში უნდა ერკვეოდეს ბიბლიოთეკარი?

_____

_____

რა არის ბიბლიოფსიქოლოგია?

_____

_____

_____

_____

რა მოეთხოვება ბიბლიოთეკარს? ჩამოთვალეთ:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

10. მოიძიეთ ტექსტში და მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

წიგნი – არაჩვეულებრივი რთული ..... მოვლენაა. მასში ერთმანეთს ..... აზრი და სიტყვა, მეცნიერება და ....., სულიერი ცხოვრება, როგორც ერთი ადამიანის, აგრეთვე მთელი საზოგადოების. მასთან დაკავშირებულია: იდეოლოგია, ..., ინფორმაცია. მას თავის ..... აქვს, თავისი ..... წიგნში გადმოცემულია მთელი ..... სულიერი სიმდიდრე.

მკითხველისათვის წიგნის ..... დიდი მეცნიერება და კულტურაა. მკითხველებთან მუშაობის ..... და მომსახურების ..... საკითხები უნდა განიხილებოდეს ..... მეცნიერული მიღწევების დონეზე.

11. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

მოვალეა ყურადღებით ბიბლიოთეკარი მკითხველს ეკიდებოდეს

_____

პირველ მოქალაქეებზე დამოკიდებულია საზოგადოების ყოვლისა მის დემოკრატიულობა

_____

_____

აგრეთვე ადგილი, ბიბლიოთეკა სადაც მკითხველს არის შეუძლია საკუთარი აზრი შეხვედრების გამოთქვას

_____

_____

12. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

წიგნი	სამსახური
წყალი	ინტერვიუ
დისკოტეკა	ოკეანე
სახელმწიფო	გართობა
რადიო	მოქალაქე
პასუხისმგებლობა	ბიბლიოთეკა

13. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	**რა გავიგე**	**რა მინდა ვიცოდე**

საშინაო დავალება:

14. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და დაწერეთ მისი გეგმა.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

15. მოცემული გეგმის მიხედვით მოამზადეთ ტექსტი თხრობით.

თემა 29
მსჯელობა

1. რა ფუნქციები აქვს ბიბლიოთეკას?

2. როგორი უნდა იყოს ბიბლიოთეკარი? იმსჯელეთ.

3. თქვენი აზრით, რა არის მსჯელობა? გამოთქვით ვარაუდები.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

მსჯელობა

მსჯელობა განსახილველ საკითხზე არგუმენტირებული ვარაუდების გამოთქმაა, რომლის საბოლოო მიზანია სწორ დასკვნამდე მისვლა, ამოცანის (პრობლემის) გადაჭრა.

მსჯელობაში შესაძლებელია მონაწილეობდეს ერთი ან ერთზე მეტი ადამიანი. ყველაზე ხშირად წერილობით მსჯელობაში ერთი ადამიანი მონაწილეობს და მისი სქემა შემდეგი სახისაა:

I. საკითხის დასმა;

II. თეზისის / ვარაუდის წამოყენება;

III. არგუმენტების მოყვანა;

IV. მოქმედების/გადაწყვეტილების მოტივაციის განსაზღვრა;

V. არგუმენტის გავრცობა დამატებითი არგუმენტებით (შესაძლებელია, ეს იყოს მსჯელობის საკითხთან არაპირდაპირ დაკავშირებული არგუმენტი);

VI. კონტრარგუმენტის წამოყენება და მისი გაბათილება;

VII. დასკვნის გამოტანა.

ენობრივი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მსჯელობის დროს.

საკითხის დასმა

_ ჩემი / ჩვენი მიზანია...; _ მე/ ჩვენ შევეცდებით...; _ ჩემი/ ჩვენი ამოცანაა...; _ ჩვენ მიზნად დავისახეთ...; _ ამჯერად განვიხილავთ საკითხს. . . . . შესახებ;

თეზისის/ ვარაუდის წამოყენება

_ ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია...; _ ჩვენ მიგვაჩნია, რომ...; _ ვვარაუდობთ, რომ...; _ შევეცდებით დაგისაბუთოთ, რომ...; _ ჩვენი დამოკიდებულება განსახილველი საკითხისადმი შემდეგია; _ შევეცდებით არგუმენტირებულად დაგისაბუთოთ, რომ...

არგუმენტების მოყვანა

_ მოვიყვანთ ჩვენ მიერ მოძიებულ არგუმენტებს; _ ჩვენი ნათქვამის დასადასტურებლად შემდეგი არგუმენტს მოვიყვანთ; _ ვფიქრობთ, ეს არგუმენტი გამოდგება ჩვენი ვარაუდის განსამტკიცებლად; _ წამოყენებულ თეზისს ამყარებს შემდეგი არგუმენტი; _ მოგახსენებთ კიდევ ერთ არგუმენტს, რომელიც ჩვენს თეზისს ადასტურებს; _ მოგვყავს დამატებითი არგუმენტი ჩვენი ვარაუდის განსამტკიცებლად;

არგუმენტის გავრცობა დამატებითი არგუმენტებით

_ ზემოთ მოყვანილი არგუმენტი შეიძლება გავამყაროთ შემდეგით; _ ჩვენს არგუმენტს აძლიერებს შემდეგი ქვეარგუმენტი; _ თუკი მოყვანილი არგუმენტი არ არის საკმარისი, დავამატებთ, რომ...;

კონტრარგუმენტის წამოყენება და მისი გაბათილება

_ რასაკვირველია, შეიძლება გაჩნდეს საპირისპირო აზრიც, მაგრამ...; _ კონტრარგუმენტის გასაბათილებლად მოგახსენებთ, რომ...; _ რასაკვირველია, ეს მოსაზრებაც არსებობს, მაგრამ...; _ ჩვენ ვიცით, რომ არსებობს კონტრარგუმენტი, თუმცა...; _ არსებულ კონტრარგუმენტს ვერ დავეთანხმებით, რადგან...

მოტივაცია

_ რა მოტივი არსებობს ამისათვის? _ შევეცდებით დავადგინოთ მოტივაცია, რომელიც იწვევს... _ ეს უნდა იყოს მთავარი მოტივი... _ განვსაზღვროთ მთავარი მოტივები... _ ამ ქმედების უმთავრესი მოტივი უნდა იყოს ის, რომ...

დასკვნის გამოტანა

_ ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ...; _ მსჯელობის შედეგად ვასკვნით, რომ... _ როგორც ვხედავთ...; _ დასკვნის სახით მოგახსენებთ, რომ...

5. **შეავსეთ გამოტოვებული ადგილები თქვენთვის ნაცნობი სათანადო სიტყვებითა და გამოთქმებით:**

. . . . . შევაფასოთ ამ გადაწყვეტილების მართებულობა.

. . . . . , საქართველოსა და სომხეთის მეზობლობა ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელია.

. . . . . შემდეგია: ეს გახლავთ საინტერესო ნაშრომი, რომელიც ყველა სპეციალისტს გამოადგება.

მიგვაჩნია, რომ ტელევიზორი უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეებზე. ჩვენი ვარაუდის დასამტკიცებლად აღვნიშნეთ, ტელევიზია დიდ დროს ართმევს მოზარდს. . . . . ., რომ იგი ჯანმრთელობასაც ვნებს.

. . . . . ., საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ კიდევ მოითხოვს მსჯელობას.

. . . . . ჯანმრთელი კვების აუცილებლობის შესახებ.

. . . . . ., რომ პროფესორ კაკაბაძის ეს გამოკვლევა ერთ-ერთი საუკეთესოა მის ნაშრომებს შორის.

. . . . . , რამაც გმირის ასეთი რეაქცია გამოიწვია.

6. **ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

მსჯელობა

რა არის მსჯელობა?

_____

_____

_____

რამდენი ადამიანი შეიძლება მონაწილეობდეს მსჯელობაში?

_____

_____

_____

ჩამოაყალიბეთ მსჯელობის სქემა:

I. _____

II. _____

III. _____

IV. _____

V. _____

VI. _____

VII. _____

რა ენობრივი საშუალებები გამოიყენება მსჯელობისას?

_____

_____

_____

9. შეარჩიეთ რომელიმე თემა და იმსჯელეთ (გამოიყენეთ ტექსტი).

10. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა გავიგე	რა მინდა ვიცოდე

საშინაო დავალება:

11. წაიკითხეთ ტექსტი სახლში, შეადგინეთ და დაწერეთ მისი გეგმა.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

12. მოცემული გეგმის მიხედვით მოამზადეთ ტექსტი თხრობით.

თემა 30
ტექსტის რედაქტირება

1. რედაქტირება ტექსტის გასწორება, დამუშავება და მომზადებაა საბოლოო სახის მისაცემად.

ნებისმიერი ტექსტის შექმნამდე საჭიროა რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება:

I. მიზნის განსაზღვრა;

II. მასალის მოძიება და მოძიებული მასალის დახარისხება;

III. გეგმის შედგენა;

IV. გეგმაზე დაფუძნებით ტექსტის აგება. (სწორედ ამ ეტაპზე ხდება არასაჭიროდ მიჩნეული მასალის ამოღება; გამორჩენილი საჭირო ინფორმაციის ჩამატება, გეგმის შესწორება);

V. ნაწერის შესწორება.

2. ტექსტის შექმნის შემდეგ საჭიროა მასში აღმოჩენილი ენობრივი შეცდომების გასწორება. თუ ტექსტი გამოსაცემად მზადდება, ეს საჭიროა დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად, რათა მკითხველს პრობლემები არ შეექმნას და/ან არ შეფერხდეს კომუნიკაცია. მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს კი ასწორებს მასწავლებელი, რათა მოსწავლემ შემდგომში აღარ გაიმეოროს ისინი. იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი და სხვისი შეცდომების შემჩნევა და გასწორება, სასურველია ჰქონდეს ყველაზე უფრო გავრცელებული შეცდომების ჩამონათვალი, კატეგორიზებული და კლასიფიცირებული.

3. არსებობს პირობითი ნიშნები, რომლებიც გამოიყენება ნაწერის შესწორებისას. მოსწავლემ ზუსტად უნდა იცოდეს თითოეული მათგანის მნიშვნელობა, რათა დაუბრკოლებლად გაარკვიოს, რა ტიპის შეცდომა დაუშვა ნაწერში.

I. _ სიტყვა არასწორადაა დაწერილი. თავზე უნდა

დაეწეროს სწორი ფორმა.

II. გამოტოვებულია სიტყვაში ასო, სიტყვა ან მთელი წინადადება.

III. = სასვენი ნიშანი არასწორადაა ნახმარი ან აკ-ლია.

IV. სიტყვა ცალ-ცალკე უნდა დაიწეროს.

V. სიტყვა ერთად უნდა დაიწეროს.

VI. აბზაცი არ არის საჭირო.

VII. ∂ აბზაცი საჭიროა.

VIII. უნდა გადაისვას სიტყვაში ასოები ან წინადადებაში სიტყვები.

IX. **სტ.** სტილური შეცდომა

X. **სინტ.** სინტაქსური შეცდომა

4. ამჯერად გთავაზობთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ენობრივ შეცდომებსა და მათი მართლწერის წესებს, რომლებსაც მოსწავლეები არსებითი სახელებისა და ნაცვალსახელების წერისას უშვებენ. როგორც აღვნიშეთ, კარგი იქნება, თუ ამ ჩამონათვალს გავაცნობთ მოსწავლეებს, რათა ჰქონდეთ კონკრეტული ჩამონათვალი ენობრივი შეცდომებისა. შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთად შექმნან ცხრილი ან სხვა თვალსაჩინოება სხვა ტიპის შეცდომებისათვის, სადაც კატეგორიზებულად და კლასიფიცირებული სახით იქნება მოთავსებული ინფორმაცია. ცხრილი შეიძლება სისტემატურად შეივსოს მოსწავლეებისათვის ახალი ინფორმაციით. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ მოსწავლემ მექანიკურად კი არ დაიზეპიროს შეცდომები, არამედ გაიაზროს ყველა კონკრეტული შემთხვევა.

1. არსებითი სახელი:

ა) მ-ზე დაბოლოებულ სახელებს მხოლობითი რიცხვის მოთხრობით ბრუნვაში ორი მ მოუდის (კალამმა, დედაჩემმა)

ბ) ს-ზე დაბოლოებულ სახელებს მხოლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში ორი ს მოუსი (წავკისს, კლასს)

გ) თუ სახელი ე-ზე ბოლოვდება, ებ-იან მრავლობითში ორი ე იწერება (მზეები, დღეები)

დ) ქვეყანა, ქარხანა, ბეგარა, მოყვარე, ფანჯარა, ტომარა, პეპელა იბრუნვის ერთნაირად და იქნება: ბეგ(ა)რ(ა)-ის, ბეგ(ა)რ(ა)-ის, ბეგ(ა)რ(ა)-ით.

ე) ვითარებით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებს ბოლოში დაერთვით **-დ** და არა **-თ**, თანხმოვანფუძიანებს _ **-ად** (და არა -ათ): ქალად, შვილად, რუდ, ეკლესიად და ა. შ).

ვ) თანხმოვანზე დამთავრებული ადამიანთა საკუთარი სახელები მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში იქნება **ნოდარ-მა**; **ნოდარ-ს** და არა ნოდარი-მ და ნოდარ-ის.

წოდებით ბრუნვაში იქნება **ნოდარ** და არა ნოდარი.

თანდებულების დართვის შემთხვევაში გვექნება **ნოდარ-თან**, **ნოდარ-ზე**... და არა ნოდარი-სთან, ნოდარი-ზე.

თუ ბოლოთანხმოვნიან სახელს მოსდევს გვარი ან პროფესიის სახელი, იქნება **ნოდარ აბაშიძე** და არა ნოდარი აბაშიძე.

გთავაზობთ ამ ტიპის სახელთა ჩამონათვალს:

მამაკაცის სახელები:

აბელი; აბესალომი; აბრამი; ავთანდილი; ამირანი; ანზორი; ანტონი; აპოლონი; არჩილი; ასლანი; ბაადური; ბაგრატი; ბაკური; ბასილი; ბაქარი; ბეჟანი; ბესარიონი; ბესიკი; ბიქტორი; ბორისი; გაბრიელი; გაიოზი; გალაქტიონი; გარსევანი; გოგოთური; გრიგოლი; გუბაზი; გურამი; დავითი; დანიელი; დურმიშხანი; ედიშერი; ელდარი; ელიზბარი; ემზარი; ეფრემი; ვარდენი; ვარლამი; ვახტანგი; ვიქტორი; ვლადიმერი; ზაალი; ზაური; ზენონი; ზურაბი; თამაზი; თეიმურაზი; თემური; თენგიზი; იაკობ; იასონი; იგორი; იორამი; იოსებ; ისაკი; იულონი; კახაბერი; ლევანი; ლუარსაბი; ლუხუმი; მაკარი; მალხაზი; მანუჩარი; მარკოზი; მელიტონი; მერაბი; მირიანი; მიხეილი; მურადი; მუხრანი; ნესტორი; ნიკოლოზი; ნოდარი; ნუგზარი; ოთარი; ოლეგი; პლატონი; რამაზი; რამინი; რაჟდენი; რაფიელი; რისმაგი; როინი; რომანი; როსტომი; რუბენი; სამსონი; სიმონი; სოზარი; სოლომონი; სპარტაკი; სულხანი; ფარნაოზი; ფარსადანი; ფარსმანი; ფრიდონი; ქართლოსი; ყარამანი; ყაფლანი; შადიმანი; შავლეგი; შამილი; შერმადინი; ჯამბაკური; ჯიმშერი; ჯუანშერი; ჯუმბერი; ჰამლეტი; ჰენრიხი.

ქალის სახელები:

გულნაზი; გურანდუხტი; დავარი; ეთერი; ელისაბედი; ზეინაბი; თამარი; თინათინი; მარეხი; მარიამი; ნესტანი; როდამი; რუსუდანი; ფატმანი; ქეთევანი; შუშანიკი; ხორეშანი.

2. ნაცვალსახელები:

ა) **მე** ნაცვალსახელი თანდებულიან მიცემითსა და ნათესაობითში ინაცვლებს **ჩემ** ფორმას. სწორია: **ჩემზე, ჩემკენ, ჩემთვის**... და არა მეზე. მესკენ. მესთვის.

ბ) **გარდა, უკან, შემდეგ, გამო, წინაშე, წინ, შესახებ** და სხვა თანდებულები **ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ** ნაცვალსახელებთან სანმოკვეცილ ფორმებს უნდა დაერთოს:

ჩემ გარდა და არა ჩემს გარდა.

გ) **ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ** ნაცვალსახელები **ს**-ნის გარეშეა წარმოდგენილი **ჩემკენ, თქვენკენ**... ფორმებში. ჩემსკენ, შენსკენ არასწორია.

დ) როდესაც **მათ** ნაცვალსახელი ზმნასთან ერთადაა წარმოდგენილი, იქნება მათ იყიდეს, მათ ააშენეს და არა მათმა იყიდეს, მათმა ააშენეს.

ე) როდესაც ნაცვალსახელი **მათი** ახლავს არსებით სახელს, გვექნება **მათმა დედამ, მათმა წარმატებამ** და არა მათ დედამ, მათ წარმატებამ.

ვ) სწორია **ჩვეგანი, თქვენგანი, მათგანი** და არა ჩვენთაგანი, თქვენთაგანი, მათთთაგანი.

ზ) თუ **ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ, მათ** ნაცვალსახელს ახლავს სახელი, მიცემით ბრუნვაში გვექნება: **ჩემს ძმას, შენს მეგობარს, თქვენს სოფელს, მათს გადაწყვეტილებას.**

თ) სწორია **ყველა მოსწავლე, იმდენი ბავშვი, რამდენიმე წიგნი** და არა ყველა მოსწავლეები, იმდენი ბავშვები, რამდენიმე წიგნები.

1. **შეადგინეთ ზემოთ მოცემული ჩამონათვალის ტიპის ყველაზე უფრო ტიპური შეცდომებისათვის ჩამონათვალი. საჭიროების შემთხვევაში შეადგინეთ ისეთივე სია, როგორიც საკუთარი სახელებისათვისაა წარმოდგენილი. (ვთქვათ, ვწყვეტ-ვწყვიტე-ვწყვეტდი-გადამოწყვეტია ტიპის ზმნებისათვის). ისარგებლეთ ორთოგრაფიული ლექსიკონით.**

2. მოძებნეთ და გაასწორეთ შეცდომები. გამოიყენეთ პირობითი ნიშნები.

ნათლათ გასაგებად ჩამოყალიბებული მასალა ადვილად ასათვისებულია მოსწავლისათვის. მასალის დამუშავების რამოდენიმე მეთოდები არსებობს.

მშობლიურ ენაზე წერას ბაშვი ითვისებს მაშინ როდესაც მას უკვე ააქვს ლაპარაკის განსაზღვრული ჩვევები. ეს ედება საფუძვლათ გრაფიკულათ გამოსახული სიტყვების

ამოცნობას. მზგავსი თანამიმდევრობის დაცვაა საჭირო მეორე ენის ათვისების დროსაც _ ბავშვი დაწყებით ეტაპზე სწავლობს იმის კითხვას, რაც მან უკვე შეიმეცნა ლაპარაკიდ.

თავიდან მეგონა რომ ნარინჯის ფერი პერანგის ტარება მომიწევდა. მე ნარინჯისფერი არც მიხდება და არც გრძელი პერანგი, რათა მოკლე ფეხები მაქვს. მიხედავად ამისა, ყველაფერმა შესანიშნავათ ჩაიარა. ჩემ დანახვაზე ხალხი ავტო მობილებიდან ხტებოდა. ეს სასიამოვნო იყო. იმედი მაქვს, ჩემი კონცერტებს ბევრი ადამიანებისათვის მოაქვს სიხარული.

ხუროთ მოძღვრების განვითარებას შეიძლება თვალი გავადევნოდ ქალაქ თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ხუროთმოძრვრების მაგალითზე. თბილისში მე-XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან თბილისის ხუროთმოძღვრებაში გაბატონდა ერთმანეთან ეკლექტურადთ დაკავშირებული სხვადასხვა სტილის, ეპოქისა და ქვეყნის ელემენტები (რენესანსული, მავრული, ბაროკული, კლასიცისტური და სხვ). ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული ნიმუშებია თბილისის სახაზინო თეატრისა და ქალაქის თვითმმართველობის შენობები. რუსული ხუროთმოძღვრების ნიმუშია თბილისის მარლთმადიდებელთა სასულიერო სემინარიის შენობა. რენესანსულ-ბაროკული სტილითა და მაღალი პროფესიული ოსტატბითაა აგებული დიდუბეს ტაძარი, სურატების გალერია, რუსთაველის თიატრის შენობა, კონსერვატორია, სასახლები ბორჯომში, საოლქო სასამართლო ქუთაიში. ამგვარ შენობათაშორის უმნიშვნელოვანესია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა, რომელის არხიტექტორი იყო ევროპულათ განათლებული პირველი ქართველი ხუროთ მოძღვარი სიმონი კლდიაშვილი.

სწავლების პირველ ეტაპის ბოლოს მოსწავლეებს გარკვეული ლექსიკური მარაგი უნდა ქონდეთ. ეს სიტკვები მატ უნდა შეიტვისონ ტეკსტებიდან, რომლებსაც სკოლაში სწავლობენ და სახში ცაკითხული წიგნბიდან. სკოლის ტექსტები არუნდა იყოს გადატვირთული ბევრი ახალი ლექსიკური ერთეულებით. მოსწავლემ უნდა მოასწროს ახალი სიტყვების გაგება შეთვისება.

ლექსიკური ერთეულების დამახსოვრებისა და აქტიური გამოყენებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტებს. სანიმუშოდ შეიძლება საკვების თემასთან დაკავშირებული ლექსიკური მასალის პრეზენტაციისას. ბავშვებმა უნდა გამოიყენონ ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აღნიშნავენ კვების პროდუქტებს.

3. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი ყველა სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონებში განმარტებები.

4. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

სისტემატურად ინფორმაციით ცხრილი ახალი შეიძლება მოსწავლეებისათვის შეივსოს

ბავშვი როდესაც მშობლიურ ენაზე მას აქვს ლაპარაკის მაშინ განსაზღვრული წერას ჩვევები ითვისებს უკვე

ხუროთმოძღვრული ამ ეპოქისათვის ნიმუშებია სახაზინო თეატრისა და ქალაქის თბილისის დამახასიათებელი შენობები თვითმმართველობის